ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№003 (12682) 7 იანვარი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

# ბექა გოცირიძემ დნეპრში შეცურა

## 4-წლიანი კონტრაქტი და 8 ნომერი



ამბავი დნეპროპეტროვსკიდან და ინტერვიუ ბექა გოცირიძესთან

>> 2




# ფარღალავა თამაშს მარტო იგებს

>> 14

# ლევან ქვარაძე ავსტრიაში მიდის



...მაგრამ არის სხვა ვარიანტებიც

>> 2

# არეულობა სამხრეთ აფრიკაში

## მოკლულია მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის გავლენიანი წევრი

>> 12



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრანსფერი

# გოცირიძემ დნეპრში შეცურა

## ბექა: ჯერ ვერ ვიჯერებ! გოცირიძემ დნეპრში რვიანი მიიღო



დიახ, ბექა გოცირიძე ჯერ ვერ იჯერებს იმას, რაც გუშინ საღამოს თავად გვითხრა - სამედიცინო შემოწმება წარმატებით გავიარე და სულ რაღაც 15 წუთის წინ „დნეპრთან" კონტრაქტი გავაფორმეო. მაშ ასე, დნეპროპეტროვსკის „დნეპრში" რიგით მესამე ქართველი ჩაირიცხა. ჩვენი ეროვნული ნაკრებისა და „ზესტაფონის" ნიჭიერ შემტევს უკრაინული ფეხბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა ყოველგვარი სინჯების გარეშე კონტრაქტი გაუფორმა.

გუშინ, „დნეპრის" გენერალურმა დირექტორმა ანდრეი სტოცენკომ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს განუცხადა - თუ ქართველს ჯანმრთელობის პრობლემა არ აღმოაჩნდება, ხელშეკრულებას წინ ვერაფერი დაუდგებაო.

საღამოს კი შევიტყვეთ ის, რაც ზემოთ უკვე გამცნეთ - წარმატებული სამედიცინო შემოწმება და ზედაც კონტრაქტი. მოკლედ, გოცირიძე „დნეპრის" ფეხბურთელი გახდა. გუშინვე, ბექას დნეპროპეტროვსკში დავუკავშირდით...

**- ბექა, როგორც შევიტყვეთ, კონტრაქტი უკვე გააფორმე...**

- დიახ, კონტრაქტზე ხელი სულ რაღაც 15 წუთის წინ მოვაწერე. ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ - ევროპული ფეხბურთისკენ გზა გამეხსნა. „დნეპრი" სოლიდური, დიდი ტრადიციების მქონე კლუბია და ახლა მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, მოვახერხებ თუ არა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას. იმედია, ასეც მოხდება.

**- კონტრაქტი რა ვადით გააფორმე?**

- 4 წლით.

**- ბევრი ხომ არ არის?**

- მე უფრო ნაკლები მინდოდა, მაგრამ... საბოლოოდ, უკრაინელების ვარიანტს დავთანხმდი. საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს და ზედმეტი ლაპარაკი აღარ ღირდა.

**- მუდმივი ნომერიც ხომ არ გადმოუციათ?**

- კი, 8-ნომრიანი მაისურა ჩავიბარე. ძალიან გახარებული ვარ, ჯერ კიდევ არ მჯერა, ასეთ ცნობილ კლუბში გასინჯვის გარეშე რომ ჩავირიცხე. ისიც ძალიან მახარებს, რომ აქ ჯაბა კანკავა და სანდრო კობახიძე დამხვდნენ. მათთან დიდი ხანია, ვმეგობრობ და რაც ჩამოვედი, გვერდიდან არ მომშორებიან. მათი თანადგომით, გუნდთან ადაპტაციის პრობლემა არ მექნება. სხვათა შორის, ჯაბამ უკვე საერთო ჯგუფთან ერთად დაიწყო ვარჯიში.

დაბოლოს: „დნეპრის" ხელმძღვანელობა შეკრების მოწყობას ისრაელში გეგმავდა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაციის გამო, უკრაინელებმა მარშრუტი შეცვალეს და ან თურქეთში წავლენ, ან ესპანეთში.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი



გია გრიგალავა

# გრიგალავა აიაქსში ისინჯება

შესაძლოა, ჰოლანდიურ გრანდ „აიაქსში" მალე ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხოს - 19 წლის მცველი **გია გრიგალავა** ამ გუნდში სინჯებზე იმყოფება. ამის თაობაზე როსტოვის სკა-ს ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს:

„გრიგალავა, რომელმაც გასულ სეზონში სკა-ს რიგებში 25 თამაში ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა, ახლა „აიაქსში" ისინჯება. ის ამსტერდამულ კლუბთან ერთად პორტუგალიურ ალგარვეშია, სადაც 12 იანვრამდე დაჰყოფს, 9 იანვარს კი ორმხრივ მატჩში მიიღებს მონაწილეობას. მხოლოდ სინჯების შემდეგ გახდება ცნობილი, გააგრძელებს თუ არა გრიგალავა კარიერას ამსტერდამულ გრანდში".

შეგახსენებთ, რომ „აიაქსის" მეორე გუნდშია კიდევ ერთი ჩვენებური **ზაქარია ბეგლარიშვილი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გაგრიდან ვიტ ჯორჯიაში

„ვიტ ჯორჯიამ" ამ არდადეგებზე პირველი ტრანსფერი გაჩარხა. „ვეტერინარებმა" „გაგრიდან" მცველი **ნიკა მგელაძე** გადაიბირეს და 3-წლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს. შესაძლოა, ეს გარიგება მცველ **დავით ლომაიას** მოსალოდნელ აბარგებას უკავშირდებოდეს, რაზეც „ლელო" უკვე წერდა. ნასასვლელად ემზადება **ლექსო კვახაძეც.** სავარაუდოდ, ვიტჯორჯიელთა თავკაცი **რამაზ მუმლაძე** ან უკვე ექსგაგრელ მგელაძეს სწორედ ერთ-ერთი მათგანის შემცვლელად მოიაზრებს.

**დავით თავართქილაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კვახაძეს ავსტრიაში ელიან

**ლექსო კვახაძე,** ალბათ, ავსტრიაში წავა. საქართველოს ნაკრებისა და „ვიტ ჯორჯიის" ცენტრალურ მცველს, ყოველგვარი სინჯების გარეშე, რაინდორფის „ალტახი" იწვევს. ერთი ეგ არის, რომ ეს გუნდი ავსტრიის ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის - 22 ტურის შემდეგ 13 ქულით ბოლო, მეათე ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ „მატერსბურგს", ბოლოდან მესამე საფეხურზე კი „კაპფენბერგია", რომელმაც 18 ქულას მოუყარა თავი.

ავსტრიის ჩემპიონატში ჯერ კიდევ 14 ტურია დარჩენილი და იმედია, „ალტახი" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას მოახერხებს. კლუბის ხელმძღვანელობას **ვალტერ ზორმანის** იმედი აქვს. ის „შტურმის" ყოფილი სპორტული დირექტორია. სწორედ მან შეძლო გრაცული კლუბის ფეხზე დაყენება.

მეორე წრის დაწყებამდე, ზორმანი „ალტახის" გაძლიერებას გეგმავს და საამისოდ რამდენიმე ფეხბურთელიც ჰყავს შეგულებული. სწორედ მისი კავშირების წყალობით მოახერხეს რაინდორფელებმა ცნობილი ბრაზილიელების - **ზე ელიასისა** და „ვერდერის" ექსბომბარდირ **აილტონის** გადაბირება.



ავსტრიული კლუბი მზადაა, ქართველი მცველის ნახევარწლიან არენდაში 50 ათასი დოლარი გადაიხადოს. ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნების შემთხვევაში კი ავსტრიელები ხელშეკრულებაში სავალდებულო გამოსყიდვის პირობას ჩადებენ და დამატებით 100 ათას დოლარს გადაიხდიან.

კვახაძის მენეჯერები „ალტახს" ერთგვარ ტრამპლინად განიხილავენ. მათი ვარაუდით, ეს არის შანსი, რომ ნიჭიერი მცველი ზაფხულში გაცილებით ძლიერ ევროპულ კლუბში გადავიდეს. მას კიევში, ავსტრიის საელჩოში ვიზის ასაღებად ელიან. 10 იანვარს „ალტახი" მოსამზადებელ ეტაპს იწყებს და 24 წლის მცველი კლუბში უნდა გამოცხადდეს. თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, წავა კვახაძე ავსტრიაში თუ არა, მას სხვა ვარიანტებიც აქვს...

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩი




# პირველად, ბექჰემთან ერთად...

გუშინ დუბაიში **კახა კალაძის** „მილანმა" „ჰამბურგთან" ამხანაგური მატჩი გამართა. მატჩი, რომელშიც „როსონერის" რიგებში **დევიდ ბექჰემის** დებიუტი შედგა, 1:1 დასრულდა. 62-ე წუთზე **რონალდინიოს** მიერ პენალტით გატანილ გოლს, ხუთ წუთში გერმანელებმა **ბენიამინის** ზუსტი დარტყმით უპასუხეს. „მილანის" დაცვის ხაზი ასეთი შემადგენლობით გავიდა სათამაშოდ: **ძამბროტა, მალდინი, კალაძე, იანკულოვსკი.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ | ვარლამ კილასონია

# რწმენადაბრუნებული


ვარლამ კილასონია

**პირველ** ეტაპზე რუსთავის „ოლიმპმა“ ორჯერ გაგვაოცა: ჯერ იყო და სეზონის დაწყების წინ ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხილმა გუნდმა უმძიმესი სტარტი აიღო. თავად განსაჯეთ - ხუთი ტურის მერე რუსთაველებს მხოლოდ სამი ქულა ჰქონდათ! მეორე და უკვე სასიამოვნო მოულოდნელობა კი გუნდში მომხდარი საკადრო ცვლილების შემდეგ დაიწყო. მთავარ მწვრთნელად ვარლამ კილასონია დაინიშნა და მისი ხელმძღვანელობით „ოლიმპმა“ შემოდგომა-ზამთრის ეტაპი წაუგებლად განვლო. ეგ კი არა, ათ შეხვედრაში მოპოვებულმა 22-მა ქულამ ცხრილის პირველ სამეულშიც მოახვედრა და რუსთაველი ქომაგები თავიანთი გუნდისგან ახლა უკვე მედლების მოპოვებას ითხოვენ. „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელს ვარლამ კილასონიას პირველი ეტაპის შეფასება ვთხოვეთ; თუმცა მანამდე გუნდის უახლოეს გეგმებზეც დავეკითხეთ...

- გუნდი 10 იანვარს შეიკრიბება. ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და მერე უკვე ვარჯიშებს დავიწყებთ. 20 იანვრამდე რუსთავში მოვემზადებით, ამის შემდეგ კი უკვე ანთალიაში გავაგრძელებთ მეორე ეტაპისთვის მზადებას. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რომელ გუნდებთან გვექნება საკონტროლო მატჩები ანთალიაში.

**- მოკლედ, „ოლიმპს“, ზოგი გუნდისგან განსხვავებით, ფინანსური პრობლემები არ ექნება?**

- პირველ ყოვლისა, იმას ვიტყვი, რომ არც ჰქონია: ხელფასსა და პრემიას დროულად ვიღებდით; ანუ, კლუბის ხელმძღვანელობას არც ერთი ფეხბურთელის მიმართ დავალიანება არ აქვს. ასე რომ, არანაირი ფინანსური კრიზისი ჩვენს გუნდს არ ემუქრება.

**- ამ ეტაპზე შეგიძლიათ თქვათ, რა ცვლილებებია გუნდში?**

- სამწუხაროდ, ათ იანვრამდე კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი. ანუ, ჯერ არც არავინ დაგვიმატებია (თუმცა, 4-5 ფეხბურთელთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ) და არავინ გაგვიშვია. სამაგიეროდ, „სიონსა“ და „მგლებში“ არენდის ვადა დაუმთავრდათ და „ოლიმპს“ დაუბრუნდნენ ჩვენგან განათხოვრებული ფეხბურთელები: ხუბუა, რეხვიაშვილი და მიქაბერიძე.

**- პირველ ეტაპს დავუბრუნდეთ. „ოლიმპი“ იმ დროს ჩაიბარეთ, გუნდი ბოლო ადგილზე რომ იყო...**

- კარგად მახსოვს - გუნდის წინაშე რომ წარმადგინეს, ფეხბურთელების უმრავლესობას რწმენა ჰქონდა დაკარგული. ეგ კი არა, ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარებულ ორ შეხვედრაშიც („ბორჯომთან“ და „გაგრასთან“) იგივე „გადმოჰყვათ“. არადა, იმ ორივე მატჩში უამრავი საგოლე მომენტი გვქონდა და ორივეჯერ ფრეს დავჯერდით.

**- როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მოხდა „ოლიმპის“ შემდგომი წარმატებების სერია?**

- საერთო კრებებსა თუ ინდივიდუალურ საუბრებში ფეხბურთელებს ვამშვიდებდი და იმასაც ვეუბნებოდი, რომ, ბოლოს და ბოლოს, შედეგიც უნდა მოსულიყო. მთავარი იყო პირველი გამარჯვება, რომ ბიჭებს საკუთარ შესაძლებლობებში რწმენა დაბრუნებოდათ. „სპარტაკთან“ მინიმალური სხვაობით მოვიგეთ (ალბათ, სწრაფმა გოლმაც „დათვური სამსახური“ გაგვიწია), მერე „ამერს“ ვაჯობეთ თასის შეხვედრაში და წარმატებათა სერიაც დაიწყო.

**- არა მარტო ჩვენი აზრია, რომ „ოლიმპის“ რეალური სახე პირველად „ლოკომოტივთან“ მოგებულ მატჩში გამოჩნდა.**

- გეთანხმებით, თანაც, იმ დროისთვის „ლოკომოტივი“ ცხრილის ერთპიროვნული ლიდერი იყო, მაგრამ ძლიერ მეტოქეს ყველაფერში ვაჯობეთ. ვისაც ის მატჩი ახსოვს, ალბათ, დამეთანხმება, რომ სავსებით კანონზომიერი იყო ჩვენი მოგება. ანუ, იმ შეხვედრის მერეც და „დინამოსთან“ თუ „ზესტაფონთან“ მატჩების შემდეგაც სასურველ შედეგთან ერთად ჩემი გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვიყავი.

**- „ოლიმპი“ ამჟამად მესამე ადგილზეა. ჩემპიონატში, ალბათ, მედლებს უმიზნებთ...**

- „დინამოს“ 6 ქულით ჩამოვრჩებით, „ვიტ ჯორჯიას“ - თორმეტით (თუმცა, ერთი მატჩით ნაკლები გვაქვს ჩატარებული). მიზნებს რაც შეეხება, ასე ვიტყვი: „ოლიმპი“ ყველა შეხვედრაში მოგებისთვის იბრძოლებს. თანაც, უშუალო კონკურენტების წაფორხილებასაც დაველოდებით...

**- ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა გუნდს არ გაუჭირდება? „ოლიმპი“ ხომ თასზეც აგრძელებს ასპარეზობას.**

- გუნდი რომ ნახევარფინალში მოხვდება, ზედმეტიც არის იმაზე საუბარი, თუ რამდენად სერიოზულად ვუდგებით თასის გათამაშებას. ორ ფრონტზე ბრძოლა კი არ გაგვიჭირდება - „ოლიმპს“ ისეთი შემადგენლობა ჰყავს, სერიოზულ მიზნებზე ფიქრი სავსებით რეალურად მიმაჩნია.

**- შემადგენლობა ახსენეთ და, სხვათა შორის, პირველ ეტაპზე რამდენჯერმე თქვენი გუნდის განაცხადში 18 კაცი ვერ გროვდებოდა...**

- ასეთი შემთხვევა, თუ არ ვცდები, ორ-სამჯერ იყო... რა თქმა უნდა, ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა ორ სრულფასოვან შემადგენლობას. თუმცა, უარყოფითი მომენტიც არის - სათადარიგოთა სკამზე ჯდომით ფეხბურთელი კმაყოფილი ვერასდროს იქნება. ისე კი, ძირითადში ადგილს მოპოვება უნდა...

**- „ოლიმპის“ თითოეული რგოლის თქვენი შეფასებაც გვაინტერესებს.**

- ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლები გოლი გავუშვით და, აქედან გამომდინარე, მეკარეების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. საწყის ტურებში „ოლიმპის“ კარს მირზა მერლანი იცავდა და მისი თამაშით კმაყოფილები ვიყავით. ბოლო ექვსი შეხვედრა ზვიად სტურუამ ჩაატარა და „მგლებთან“ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ისიც ფაქტობრივად უშეცდომოდ თამაშობდა.

**- წესით, არც დამცველების ასპარეზობით უნდა იყოთ უკმაყოფილო.**

- რა თქმა უნდა, ნაკლებ გოლს რომ ვუშვებდით, მეკარეებთან ერთად მცველების დამსახურებაც იყო. თანაც, რაც ევალებოდათ, იმ ფუნქციებსაც ასრულებდნენ და წინა ხაზის მოთამაშეებსაც ეხმარებოდნენ. თენგიზ ჩიკვილაძე სულაც „ოლიმპის“ ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია!

**- ნახევარმცველებზე რას იტყოდით?**

- მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდის უძლიერესი რგოლი სწორედ ნახევარდაცვა იყო. მეტოქის იერიშების ჩაშლაც ეხერხებოდათ და საკუთარი გუნდის შეტევების ორგანიზებაც - ყველაფერს მაღალ დონეზე ასრულებდნენ.

**- რატომღაც გვგონია, რომ ფორვარდებზე იმავე აზრის არ ხართ.**

- მასეა - ჩვენი თავდამსხმელებისგან მართლაც მეტს ველოდი. საბედნიეროდ, გია მეგრელაძემ ბოლოს გოლების გატანა დაიწყო; და თანაც, თითქმის ყველა გოლი გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო. მიმაჩნია, რომ ამ რგოლში კიდევ მეტი პოტენციალი გაქვს გამოსავლენი.

**- სხვა გუნდებიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?**

- რასაც ვუყურე, იმ მატჩებში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მათე ვაწაძემ. წინა სეზონთან შედარებით მომატებულიც აქვს და თანამედროვე ფორვარდისთვის დამახასიათებელი თვისებებითაც არის დაჯილდოებული. ისე, „ოლიმპის“ რამდენიმე ფეხბურთელმაც მშვენივრად ითამაშა პირველ ეტაპზე, მაგრამ გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**- დაბოლოს, ჩემპიონატის ფორმატზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი.**

- როგორც ვიცი, თერთმეტგუნდიანი და სამწრიანი ჩემპიონატის ჩატარება იმ პერიოდისთვის ცაიტნოტურ სიტუაციაში მოხდა. რა თქმა უნდა, ჯობდა, რომ ყველა გუნდი თანაბარ პირობებში ყოფილიყო; ახლა კი მასე არ არის: მაგალითად, „ზესტაფონს“ რუსთავში ორჯერ ვეთამაშებით, მაშინ როცა „დინამოსთან“ უკვე სტუმრად გვიწევს ორი მატჩის ჩატარება...

**გია ტუხაშვილი**

მოულოდნელი ტრანსფერი


გიორგი ადამია

# ადამია ბაქოს ელაპარაკება

## ნეფთჩი ქართველს არ ათავისუფლებს

როგორც იცით, „ბაქი“ **გიორგი ადამიათია** დაინტერესებული. ამ გუნდის თავკაცმა **გიოკო ხაჯიევსკიმ** აზერბაიჯანულ პრესას განუცხადა, რომ თუ ადამია აზერბაიჯანში გააგრძელებს კარიერას, სწორედ „ბაქიში“ იასპარეზებსო. გუშინ იქაურმა ვებგვერდებმა ადამიას თაობაზე ახალი ინფორმაცია გაავრცელეს. „აზერისპორტის“ მტკიცებით, გიორგიმ „ბაქისთან“ მოლაპარაკება უკვე დაიწყო. ამ მოლაპარაკების ბოლო რაუნდი ბაქოში გაიმართება. დიდი შანსია, რომ ადამიამ მიმდინარე სეზონი მართლაც „ბაქიში“ ჩაამთავროს. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელისა და კლუბის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

იმავე შინაარსისაა ვებგვერდ „დეიაზის“ ინფორმაციაც, განსხვავებით „აპასპორტისგან“, სადაც ადამია ამბობს:

*„დიახ, რუსული კლუბების გარდა „ბაქი“ და სხვა აზერბაიჯანული კლუბებიც დამიკავშირდნენ. თუმცა ჩემი ტრანსფერის საკითხში დაბრკოლება ისაა, რომ „ნეფთჩი“, რომელთანაც ჯერ კიდევ კონტრაქტი მაკავშირებს, თავისუფალი აგენტის სტატუსს არ მაძლევს. არადა, ამ კლუბთან უკვე მქონდა მოლაპარაკება და ხელმძღვანელები დამპირდნენ, რომ არ შემაფერხებდნენ“.*

**დავით ცაბაძე**

# დიდავა ოლიმპიკში?

შესაძლოა, ბოლნისის „სიონის“ ნახევარმცველი **გივი დიდავა** კიდევ ერთხელ გალეგიონერდეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ყველაფერი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. „აზერისპორტის“ ცნობით, **გივი დიდავა**, „დნესტრის“ (უკრაინის პირველი ლიგა) ფეხბურთელ **რუსლან ერიომენკოსთან** ერთად, ბაქოს „ოლიმპიკში“ ისინჯება. მათთან ერთადაა ბულგარელი ნახევარმცველი, 26 წლის **გენადი ანდონოვიც**, რომელსაც დიდი შანსი აქვს, აზერბაიჯანულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. დიდავასა და ერიომენკოს ტრანსფერების საკითხი კი 10 იანვრამდე უნდა გაირკვეს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში „ოლიმპიკში“ 3 ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა - **რევაზ გეწაძე, მიხეილ ხუციშვილი** და **რომან ახალკაცი**. სხვათა შორის, გეწაძე პირველ წრეში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ „ოლიმპიკს“ 25 ქულა აქვს და „ქარვანთან“ ერთად V-VI ადგილებს იყოფს.

**დავით ცაბაძე**

რეიტინგი

# საქართველო ლიგიას შეუამხანაგდა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) ეროვნული საფეხბურთო ლიგების წლის რეიტინგი გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ საუკეთესო ინგლისური პრემიერლიგაა, რომელსაც 1192 ქულა აქვს. იტალიური სერია A მეორეა 1031 ქულით, ხოლო არგენტინის ჩემპიონატი 1020 ქულით - მესამე.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი უმაღლესი ლიგა 283 ქულით საზიარო 63-ე ადგილზეა. ამავე საფეხურზეა ლიბიური პრემიერლიგაც. სხვათა შორის, ჩვენ ლატვიის, ნორვეგიის, საუდის არაბეთის, ჩინეთის და აშშ-ის ჩემპიონატებს ვუსწრებთ, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საკამათოა. თუმცა ბაჰრეინის, ალბანეთის, ლიბანის, ესტონეთისა და სუდანის ლიგებს ჩამოვრჩებით, რაც ასევე გასაკვირია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



# დააკვირდით სანჩესსა და მჭედლიძეს!

## სიცილიელი ქართველი ახალგაზრდებში გამოარჩიეს

თითქმის ერთი კვირაა, რაც იტალიურმა „პალერმომ“ მზადება განაახლა. **ლევან მჭედლიძის** გუნდს კვირას, 11 იანვარს, „ატალანტასთან“ მორიგი ტურის მატჩი აქვს. სიცილიელი ქართველი 4 იანვარს შეუერთდა გუნდს. თუმცა ლევანთან დაკავშირებით სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ უნდა გაცნობოთ.

პოპულარულმა „გაძეტა დელო სპორტმა“ სერია A-ს გუნდებში ტალანტები გამოარჩია. აღსანიშნავია ისიც, რომ ფეხბურთელთა გამორჩევა ტექნიკურობის, დარტყმისა და პასის სიზუსტის, სიმაღლის, აზროვნებითა და კიდევ სხვა კომპონენტებით მოხდა. ჩამონათვალში ყველა ამპლუის ფეხბურთელია, მათ შორის, მჭედლიძეც.

აღსანიშნავია ისიც, რომ „გაძეტა დელო სპორტმა“ გამორჩეულ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე სტატია ასე დაასათაურა - **„დააკვირდით სანჩესსა და მჭედლიძეს“**. მოდით, „გაძეტას“ არგუმენტებს მოვუსმინოთ:

*„ტექნიკურობასთან ერთად, ნახევარმცველებისა და თავდამსხმელებისთვის სიმაღლე და მოქნილობაც არანაკლებ საჭირო კომპონენტია. კარგია, თუ შემტევი ტიპის მოთამაშე ბურთსაც კარგად ფლობს და ტექნიკურობის კვალდაკვალ, აქტიური თამაშის ნყალობით და კარში რთული პოზიციიდანაც ურტყამს. ამ სეზონის წინ იტალიურმა გუნდებმა რამდენიმე საინტერესო მოთამაშე დაიმატეს - „ფიორენტინამ“ იოვეტიჩი, „უდინეზემ“ კი სანჩესი. ისინი, შესაბამისად, 1988 და 1989 წლებში არიან დაბადებულნი. ისინი საკმაოდ ტექნიკურები არიან, კარგად ფლობენ ბურთს და აქტიურობითაც გამოირჩევიან - თუნდაც კატანიელი მორიმოტო, იუვენტუსელი ფაუსტო როსი... იმავეს თქმა შეიძლება „პალერმოს“ თავდამსხმელ მჭედლიძეზეც (187 სმ, 83 კგ), რომელიც როსის, ბალოტელისა და ფორესტიერის დარად, 18 წლისაა,“ - წერს „გაძეტა დელო სპორტი“.*

**დავით ცაბაძე**

1001 სიტყვა

# გუბაზ დოლიძე

# ინდივიდუალიზმი კი არა, ფეხბურთიც დავკარგეთ

## წლის საუკეთესო მწვრთნელი სახელმწიფოს დახმარებას სთხოვს

**გუბაზ დოლიძე ყოფილი მეკარეა, საკმაოდ კარგი კარიერა ჰქონდა, რამდენიმე წელია, მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. ამ საქმეში კიდევ უფრო ივარგა - თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ წლის საუკეთესო სკოლა, მწვრთნელი და გუნდი რომ დაასახელა, სამივე ნომინაციაში 35-ე სკოლამ გაიმარჯვა, მწვრთნელებში გუბაზ დოლიძე აღიარეს.**

**დოლიძე ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას გამოირჩეოდა ინტელექტით. მეკარეებზე იტყვიან ხოლმე, გიჟები არიანო. მისნაირი „გიჟები“ ქართულ ფეხბურთს ნამდვილად არ აწყენდა - გუბაზმა იმ საქმეს მოჰკიდა ხელი, რომელშიც გამორჩეულია საქმის ცოდნით, სიყვარულითა და ბავშვებთან დამოკიდებულებით.**

**გაგეცინებათ და, ის საუკეთესოდ აღიარეს გუნდით, რომელიც, ფაქტობრივად, დაწუნებული და ქუჩაში შეკრებილი ფეხბურთელებით დააკომპლექტა. სწორედ ამაში გამოიხატა ყველაზე მეტად მისი სამწვრთნელო ალღო და გაქანება.**

**გუბაზ დოლიძესთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ. 35-ე სკოლის 1995 წელს დაბადებულთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა საუბარი სახალისო ამბის გახსენებით დაიწყო...**



- 1995 წელს დაბადებულთა გუნდში, თავის ასაკში ერთ-ერთი საუკეთესო ბავშვი თამაშობს, რომელმაც თავიდან ფეხბურთის წესები არც კი იცოდა, ხელით (?!) თამაშობდა. გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, არც ვამეტებ და არც ვხუმრობ. აი, ასე ვიწყებდით...

**- საინტერესო ისტორიაა... მაგრამ მოდით, ჯერ აღიარებას მოგილოცავთ...**

- სიმართლე გითხრათ, საუკეთესო მწვრთნელად დასახელება ძალიან გამიკვირდა, რატომღაც არც ველოდი. ნიკო დოლიძემ და თბილისის ფედერაციამ ძალიან კარგი იდეა განახორციელეს. საუკეთესოების გამოვლენა დიდი სტიმულია სკოლებისთვის, ბავშვებისა და მწვრთნელებისთვის. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მეუხერხულება საკუთარ წარმატებაზე საუბარი ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი უმძიმეს მდგომარეობაშია. სადღაა ბავშვთა ფეხბურთი, გაჩანაგებულია, დაქცეულია და არ ვიცი, რა ეშველება უახლოეს პერიოდში. ისევ ჩვენი ნიჭით გავდივართ ფონს, მაგრამ როდემდე? სახელმწიფოები ფეხბურთში მილიონებს აბანდებენ და ვერაფერს აღწევენ. ჩვენ კი იოლად წარმოგვიდგენია ხვალინდელი დღე და არ ვიცით, რა მძიმე დღე გველის. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ყველა თავის ნებაზეა მიშვებული, მიზანმიმართული მუშაობა და ერთიანი ხედვა არ არსებობს... ხშირად დავდივარ თურქეთში. გაოცებული დავრჩი, რა ზუსტად ასრულებენ იმ მითითებებს, რაც საერთო ხედვიდან გამომდინარეობს. ამხანაგურ შეხვედრას ვატარებდით და ვთხოვე, 30 წუთის ნაცვლად, ტაიმი 35 წუთამდე გაეზარდათ - მსურდა, ყველა ბავშვს ეთამაშა, მაგრამ უარი მითხრეს, ფიფა ამას არ გვირჩევსო. ესაა ერთიანი რეკომენდაციით სარგებლობა და ამას ვერავინ გადაუხვევს. თითქოს, ამით მართლაც რა დაშავდებოდა, მაგრამ თურქებმა კარგად იციან, ამა თუ იმ ასაკში ბავშვების დასატვირთად რა დროა საჭირო და სასურველი. მიუვალ სოფლებშიც კი „გარევოის“ მსგავს მოედნებზე ბავშვებს არ ათამაშებენ, რადგან ჯანმრთელობისთვის მავნებელია. თამაშობენ მშვენიერ ნატურალურ ბალახზე, წვიმის დროს კი ხელოვნურ საფარზე, საგურამოს ბაზაზე რომ არის, ისეთზე. და, რაც მთავარია, დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ თურქეთის არც ერთ საფეხბურთო სკოლაში ბავშვს ფულს არ სთხოვენ. საქართველოში კი ხალხს ფეხბურთი იმიტომაც შეზიზღდა, მწვრთნელები ფულისთვის რომ დავდევთ.

**- ძიუდოისტმა ლევან ნიკლაურმა თქვა, ძიუდო უბრალო ხალხისაა და წარმატებას ვაღწევთ, ფეხბურთი კი მდიდრების სახეობად გადაიქცა და ამიტომაც არაფერი გამოგვდისო...**

- მართალი უთქვამს. სახელმწიფო ამ მდგომარეობის შეცვლას უნდა შეეცადოს. მთავრობა ეხმარება კიდეც ფეხბურთს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს თანხა არ მიდის საჭირო მიმართულებით. ბავშვთა ფეხბურთის დაფინანსება აუცილებელი საქმეა, მაგრამ ეს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გააკეთოს. ძალიან ბევრგან ვიყავი და ყველგან ერთი პასუხი მივიღე - ბავშვები ფულს არსად იხდიან. შვეიცარიაში, თურქეთში, შვედეთში, დანიაში სახელმწიფო ინახავს საფეხბურთო სკოლებს. არც ერთი არაა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ვინმემ რომ არ თქვას - დოლიძეს საბჭოური მოდელი ხიბლავსო. პირიქით, ანაქრონიზმია, სკოლას რომ არ აფინანსებენ. მხოლოდ ჯანმრთელობის ჯგუფებში სიარულისთვის იხდიან ფულს, მაგალითად, მსუქნებს გახდომა რომ სურთ და ასე შემდეგ. ეს სულ სხვა საქმეა. უფასო ფეხბურთი არის მასობრიობის ხელისშემწყობი, მასობრიობა კი ტალანტების აღმოჩენის საშუალებაა. ჩემს მშობლებს არ სურდათ, ფეხბურთზე რომ მევლო, უწიგნური გამოხვალო, მეუბნებოდნენ... მაგრამ მაინც შევედი, ისე, რომ არავის გაუგია. პატარა ბიჭს საიდან მქონდა საამისო ფული? ფასიანი ჯგუფი რომ ყოფილიყო, დავრჩებოდი უბრალოდ გულშემატკივრად. ბევრ მშობელს სურს შვილის ფეხბურთზე შეყვანა, მაგრამ ვერ ახერხებენ, იმხელა თანხებზეა ლაპარაკი.

**- დაახლოებით რამდენია თვეში გადასახდელი?**

- მინიმუმ 50 ლარი, უშუალოდ ჯგუფში გადასახდელის, ფორმისა და ათასგვარი საჭიროებისთვის. დაფიქრებულხართ, რამდენი ნიჭიერი ბავშვი დაგვაკარგვინა უფულობამ? თვეში 50 ლარს რომელი ღარიბი ოჯახი გადაიხდის? დასაწყისშიც გითხარით - ნიჭიერი ბავშვი მყავს, რომელმაც წესებიც არ იცოდა-მეთქი, ფეხბურთიც არ აინტერესებდა, მაგრამ დიდი ტალანტი აღმოაჩნდა. ლამის ძალით მოვიყვანე, დავაინტერესე და შეუყვარდა ფეხბურთი. აბა, მისი მშობელი ფასიან სექციაში შეიყვანდა? ბავშვობაში დიღომში ვცხოვრობდი და კარგად მახსოვს, ჩემს სადარბაზოში ფეხბურთზე მხოლოდ ერთი ბიჭი არ დადიოდა. ახლა ერთიც თუ დადის, ისიც მიღწევაა. აი, რატომ დაკნინდა ქართული ფეხბურთი - მასობრიობის კატასტროფული დაცემა სწორედ ფასიანი ჯგუფების არსებობამ გამოიწვია. მოკლედ, რასაც ვთესავთ, იმას ვიმკით.

**- პრობლემებს კიდევ შევეხებით. თავად თქვენ საუკეთესოდ რომელ მწვრთნელს დაასახელებდით?**

- გადატვირთული რეჟიმის გამო, ბოლო დროს არ მინახავს გიორგი დევდარიანის „საბურთალო“, რომელსაც ძალიან აქებენ. ეს ის გუნდია, საიდანაც ფეხბურთელი „ბარსელონაში“ მოხვდა. ვიცი, რომ დევდარიანი ძალიან კარგად და გულისხმიერად მუშაობს. 35-ე სკოლაში ძლიერი გუნდი ჰყავს კახი გოგიჩაიშვილს. მან მწვრთნელობაშიც ივარგა - 1992 წელს დაბადებულთა მისმა გუნდმა სადაც ითამაშა, ყველა ტურნირი მოიგო. „ოლიმპში“ 1997-წლიანთა ძლიერი გუნდი ჰყავს ნოდარ ჭელიძესაც... მოკლედ, ბევრი კარგი მწვრთნელია და ვშიშობ, ვინმე არ გამომრჩეს. შეუქმნან ამ ადამიანებს საჭირო პირობები და უამრავ ტალანტს გაზრდიან.

**- მოდიან კი ნიჭიერი ბავშვები?**

- როგორ არ მოდიან? აბა, სად დაიბადნენ ყიფიანი, მესხი, შენგელია, ჩივაძე?. იგივე ხალხი არ ვართ? ეგ არის, რომ ამ ნიჭს ძველებურად გასაქანს აღარ ვაძლევთ. კარგი პირობებითა და მოხერხებული საშეჯიბრო სისტემით არანაკლები თაობები გაიზრდებიან. სამსუნში ყოფნისას ახლოს გავიცანი საფეხბურთო სკოლის დირექტორი. აღმოჩნდა, რომ მარტო სამსუნის რეგიონში 1995-წლიანთა 40 გუნდია და ჯერ ერთმანეთში ატარებენ შიდა ტურნირს, მერე კი რეგიონების ორ-ორი საუკეთესო გუნდი, თურქეთის ჩემპიონის გამოსავლენად, ანთალიაში იკრიბება. ბავშვებს საუკეთესო სასტუმროებში აბინავებენ და მშვენიერ სტადიონებზე ათამაშებენ. სამსუნის გუნდი „ფენერბაჰჩესთან“ ფინალში 0:2 დამარცხდა, ჩვენ კი სამსუნელების ეს გუნდი 2:0 დავამარცხეთ. სკოლის დირექტორი გაკვირვებული იყო - ძალიან ნიჭიერი ბიჭები გყავთო. ესაა ჩემი პასუხი კითხვაზე - მოდიან თუ არა ნიჭიერი თაობები. ბავშვების გასაზრდელად, თურქებს ყველანაირი პირობა აქვთ, ჩვენ მათთან ახლოსაც ვერ მივალთ, მაგრამ ფაქტია - თურქეთის ვიცე-ჩემპიონი, ფაქტობრივად, ვაჟა-ფშაველასა და ქავთარაძის ქუჩების ბავშვებით დავამარცხეთ. პატარა ასაკში ნიჭის ხარჯზე გავდივართ ფონს, მაგრამ მერე? ისე, მათი მსგავსი საშეჯიბრო სისტემა აქაც რომ დავნერგოთ, ვფიქრობ, გაცილებით მეტი ნიჭიერი ბავშვი გამოჩნდება. ამას რაღა უდგას წინ?

**- ბოლო დროს, ქართულ ფეხბურთში ინდივიდუალისტების აშკარა დეფიციტია. მიზეზს რაში ხედავთ?**

- ინდივიდუალისტები მასაში ჩნდებიან. ფეხბურთში მასობრიობის პრობლემა აქაც იჩენს თავს. ზოგიერთი მწვრთნელი უკიდურესობაში ვარდება და ამტკიცებს - ბავშვს თავისუფლება მივანიჭოთ და ნიჭს უფრო გამოავლენსო. ეს არასწორი მიდგომაა. თუ ბავშვმა თავიდანვე არ ისწავლა დროული პასი და სწორი მოძრაობა, ის რა ფეხბურთელი გამოვა? თურქების ათ გუნდს შევხვდით და დამიჯერეთ, ათივე გაცილებით გამართულ ფეხბურთს თამაშობდა, ვიდრე ჩვენი უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდი. ინდივიდუალიზმი კი არა, ქართული ფეხბურთიც დავკარგეთ, ნაკრებები, კლუბები ყველაფერს აგებენ, რისი წაგებაც შეიძლება. ამის შემდეგ ინდივიდუალისტების პრობლემაც წვრილმანად მოჩანს. ხომ ხედავთ, საფეხბურთო სკოლების ადგილას კორპუსები წამოჭიმეს. ვაკეში, საბურთალოზე, ნაძალადევში... ასე მოხდება ძველი 35-ე სკოლის ტერიტორიაზეც. ყველამ იცის, როგორ ეპოტინებიან „ოლიმპის“ ტერიტორიასაც, ნაძალადევში რამდენიმე სკოლა გაუქმდა და სადღა გაიზრდებიან ბავშვები? სახელმწიფოს გარდა, ამას ვერავინ უშველის - ვერც ფეხბურთის ფედერაცია და ვერც ცალკეული ადამიანების მონდომება. პრობლემაა საერთაშორისო კავშირების არარსებობაც. უამრავი საერთაშორისო ტურნირი ტარდება, რომლებშიც ჩვენი ბავშვები არ მონაწილეობენ. გასაგებია, ამასაც ფული სჭირდება, მაგრამ ჩვენ თავად ჩავატაროთ ტურნირები, მოვიწვიოთ თუნდაც აზერბაიჯანელები და სომხები, ბავშვები გამოცდილებას ხომ მიიღებენ? წელიწადში ერთი ნორმალური ტურნირის გამართვა რა პრობლემაა?! ბავშვებს ძალიან აკლიათ საერთაშორისო გამოცდილება.

**- გამოსავალს თუ ხედავთ?**

- ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამაა საჭირო, რომელიც რეალურად გახდება ფეხბურთის აღორძინების საფუძველი. სახელმწიფო ფედერაციას დაეხმარა, მაგრამ სახლის შენება სახურავიდან არ იწყება. კუპერმა რა უნდა ქნას? ამიტომ, სჯობს ნელ-ნელა დავიწყოთ საქმე, თანხა სწორად განვკარგოთ და წლების შემდეგ შედეგებსაც მოვიმკით. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

კობა და დავით ხანიშვილები

# ქართველები ოქროს მთებში

სომხეთში ქართველ ფეხბურთელთა მიგრაცია აღარ არის უცხო ხილი. იქაურმა, ფინანსურად გაცილებით წელგამართულმა კლუბებმა უკვე არაერთი ქართველი ფეხბურთელი გადაიბირეს. რამდენიმე მათგანი ისეთ კლუბშიც თამაშობს, რომელიც სომხეთის ჩემპიონატის პრიზიორიც გახდა. ან დასრულებულ სეზონში ბრინჯაოს მედლის მფლობელი კაფანის „განძასარია". ამ გუნდში ხუთი ქართველი ასპარეზობს, მათ შორის, ორი გორელია. ძმები ხანიშვილები ადრე „დილის" ძირითადში ასპარეზობდნენ. სომხეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულ დათო და კობა ხანიშვილებს შევხვდით და ინტერვიუ ვთხოვეთ...

**- პირველ ყოვლისა, საინტერესოა, როგორ აღმოჩნდით სომხეთში?**

**დათო ხანიშვილი:** - გორის „დილის" ყოფილი ფეხბურთელი ვახტანგ აკოფიანი ერთხანს თამაშობდა ჩვენს ამჟამინდელ კლუბში. კარგი ურთიერთობა აქვს იქაურ ხელმძღვანელობასთან და სწორედ მან მითხრა, რომ „განძასარის" თავკაცებმა მცველის მონახვა სთხოვეს. მეც ჩავედი კაფანში, დამაკვირდნენ და ორ კვირაში კონტრაქტიც გავაფორმე.

**- კობა, შენ ფაქტობრივად სეზონის დასაწყისში დატოვე „მესხეთი" და სომხეთს მიაშურე...**

**კობა ხანიშვილი:** - ახალციხიდან მწვრთნელთან გარკვეული უთანხმოების გამო წავედი. მერე დათოც დამიკავშირდა და სომხურ გუნდში ჩასვლისთანავე ამიყვანეს. ცხრავე თამაშში მივიღე მონაწილეობა. იმ დროისთვის, გუნდი უკვე ლიდერთა შორის იყო, თამაშებს იგებდა და, შესაბამისად, მწვრთნელი ძირითადი შემადგენლობის შეცვლას მოერიდა. ამიტომ, უმეტესად შეცვლაზე მიწევდა თამაში, თუმცა ისევე, როგორც ჩემი ძმა, მეც არ ჩავსულვარ სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად. ამას ახალი სეზონიდან ნახავთ.

**- დათო, შენ უკვე ძირითადის შეუცვლელი წევრი ხარ და გოლებიც გაგაქვს...**

**დათო:** - კი, რეგულარულად სასტარტო შემადგენლობაში ვიყავი. 22 მატჩში 4 გოლიც გავიტანე - ყველა მათგანი სტანდარტულიდან და ორჯერ თავით. საერთოდ, სტანდარტულების დასახვენად ბევრს ვმუშაობ და შედეგიც სახეზეა. ვფიქრობ, მცველისთვის 4 გოლი ცოტა არ უნდა იყოს. სხვათა შორის, მწვრთნელმა მცირედით შემიცვალა ამპლუა და თუ ადრე შუა მცველი ვიყავი, ახლა ფლანგზე გადამიყვანა და მარცხენა მცველად მათამაშებს. აქედან უფრო მეტი საშუალება მაქვს შეტევებში ჩასართველად.

**- სომხეთის ჩემპიონატზე გადართვა ძნელია? რა თავისებურებები ახასიათებს იქაურ ჩემპიონატს?**

**კობა:** - ზოგადად, აკლიმატიზაციის პრობლემა არ გვქონია. ყველაზე მეტად, მაინც, საწყის ეტაპზე ფიზიკური მომზადების არასასურველმა დონემ დაგვალალატა. მოგეხსენებათ, ქართულ კლუბებში შეკრებას მხოლოდ რამდენიმე გუნდი თუ გადის და ფიზიკურადაც ამიტომაც გაგვიჭირდა. სომხეთში, როგორც სეზონებს შორის, ისე უბრალო შესვენებისას, კლუბები არაერთ შეკრებას გადიან. მთლიანად ჩემპიონატზეც შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკურად მაღალ დონეზე მომზადებული შემსრულებლები არიან და საქართველოსთან შედარებით, ნაკლებად ინდივიდუალური, უფრო გუნდური ფეხბურთი ახასიათებთ.

**- რაც შეეხება თავად „განძასარს"...**

**დათო:** - კაფანი ირანის საზღვართანაა გაშენებული. პატარა ქალაქია. გუნდის სახელი, „განძასარი", სომხურად „ოქროს მთას" ნიშნავს. კლუბის მფლობელი ბიზნესჯგუფი ოქროს მოიპოვებს და მართალია, საფეხბურთო სფეროში დიდი ხანი არაა, რაც საქმიანობენ, მაგრამ საკმაოდ გამართული ინფრასტრუქტურის მქონე კლუბი ჩამოაყალიბეს. „განძასარი" უმაღლეს ლიგაში შარშან ალზევდა და მეხუთე ადგილზეც გავიდა. ბოლო ჩემპიონატის ბრინჯაო კი გაისად უეფას თასზე ასპარეზობის საშუალებას გვაძლევს. კლუბის ხელმძღვანელობისთვის ეს შედეგი სერიოზული სტიმული აღმოჩნდა და შეგვპირდნენ კიდეც, რომ პირობებიც და მიზნებიც ცალსახად ზრდისკენ წავა. სერიოზული სპეციალისტი გახლავთ მთავარი მწვრთნელი პეტროსიანი, რომელმაც მანამდე „პიუნიკი" სამჯერ გახადა სომხეთის ჩემპიონი.

**- საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით სომხური პირველობა უფრო მაღალი დონისაა თუ?..**

**კობა:** - მოგეხსენებათ, სომხეთში რვაგუნდიანი ჩემპიონატია და არც ერთი კლუბი ფინანსურად სუსტი არ არის, ყველა ძლიერია და უშელავათო ბრძოლაა ნებისმიერ მატჩში. დარწმუნებული ვარ, საქართველოშიც რომ იყოს ასეთი მოწესრიგებული რვა კლუბი მაინც, რუსეთის ჩემპიონატზე სუსტი პირველობა არ გვექნება. ჩვენთან ხომ უამრავი კარგი და პერსპექტიული ფეხბურთელია.

**- მაყურებელი მრავლად დადის თამაშებზე?**

**დათო:** - ჩვენი გუნდის ყველა მატჩს დაახლოებით 3-4 ათასი მაყურებელი ესწრება. ლიდერებთან შეხვედრების დროს კი 7-ათასიანი არენა ბოლომდე ივსება. მომავალ სეზონში სტადიონის რეკონსტრუქციას გეგმავენ, 20 ათასამდე აპირებენ ტევადობის გაზრდას.

**- თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე გუნდის გამოცვლას არ უნდა აპირებდეთ...**

**დათო:** - ჯერ ერთი, რომ კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს. პლუს ამას, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს მწვრთნელებთან და თანაგუნდელებთან. სხვათა შორის, ხელმძღვანელობისგან სითბო აგვისტოს ომის დროსაც ვიგრძენი. როცა გორში საომარი მდგომარეობა იყო და საქართველოში წამოსვლას ვაპირებდი, კლუბის შეფებმა ჩემი ახლობლების კაფანში ჩაყვანა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა შემომთავაზეს...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან


კობა ხანიშვილი


დავით ხანიშვილი

ქართველები გერმანიაში


უტევს ალექსანდრე იაშვილი

# იაშვილის დუბლი და პასი

## მათეც ავად გამხდარა...

გერმანულმა გუნდებმა სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება უკვე დაიწყეს. მათ შორისაა **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუეც". ეს გუნდი „ჰარდენკაპის" მინი-ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობს, სადაც **ალექსანდრე იაშვილმა** დუბლი და საგოლე პასი გააკეთა. სხვა მხრივ, „კარლსრუემ" თავი ვერაფრით ისახელა. თავდაპირველად, **ედმუნდ ბეკერის** გუნდი დანიურ „ბრონდბიუს" დაუპირისპირდა. შეხვედრა 3:3 დასრულდა. ქართველმა ფორვარდმა სწორედ ამ შეხვედრაში გაიტანა ორი გოლი. მომდევნო მატჩში ბადენვიურტემბერგელებმა რეგიონალლიგაში მოასპარეზე „ვალდჰოფთან" 1:4 წააგეს. იაშვილმა მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა და **სებასტიან გაიდამ** ის ერთადერთი გოლიც სწორედ იაშვილის პასით გაიტანა.

გუშინ „კარლსრუე" მოსამზადებელ შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა. გუნდი ბელექში დაბინავდება და პირველ ამხანაგურ მატჩს, 15 იანვარს, „ინგოლშტადტთან" გამართავს.

როგორც გაცნობეთ, „შალკე" **ლევან კობიაშვილის** გარეშე ვარჯიშობს. კობის გრიპი აქვს და ბუნებრივია, საწვრთნელი პროცესისგან დროებით თავისუფალია. როგორც ირკვევა, იგივე პრობლემა აქვს **მათე ღვინიანიძესაც**. სამაგიეროდ, თავიანთ გუნდებთან ერთად ვარჯიშობენ ფრაიბურგელი **დავით თარგამაძე** და აუგსბურგელი **ოთარ ხიზანეიშვილი**. ამ უკანასკნელს დღეს პირველი საკონტროლო მატჩიც აქვს ქვედალიგოსან „გერსტჰოფენთან".

**დავით ცაბაძე**


ცენტრში ბურთით დავით თარგამაძე

თანამეგობრობის თასი

# ქართველების გარეშე მაინც არ იქნება...

უკვე კარგა ხანია, რუსეთი დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების თასს (უფრო პოპულარული ენით - თანამეგობრობის თასს) პოლიტიკური მოტივით ატარებს, რადგან ტურნირმა უკვე დაკარგა როგორც კომერციული, ასევე სპორტულ-საფეხბურთო მნიშვნელობა. დიდი შანსია, წლეულს რიგით მე-17 ტურნირი უკანასკნელიც კი აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, აგვისტოს მოვლენების გამო შეჯიბრებაში საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო" არ ითამაშებს. თუმცა უქართველოდ დსთ-ის თასი მაინც არ ჩაივლის.

ტურნირი მოსკოვის საფეხბურთო დარბაზებში 17-25 იანვარს გაიმართება. მასში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს ჩემპიონი ფინეთის ერთ-ერთმა გუნდმა, ტურკუს „ინტერმა" შეცვალა. A ჯგუფში „აქტიობე", „არარატი", „პახტაკორი" და „რუბინი" ითამაშებენ. რუსეთის ჩემპიონი ტურნირში მეორე შემადგენლობას გამოიყვანს. „ნამდვილი" „რუბინი" კი ბელექშია (თურქეთი) შეკრებაზე და 18 იანვრამდე იქ რჩება. ასე რომ, გამორიცხულია დსთ-ის თასზე **დავით კვირკველიამ** ითამაშოს, **ლაშა სალუქვაძემ** და **ნუკრი რევიშვილმა** კი – ნაკლებად სავარაუდოა. „არარატი" არ გახლავთ სომხეთის ჩემპიონი და არც „პახტაკორი" - უზბეკეთის. გამოდის, რომ ამ ჯგუფში მხოლოდ ერთი ნამდვილი ჩემპიონი ითამაშებს - ყაზახური „აქტიობე".

B ჯგუფში „აშხაბადი" (თურქმენეთი), „მტზ-რიპო" (ბელარუსი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (უკონკურსოდ) და „ეკრანასი" (ლიტვა) ითამაშებენ. ტურნირის „მნიშვნელობის" გასამყარებლად ერთ დეტალს მოვიყვანთ - ბელარუსის ჩემპიონი განაცხადში შეიყვანს... **იური პუდიშევს**, რომელიც 1982 წელს მინსკის „დინამოს" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. **გივი კვარაცხელიას** გუნდმა მზადება უკვე დაიწყო. ორმხრივ მატჩში თავი გამოიჩინა **ირაკლი მაისურაძემ**, რომელმაც ერთი გოლი გაიტანა. ამ შეხვედრაში ითამაშა კიდევ ერთმა ჩვენებურმა **არჩილ ფარტენაძემაც**. 21 წლის ფორვარდი ახლახან ჩაირიცხა გუნდში. თავად კვარაცხელია კი ჯერ გუნდთან ერთად არ იმყოფება.

C ჯგუფში ესტონური „ლევადია", „რეგარ-თადაზი" (ტაჯიკეთი), დონეცკის „შახტარი (უკრაინა) და „შერიფი" (მოლდოვა) ითამაშებენ. დონეცკელები დუბლშემადგენლობას გამოიყვანენ. დსთ-ის თასზე „შერიფს" კაპიტნის სამკლავურით კვლავ **ვაჟა თარხნიშვილი** გაიყვანს. წესით, ამ გუნდს ჯგუფური ეტაპის დაძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

D ჯგუფში „ვენტსპილსი" (ლატვია), „დორდოი-დინამო" (ყირგიზეთი), „ინტერი" (აზერბაიჯანი) და „ინტერი" (ფინეთი) განთავსდნენ. თავს არც ფინელები იკლავენ - მათ არ ეყოლებათ ოთხი ფეხბურთელი, რომლებიც ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს. „ვენტსპილსი" და აზერბაიჯანული „ინტერი" კი საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან. ეს ორი გუნდი ჩემპიონობის კანდიდატიცაა „შერიფთან" ერთად. **ზურაბ მენთეშაშვილი** და მისი მეგობრები 3 იანვარს შეიკრიბნენ. „ვენტსპილსი" პირველ ამხანაგურ მატჩს 9 იანვარს, „ეკრანასთან" გამართავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი

# დეფო ლონდონში დაბრუნდა

## მომდევნო სამიზნე მიდლსბროელი დაუნინგია, დავიდსი და აპია ხანმოკლე კონტრაქტებს გააფორმებენ?



ერთწლიანი პაუზის შემდეგ ჯერმეინ დეფო ისევ მამლების მაისურში გამოეწყობა

**ჯერმეინ დეფო** "ტოტენჰემში" ბრუნდება. "მამლები" "პორტსმუთს" ფეხბურთელის ფასზე მოურიგდნენ. ლონდონელები 15.75 მილიონ გირვანქას გადაიხდიან - ორჯერ მეტს, ვიდრე "პორტსმუთმა" ერთი წლის წინ მიუთვალა. დეფომ "პორტსმუთს" 2008 წლის იანვარში, **ჰარი რედნაპის** ინიციატივით მიაშურა. იმხანად მისტერ რედნაპი სამხრეთინგლისური კლუბის მწვრთნელი იყო. მიმდინარე სეზონის დასაწყისში რედნაპი ლონდონში გადაბარგდა და სამი თვის თავზე დეფოც დედაქალაქში დააბრუნა. გუშინ ნაშუადღევს დეფოს სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო. კონტრაქტის გაფორმებაც ამის შემდეგ იგეგმებოდა.

"ტოტენჰემის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. რედნაპმა ინგლისის ნაკრების კიდევ ერთ ფეხბურთელს, **სტიუარტ დაუნინგს** დაადგა თვალი. დაუნინგი "მიდლსბროს" საკუთრებაა. ლონდონელებმა რივერსაიდელებს თავდაპირველად 7 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. "მიდლსბრომ" თანხას სასაცილო უწოდა. "ტოტენჰემმა" ის უმალ 10 მილიონამდე დაამრგვალა და მომდევნო ორი წლის განმავლობაში კიდევ 2 მილიონის გადახდას დაჰყაბულდა. დაუნინგმა "მიდლსბროს" ხელმძღვანელობას წერილობით სთხოვა ტრანსფერზე დაყენება. ფეხბურთელი გუნდის თავმჯდომარესა და მთავარ მწვრთნელს, **სტივ გიბსსა** და **გარეთ საუთგეიტს** შეხვდა, თუმცა მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. "მიდლსბრო" დაუნინგის გასაყიდად მზად არ არის. კლუბს მისი შემცვლელი ჯერაც არ უპოვია.

გუშინ "ტოტენჰემის" ბაზაზე გამოჩნდა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **ედგარ დავიდსი**. ის ერთი კვირის განმავლობაში კლუბთან ერთად ივარჯიშებს. თუ რედნაპს თავს მოაწონებს, "პიტბულს" ხანმოკლე კონტრაქტს შესთავაზებენ. ვეტერან ნახევარმცველს ხელფასს ჩატარებული მატჩების მიხედვით გადაუხდიან.

ანალოგიურ ხელშეკრულებას გააფორმებს განელი **სტეფან აპია**. ის უკვე რამდენიმე დღეა, ლონდონში იმყოფება. 28 წლის ფეხბურთელი თავისუფალი აგენტია. აპიამ შარშანდელი სეზონი "ფენერბაჰჩეში" გაატარა, მაგრამ ფინანსური უთანხმოების გამო, სტამბოლი დატოვა და ზაფხულის შემდეგ არსად უთამაშია. რედნაპს აპიას შეძენა დიდი ხნის წინაც სურდა, მაგრამ "იუვენტუსმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 14 მილიონი ევრო მოსთხოვა.

აქვე გეტყვით, რომ "მამლების" თვალთახედვის არეშია "სანდერლენდის" თავდამსხმელი **კენვინ ჯოუნსი**, თუმცა ფეხბურთელის ფასი უცნობია. "სანდერლენდის" ხელმძღვანელობას მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოსალოდნელი გარიგება

# ტევესი მზადაა, რეალში ითამაშოს



კარლოს ტევესი

**რამდენიმე** დღის წინ გაუწყეთ, რომ **კარლოს ტევესის** მანჩესტერული მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა ფეხბურთელის აგენტებთან საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებს. ტევესისათვის ახალი კონტრაქტი ჯერ არ შეუთავაზებიათ. დღევანდელი შეთანხმება ივნისში იწურება. თუ ვითარება არ შეიცვლება, არგენტინელი თავდამსხმელი ახალ სამსახურს მონახავს. ტევესით არაერთი გრანდია დაინტერესებული. მათ შორის, ყველაზე მეტად მადრიდის "რეალი" აქტიურობს.

კარლოსს ესპანელი მიმომხილველები დაუკავშირდნენ. კითხვაზე, ითამაშებდა თუ არა სამეფო კლუბში, ტევესმა მიუგო: *"არ მეგულება პროფესიონალი ფეხბურთელი, რომელიც ამგვარ წინადადებაზე უარს იტყოდა. "მანჩესტერის" მსგავსად, "რეალიც" მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია. მადრიდში თამაში ერთი დიდი სიამოვნება იქნებოდა."* ამგვარად, "იუნაიტედმა" უნდა იჩქაროს. დრო არ ითმენს: თუ მას ფეხბურთელის შენარჩუნება სურს, 34 მილიონი ევროს გადახდა მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტევესი "ეშმაკების" ერთ-ერთ კონკურენტ ევროპულ გრანდს მიაშურებს.

გარიგება

# პენანტი: მომავალი სეზონიდან მილანში

## როსონერის ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი უფასოდ მიჰყავს



ჯერმეინ პენანტი მილანში ითამაშებს

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, **ჯერმეინ პენანტი** "მილანში" გადადის. იტალიელმა მიმომხილველებმა ამ ტრანსფერს მოულოდნელი უწოდეს. ცნობილია, რომ პენანტი მიმდინარე სეზონს "ლივერპულში" ჩაამთავრებს და "როსონერის" ზაფხულში შეუერთდება. 25 წლის თავდამსხმელს მერსისაიდული კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. მილანელებს მისი ტრანსფერი ერთი ცენტიც კი არ დაუჯდებათ. გარიგების ოფიციალური დეტალები უცნობია. უახლოეს დღეებში იტალიური გრანდი საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს და პენანტის ტრანსფერზე ისაუბრებს.

ჯერმეინმა საფეხბურთო კარიერა "ნოთს ქაუნთიში" დაიწყო. 1999 წელს ის **არსენ ვენგერმა** შენიშნა და ლონდონში გადაიყვანა. იმავე წელს შედგა მისი დებიუტი პრემიერლიგაში - ჯერმეინი სულ რაღაც 16 წლისა იყო. ის არსენალში 2005 წლამდე დარჩა, მაგრამ ბოლო სამი წელიწადი იჯარით სხვადასხვა კლუბში ("უოტფორდში", "ლიდსსა" და "ბირმინგემში") იყო მივლენილი. 2005 წლის ზაფხულში ჯერმეინი "ბირმინგემ სიტიმ" გამოისყიდა. 2006 წლის მაისში, როდესაც კლუბი პრემიერლიგიდან გავარდა, თავდამსხმელი "ლივერპულში"გაყიდეს.

მან მერსისაიდელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იმ სეზონის მიწურულს, 2007 წლის მაისში, ჯერმეინმა "მილანთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა. მას მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადასცეს. პენანტმა მილანელ მცველებს მარჯვენა ფლანგზე საფირმო გარღვევებით სისხლი გაუშრო. როგორც ჩანს, **კარლო ანჩელოტის** ფეხბურთელი იმ საღამოს შემდეგ დაამახსოვრდა და აი, მიაღწია კიდეც საწადელს.

ფრანგული ამბები

# გოვუს უარი

## მარსელი ლარსონის პასუხს ელოდება, პაპენს მორიგი კლუბი ჩააბარეს

"ეკიპის" ცნობით, **სიდნი გოვუმ** "პორტსმუთის" წინადადებაზე თავაზიანი უარი განაცხადა. მოგეხსენებათ, ინგლისელებმა თავიანთი ლიდერი **ჯერმეინ დეფო** "ტოტენჰემში" გაყიდეს. ვაკანსიის შესავსებად მათ ფრანგი ფორვარდის გადაბირება სურდათ. 29 წლის ფეხბურთელს უკვე არაერთხელ დაუდასტურებია, რომ "ლიონის" დატოვება და უფრო ძლიერ ლიგაში ძალების მოსინჯვა სურს, მაგრამ ის გუნდები, რომლებიც მას შედარებით ძლიერ ჩემპიონატებში კონტრაქტებს სთავაზობენ, ფეხბურთელის ამბიციას ვერ აკმაყოფილებენ. სიდნიმ დაუფიქრებლად თქვა უარი **ტონი ადამსის** შეთავაზებაზე. მას საჩემპიონო ამბიციის მქონე კოლექტივში გადასვლა სწადია.

იმავე "ეკიპის" ცნობით, "ლიონს" სეზონის ბოლოს ალბათ მისი საუკეთესო ფეხბურთელი **ჟუნინიო პერნამბუკანო** დატოვებს. აღნიშნულზე ბრაზილიელი თავად ალაპარაკდა. *"ვიცი, რომ ჩემი და "ლიონის" განშორების დრო თანდათან ახლოვდება. იცით, რა? ჩემი გეგმები მაქვს, რაზეც ახლა დაწვრილებით საუბარს არ ვაპირებ. რაც მთავარია, კლუბის ხელმძღვანელობა საქმის კურსშია. იმედია, დამსახურებას არ დამიკარგავენ და წინააღმდეგობას არ გამიწევენ"*, - დასძინა ფეხბურთელმა.

ლეგენდარული **ჰენრიკ ლარსონით** მარსელის "ოლიმპიკი" დაინტერესდა. ვეტერანი ამჟამად შვებულებაშია, რის დასრულებამდეც კარიერაზე საუბარი არ სურს. ამიტომ მის პასუხს, სავარაუდოდ, კიდევ ერთი კვირა უნდა ვუცადოთ. "ჰელსინგბორგის" თავკაცი (დღესდღეობით ლარსონი არ კლუბის ღირსებას იცავს) **ბო ნილსონი** აცხადებს: *"ძალიან მინდა, რომ ჰენრიკი დარჩეს. ის ჩვენი გუნდის კაპიტანი და ლიდერია. მის პასუხს უახლოეს დღეებში ველოდებით. თუ ლარსონი მარსელში გადავა, გუნდს რა თქმა უნდა სერიოზულად გააძლიერებს"*. ფრანგების გარდა, ვეტერანი ვარსკვლავის ხელში ჩაგდება "ევერტონსაც" სურს.

აქვე გეტყვით, რომ ფრანგული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, 45 წლის **ჟან პიერ პაპენმა** ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა. მან მოყვარულთა კლუბ "ფაკტიურ ბიგანოში" მთავარი მწვრთნელის პოსტი ჩაიბარა. შეგახსენებთ, რომ პაპენმა ორჯერ უკვე სცადა სამწვრთნელო კარიერის აწყობა, მაგრამ არც "სტრასბურსა" და არც "ლანსში" ღირებული არაფერი გაუკეთებია.

არსენალი

# ებუე მიდის

## უილშირი უკვე პროფესიონალია

ბოლო დროს ბრიტანულ პრესაში ხშირად იწერება, რომ კოტდივუარელი **ემანუელ ებუე** "არსენალს" დატოვებს და იტალიაში ან ესპანეთში გადავა. სახელდება კონკრეტული გუნდიც, რომელსაც ამ ბიჭის წაყვანა სურს - მილანის "ინტერი". საქმე ისაა, რომ "ნერაძურის" ძირითადი მარჯვენა მცველი ბრაზილიელი **მაიკონია**. ამდენად, მილანელებს აფრიკელი სკამზე დასასმელად სჭირდებათ. ემანუელის ლონდონური კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება. გაგრძელებაზე ჯერჯერობით არავინ საუბრობს. **არსენ ვენგერი** დაცვის მარჯვენა ფლანგზე ძირითადად **ბაკარი სანიას** ათამაშებს. ასე რომ, არჩევანი ებუეზეა: თუ უნდა "არსენალის" სკამზე დარჩება, თუ არადა "ინტერის" სკამს მიაშურებს. თუ 25 წლის ფეხბურთელს პროფესიული ზრდა აინტერესებს, ურჩევნია, ისეთ გუნდში გადაბარგდეს, სადაც თამაშის გარანტიას მისცემენ. ებუეს გარდა, **მოურინიო** არგენტინული "ესტუდიანტესის" ფეხბურთელ **მარკოს ანგელერისაც** აკვირდება. ებუეს უპირატესობა ის გახლავთ, რომ ის ბელგიურ (ევროკავშირის) პასპორტს ფლობს.

ვენგერი რომ ტალანტებს თვალისჩინივით უფრთხილდება, ყველამ იცის. ბოლო წლებში მისმა "ფაბრიკამ" ბევრი ნიჭიერი ყმაწვილი გამოუშვა, მაგრამ **ჯეკ უილშირის** დონისა - თითო-ოროლა. ჯეკი 1 იანვარს 17 წლისა გახდა. ლონდონელმა ჩინოსნებმა ამით ისარგებლეს და ფეხბურთელს სრულფასოვანი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმეს. უილშირს დებიუტი პრემიერლიგაშიც (9 სექტემბერს "ბლექბერნის" წინააღმდეგ) ჰქონდა და ჩემპიონთა ლიგაშიც (25 ნოემბერს კიევის "დინამოსთან"). ფეხბურთელი უკვე რვა წელია, "არსენალში" ირიცხება. ვენგერის პროგნოზით, ინგლისელი სუპერტალანტი რამდენიმე წელიწადში გუნდის ულაპარაკო ლიდერად უნდა იქცეს.



ემანუელ ებუე

ჰოლანდიური ამბები

# სტევენსი ძალას რეზერვში ხედავს

"ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** გუნდის გაძლიერებას აპირებს და საამისოდ რეზერვის მოთამაშეთა დაწინაურებას გეგმავს. მისი აზრით, გუნდს ახალი სისხლი აშკარად სჭირდება. ამიერიდან ძირითადი გუნდის მოთამაშეთა სტატუსი შეიძინეს 17 წლის ბელგიელმა ნახევარმცველმა **ფუნსო ოიომ** და 18 წლის უნიჭიერესმა მეკარემ, ჰოლანდიელმა **იერუნ ზუტმა**. ორივე მათგანი ნებისმიერ დროს შეიძლება გუნდის განაცხადში მოხვდეს ან სულაც სასტარტო შემადგენლობაში აღმოჩნდეს. *"ფუნსო და იერუნი თამაშით ისევ დუბლებში ითამაშებენ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ნებისმიერ დროს დამჭირდეს"*, - "დანგბლაადთან" საუბრისას განაცხადა სტევენსმა. ოიოს კიდევ შეიძლება, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, ზუტმა შანსი მიიღოს. მას ხომ სერიოზულზე სერიოზული კონკურენტები ჰყავს შვედეთის ნაკრების მეკარე **ანდრეას ისაკსონისა** და ბრაზილიელი **კასიო რამოსის** სახით. ამ უკანასკნელის იჯარით გადაყვანა "ვასკო და გამას" უნდოდა, მაგრამ სტევენსმა უარი განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ ახალ წლამდე "ვიტესმა" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ლეგენდარული **ჰანს ვესტერჰოფი** გაათავისუფლა. მიზეზი, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელი შედეგები გახდა. ამჟამად გუნდი ერედივიზიონის ცხრილში სამარცხვინო მე-15 ადგილზეა. მას შემდეგ არნემელები ახალ თავკაცს ეძებდნენ. როგორც იქნა, გუნდი პატრონს ჩააბარეს. "ვიტესის" ახალი თავკაცი 43 წლის **ტეო ბოსია**. ტეო ფეხბურთიდან 1999 წელს წავიდა. მას შემდეგ ის ოთხი წელიწადი მშობლიური კლუბის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გახლდათ. ცოტა ხნით "დენ ბოსხში" გადავიდა, ხოლო ახლა "სახლში" დაბრუნდა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ხოსეპ გვარდიოლა

# ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია, მთავარი წინ არის

## მინდოდა, მთელი სამყაროსთვის დამემტკიცებინა, რომ ხელწამოსაკრავი სპეციალისტი არ ვარ



გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ "ბარსელონა" დღესდღეობით ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. გარდა ამისა, კატალონიელები შესანიშნავი შედეგებითაც იწონებენ თავს. პრიმერა დივიზიონში ჩატარებული 17 შეხვედრიდან მათ 14 მოიგეს და ახლა ერთპიროვნული ლიდერები არიან. გასული სეზონის შემდეგ "ბარსელონამ" გასაოცარი პროგრესი განიცადა. ფეხბურთის განსაკუთრებული ცოდნა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს ყველაფერი ხოსეპ გვარდიოლას ფანტასტიკური მუშაობის შედეგია. სხვათა შორის, შარშან მის დანიშვნას გულშემატკივრებისა და მიმომხილველების ერთი ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა. საზოგადოება შიშობდა, რომ სამწვრთნელო ასპარეზზე გამოცდილების არმქონე გვარდიოლა ასეთ დიდ საქმეს ვერ გასწვდებოდა და "ბარსა" სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა. სკეპტიკური პროგნოზი არ გამართლა. კატალონიური გრანდი შეუდარებელია.

გუშინ "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი მარტინ სანჩესი პეპ გვარდიოლას შეხდა და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მოამზადა.

**- თქვენთან შეხვედრა ძალიან დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე. ნუთუ ასეთი დაკავებული ხართ?**

- მგონი, ჟურნალისტებს სასაყვედურო არაფერი გაქვთ. პრესკონფერენციებს საკმაოდ ხშირად ვმართავ, მაგრამ ექსკლუზიური ინტერვიუებისთვის სამწუხაროდ დრო ნაკლებად მრჩება. იმედია, არ მიწყენთ. მთავარია, რომ საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს პასუხს ყოველთვის ვცემ. რა თქმა უნდა, იმასაც მშვენივრად ვაცნობიერებ, რომ ექსკლუზიურ ინტერვიუს სულ სხვა ხიბლი აქვს. ასე რომ, თქვენს განკარგულებაში მიგულეთ.

**- სეზონის დაწყების წინ ელოდით "ბარსელონის" ასეთ კარგ თამაშს?**

- ცოტა არ იყოს გულუბრყვილო კითხვაა. ჩემი გუნდის კარგად თამაშის იმედი რომ არ მქონოდა, თანამდებობას არ დავთანხმდებოდი. როცა "ბარსელონაში" მუშაობა შემომთავაზეს, სერიოზულად დავფიქრდი. ყველაფერი ავწონ-დავწონე და გავაცნობიერე, რომ ჩემი საფეხბურთო მსოფლმხედველობით წარმატების მოპოვების შანსი მქონდა. მუშაობა დიდი ოპტიმიზმით დავიწყე. მჯეროდა, რომ ჩვენი საერთო შრომა კარგ შედეგს გამოიღებდა. მადლობა ღმერთს, იმედი არ გამიცრუვდა. ყველა ხედავს, რომ "ბარსელონა" დღეს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. რა თქმა უნდა, მჯეროდა, რომ კარგად თამაშის უნარი შეგვწევდა. გუნდის შემადგენლობას კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი და მიხვდებით, რომ "ბარსელონისთვის" შეუძლებელი არაფერია.

**- თუმცა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეთ. პირველი შეხვედრა "ნუმანსიასთან" წააგეთ, შემდეგ კი "რასინგთან" შინ ფრედ ითამაშეთ. საინტერესოა, სადებიუტო ორ შეხვედრაში განცდილი ფიასკოს შემდეგ ეჭვებმა არ შეგიპყროთ?**

- როგორ შეიძლება სულ რაღაც ორი მატჩის შემდეგ ეჭვებით დაავადდე? მაშინ ზუსტად ვიცოდი, რომ ეს წარუმატებლობა დროებითი იყო. რა თქმა უნდა, განწყობაზე ძალიან ცუდად იმოქმედა, მაგრამ ძალა მოვიკრიბეთ, ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა გულწრფელად ვილაპარაკეთ და "ბარსას" ზუსტი დიაგნოზი დავუსვით. ამის შემდეგ სიტუაციის გამოსწორება გაცილებით იოლი გახდა.

**- და რა იყო ამ წარუმატებლობების მიზეზი?**

- რა თქმა უნდა, ზედმეტი თავდაჯერება. ძალიან მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა "ნუმანსია" და "რასინგი" ჯეროვნად არ დააფასეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ იოლად გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ცხვირი წავიმტვრიეთ. წარუმატებლობის კიდევ ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ სეზონი ახალი დაწყებული იყო და ფორმაში არ ვიყავით.

**- მესამე ტურიდან საოცრებები დაიწყო. "ბარსელონამ" აიშვა და მოწინააღმდეგეების მიწასთან გასწორება დაიწყო. როცა თქვენი გუნდის თამაშს უყურებთ, ამპარტავნება არ გიპყრობთ?**

- ფეხბურთში გუშინ არ მოვსულვარ და ძალიან კარგად ვიცი, რომ აღმაფრენას შეიძლება ვარდნა მოჰყვეს. ამას თავი რომ დაანებო, მთელი სეზონის განმავლობაში მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა იყო და წამითაც არ უნდა მოდუნდე. დიახ, ჩემი გუნდის თამაში სიამაყეს და სიამოვნებას მგვრის, მაგრამ ყველაზე დიდი გატაცების დროსაც მახსოვს, რომ ჯერჯერობით არაფრისთვის მიმიღწევია. 17 ტურში 14 მატჩის მოგება, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, თუმცა ამ 14 მოგებას ჩვენთვის არანაირი ტიტული არ მოუტანია. დარჩენილ შეხვედრებსაც თუ არ მოვიგებთ ყველაფერს ფასი დაეკარგება.

**- გასული სეზონის მიწურულს ჟურნალისტებმა გაიგეს, რომ ფრენკ რაიკაარდის ნაცვლად აპირებდნენ თქვენს დანიშვნას. ინფორმაცია, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ გავრცელდა. კატალონიურ საფეხბურთო საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით მწვავე დებატები გაიმართა. გულშემატკივრებისა და სპეციალისტების საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება არ გქონდათ. რას გრძნობდით, როცა ამგვარ მოსაზრებებს ისმენდით?**

- ყოველთვის ვცდილობ, მოვლენები ობიექტურად შევაფასო. საზოგადოების ერთი ნაწილის სკეპტიკური შეფასება ლოგიკური გახლდათ, რადგან "ბარსელონის" ძირითად გუნდში დანიშვნამდე დიდ კლუბში მუშაობის გამოცდილება მართლაც არ მქონდა. სულაც არ მიკვირდა, რომ ხალხს ჩემი მოსვლის ეშინოდა, მაგრამ სკეპტიკური დამოკიდებულება მოტივაციას მიმაღლებდა, რაღაცნაირი ჟინი გამიჩნდა. მინდოდა, მთელი სამყაროსთვის დამემტკიცებინა, რომ ხელწამოსაკრავი სპეციალისტი არ ვარ. ახლა სწორედ ამ პროცესში ვიმყოფები. იმედია, მართლაც დავამტკიცებ, რომ "ბარსელონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყოფნას ვიმსახურებ.

**- ჩემი აზრით, თქვენ ეს უკვე დაიმსახურეთ. ძალიან დიდი სხვაობით გაიჭერით წინ. ხომ არ ფიქრობთ, რომ პრიმერა დივიზიონმა ინტრიგა დაკარგა?**

- არავითარ შემთხვევაში. ინტრიგა იქამდე იარსებებს, სანამ ჩემპიონობას ოფიციალურად არ გავინაღდებთ. დღეს ხშირად ისმის, "ბარსელონამ" ყველა კითხვას გასცა პასუხი და ჩემპიონობა განაღდებული აქვსო. ეს მცდარი შეხედულებაა. ხომ შეიძლება, "ბარსას" ფეხბურთელები ფორმიდან ამოვარდნენ და ამით ჩვენმა კონკურენტებმა ისარგებლონ? პროფესიონალები წინასწარ არ ზეიმობენ. ფიესტა უნდა მოამზადო და შრომით დაიმსახურო. მოკლედ, ჩვენ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია.

**- ყველაზე სერიოზულ კონკურენციას რომელი გუნდისგან ელით?**

- ჩვენ საკმაოდ ბევრი კონკურენტი გვყავს: "ვალენსია", "სევილია", "ატლეტიკო", "ვილიარეალი" და, რა თქმა უნდა, "რეალი". ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ ეს გუნდები ახლა ჩასაფრებულები არიან. ერთი სული აქვთ, ქულები დავკარგოთ და ჰანდიკაპი შეამცირონ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ მოხდეს.

**- წელს ყველაზე მეტად რომელი თამაში მოგეწონათ?**

- მხოლოდ ერთი მატჩის გამოყოფა გამიჭირდება. ჩემი აზრით, ძალიან ბევრი ლამაზი შეხვედრა ჩავატარეთ. მაგალითად, „ატლეტიკოსთან" მატჩი რად ღირს. ძალიან ლამაზად ვითამაშეთ. ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ მგონი პირველი ტაიმის 20 წუთში სამი გოლი გავიტანეთ. „ვალენსიასთანაც" არაჩვეულებრივად გამოვიყურებოდით. ელ კლასიკოც უნდა გავიხსენოთ. დიდი დაძაბულობისა და მოწინააღმდეგის საოცარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველა დაბრკოლება გადავლახეთ და „რეალი" დამაჯერებლად დავამარცხეთ.

**- სხვათა შორის, იმ შეხვედრის შემდეგ ხუანდე რამოსმა განაცხადა, დრენტესა და პალანკას გოლები რომ გაეტანათ სამ ქულას მოვიპოვებდითო.**

- იმედია, ხუანდე არ მიწყენს, მაგრამ ეს გულდაწყვეტილი ადამიანის განცხადებას ჰგავდა. თუ ასე ვიმსჯელებთ, სამუელ ეტოოს, მესის, ჩავისა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს ყველა მომენტი რომ გამოეყენებინათ, „რეალს" გამანადგურებელი ანგარიშით მოვუგებდით. ვგონებ, საკამათო არაფერია. ელ კლასიკო ჩვენი უპირატესობით წარიმართა და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**- თქვენი მოწინააღმდეგე გუნდების მწვრთნელები ხშირად ამბობენ, რომ „ბარსელონას" დამარცხება შეუძლებელია. როგორ ფიქრობთ, ისინი ამ დროს გულწრფელები არიან?**

- ძალიან ძნელია, სხვა ადამიანის გულში ჩაიხედო. თუმცა, არანაირი საფუძველი არ მაქვს, მათ გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო. შესაძლოა, ვინმე ზედმეტი კომპლიმენტებით ჩვენს მოდუნებას ცდილობს, მაგრამ ამ ხერხით ვერაფერს მიაღწევენ. ნაკლებად მაინტერესებს, ჩვენზე ვინ რას იტყვის, მთავარია, "ბარსამ" შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოამჟღავნოს. ამ შემთხვევაში ჩვენი დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ.

**- ჩემპიონთა ლიგაზეც უნდა გკითხოთ. მერვედფინალში „ლიონთან" მოგიწევთ დაპირისპირება. ჩემი აზრით, „ბარსელონა" გამოკვეთილი ფავორიტია.**

- წინასწარ საუბარი არ მინდა. რა თქმა უნდა, გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს, მაგრამ მოწინააღმდეგეს პატივი უნდა ვცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მწარედ დავისჯებით. ფეხბურთს მრავალი ასეთი მაგალითი ახსოვს.

**- „ლიონისგან" ყველაზე დიდ საფრთხეს რაში ხედავთ?**

- "ლიონი" სტაბილური და კარგად შეთამაშებული გუნდია. ფრანგებს არაჩვეულებრივი ფეხბურთელები ჰყავთ. კარიმ ბენზემას პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად მივიჩნევ. "ლიონს" ერთსულოვნებითა და მიზანდასახულობით ძალიან დიდი შედეგების მიღწევა შეუძლია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ფრანგებს თავისუფლად თამაშის უფლება არ მივცეთ.

**- სეზონის დაწყების წინ აცხადებდით, რომ სამუელ ეტოო არ გჭირდებოდათ და მის გაყიდვას აპირებდით.**

- ძალიან გთხოვთ, ფაქტებს ნუ ამახინჯებთ. მე არასოდეს მითქვამს, რომ ეტოო არ მჭირდებოდა. გასულ სეზონში თავად ის ამბობდა, რომ "ბარელონიდან" წასვლას აპირებდა. ეტოოს არჩევანის თავისუფლად გაკეთების საშუალება მივეცი და განვაცხადე, თუ წასვლა უნდა, ჩვენ ხელს არ შევუშლითმეთქი.

**- კმაყოფილი ხართ მისი თამაშით?**

- რა თქმა უნდა, ის ჩვენი საუკეთესო ბომბარდირია და დარწმუნებული ვარ, რომ სეზონის დასრულებამდე კიდევ არაერთ გოლს გაიტანს. მჯერა, ეტოოს გოლები დასახული ამოცანების გადაჭრაში სერიოზულად დაგვეხმარება.

ესპანიოლი

# გააგდეთ კამენი!

## აფრიკელ მეკარეს გულშემატკივრის შეურაცხყოფას ვერ ჰპატიობენ

"ესპანიოლის" მეკარე კარლოს კამენიმ სერიოზულ უსიამოვნებაში გაყო თავი. კატალონიური გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშისას გულშემატკივარმა **დავიდ აროიომ** კამერუნელ მეკარეს მიაძახა, რას ჰგავხარ, როგორ თამაშობ, შენთან კონტრაქტი რატომ გაახანგრძლივესო. "ესპანიოლის" სოსიოს ამ გულახდილმა რეპლიკამ კამენი საშინლად აღაშფოთა და წონასწორობა დააკარგვინა. კარლოსმა ვარჯიში მიატოვა და აროიოს საცემად გაიქაჩა. კიდევ კარგი, იქვე მყოფმა ადამიანებმა მათი გაშველება მოახერხეს, თორემ აროიოს კარგი დღე არ დაადგებოდა. მას მხოლოდ ერთი მუშტი მოხვდა და ისე შებარბაცდა, კინაღამ მიწაზე გაიშხლართა. ბუნებრივია, ეს ფაქტი გამოხმაურების გარეშე არ ჩაივლიდა. "ესპანიოლის" სოსიოებმა კამენის საქციელი უკიდურესად უარყოფითად შეაფასეს და ხელმძღვანელობისგან მისი გუნდიდან მოკვეთა მოითხოვეს. დირექტორატი ამ თხოვნის დაკმაყოფილებას არ აპირებს, მაგრამ როგორც ჩანს, კამენი გვარიანად გალანძღეს. ყოველ შემთხვევაში აფრიკელმა გოლკიპერმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და ცოდვა მოინანია: "*ჩვენი გუნდის სოსიო ძალიან ცუდად მომექცა. ისე მომაძახა, თითქოს უკანასკნელი ვიგინდარა ვიყო. საშინლად გავბრაზდი, მაგრამ ახლა ვაღიარებ, რომ ზედმეტი მომივიდა. ჩხუბის დაწყებას არავითარი გამართლება არ აქვს. მეც მშვენივრად ვიცი, რომ არ ვარ საუკეთესო ფორმაში, მაგრამ ამის გამო სახალხოდ არ უნდა გამლანძღონ. ჩვეული კონდიციების დასაბრუნებლად ყოველდღიურად ვშრომობ. მე თვითკრიტიკული ადამიანი ვარ და ძალიან კარგად ვიცი, ყველაზე მეტად რა მაწუხებს. ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს ამ ინციდენტისთვის ბოდიშს ვუხდი. ძალიან ვწუხვარ, რომ უსიამოვნო ფაქტის მონაწილე გავხდი. დიდი წყენის მიუხედავად, მზად ვარ, დავიდ აროიასაც მოვუბოდიშო. იმედია, ეს უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა და ჩვეულ ცხოვრებას გავაგრძელებთ*".

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ესპანიოლის" დირექტორატი კარლოს კამენის წინააღმდეგ ფულადი სანქციის დაწესებას გეგმავს. სავარაუდოდ, აფრიკელს 8 ათასი ევროს გადახდა მოუწევს.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



ბაიერნი

# შვაინი ათიანს ითხოვს!

## რენზინგმა, ადლერს ვჯობივარო

**ბასტიან შვაინშტაიგერმა** „ბაიერნთან" კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა. 24 წლის ნახევარმცველს **იურგენ კლინსმანის** ხელში პროგრესი აშკარად დაეტყო, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი – შვაინი ხომ კლინსის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია. შესაბამისად, მან რეკორდმაისტერში უპრობლემოდ დაიმსახურა ახალი ხელშეკრულება და „ბაიერნის" ფანებიც დამშვიდნენ.

„ბაიერნის" პირველ გუნდში ჩარიცხვის დღიდან, შვაინშტაიგერი 31-ე ნომრით თამაშობს და ეს ნომერი მისთვის უკვე სავიზიტო ბარათად იქცა. მაგრამ დიდი შანსია, რომ მალე შვაინისა და 31-ე ნომრის მეგობრობა წარსულს ჩაჰბარდეს, რადგან ბასტიანს 10-იანი უნდა! *„ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ ვერ დავმალავ, რომ მე-10 ნომრით თამაში მართლაც მსურს. ამ საკითხზე ული ჰიონესს უკვე ველაპარაკე და ვნახოთ, რა და როგორ იქნება,"* - აცხადებს შვაინშტაიგერი.

ათიანი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ყველაზე პრესტიჟული ნომერია – „ბაიერნში" **ლოთარ მათეუსი**, ბრაზილიის ნაკრებში **პელე**, არგენტინის ეროვნულ გუნდში **დიეგო მარადონა** – ისინი სწორედ ათიანები იყვნენ.

*„შვაინშტაიგერს მე-10 ნომერი დაჟინებით არ მოუთხოვია. მან უბრალოდ მითხრა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა ამ ნომრით. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ახალ კონტრაქტში ესეცაა გათვალისწინებული, ცდება. ამ საკითხზე ივლისიდან ვიფიქრებთ,"* - ეს კი ჰიონესის სიტყვებია.

„ბაიერნის" მენეჯერისთვის ეს საკითხი აშკარად არაპრიორიტეტულია. ისე, ული ათიანის გადაცემას **ტონი კროოსისთვის** გეგმავდა, რომელიც ახლა 39-ე ნომრით თამაშობს და უდიდეს ტალანტად მიიჩნევა.

ბავარიელთა კარის დარაჯ **მიხაელ რენზინგს** პირველ წრეში ძალიან გაუჭირდა. მან რამდენიმე არასაპატიო შეცდომა დაუშვა, რის გამოც ძალიან აკრიტიკებდნენ. თუმცა სეზონის პირველი ნახევრის მიწურულს რენზინგი აშკარად გამოსწორდა და თანაც, მას მთელი „ბაიერნი" მხარში დაუდგა. ახალგაზრდა მეკარის მომდევნო მიზანი გერმანიის ნაკრებში ადგილის დამკვიდრებაა. რენზინგი ბუნდესგუნდში მყარად ფეხმოკიდებულ **რენე ადლერს** უტევს!

*„თუკი გავიხსენებთ, რომ გერმანიის ნაკრების დღევანდელი მეკარე სამი წლის წინათ ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი შემცვლელი იყო, მაშინ ნებისმიერი იმ აზრზე უნდა იყოს, რაზეც მე ვარ. ნამდვილად არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მე რენე ადლერზე უკეთესი მეკარე ვარ!"* - განაცხადა დუბაიში მიხაელმა.

ფაქტი ის გახლავთ, რომ ადლერს ბუნდესლიგაში დებიუტი თითქმის ორი წლის წინათ ჰქონდა და მას მერე სისუსტეები ფაქტობრივად არ გამოუვლენია. ბუნდესგუნდში კი ლევერკუზენელმა სამი თამაში ჩაატარა და სამივეში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, ინგლისთან ერთი შეცდომა დაუშვა, მაგრამ საფეხბურთო გერმანიაში ყველა ერთხმად ამბობს, რომ ადლერი გერმანიის ნაკრების ღირსეული მეკარეა. რენზინგს კი მხოლოდ ამ სეზონში აქვს სათამაშო პრაქტიკა და ისიც, პირველ ტურებში საკმაოდ თავდაუჯერებელი გახლდათ. ცოტა ხნის წინათ ის „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმაც** კი გააკრიტიკა.

მართალია, ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** დღესდღეობით უპირატესობას ადლერს ანიჭებს, მაგრამ ჯერ არაა გადაწყვეტილი, ვინ დაიცავს გერმანიის კარს 2010 წლის მუნდიალზე. ადლერის კონკურენტები რენზინგთან ერთად, უფრო სწორად, პირველ რიგში, ბრემენელი **ტიმ ვიზე** და ჰანოვერელი **რობერტ ენკე** არიან.



ბასტიან შვაინშტაიგერს 31-ე ნომერი მოჰბეზრდა და პრესტიჟულ ათიანს ითხოვს




ბაიერნელები დუბაის შეკრებაზე

ლევერკუზენი

# შნიქსი დაბრუნდა!

## რვათვიანი ტანჯვა დასრულებულია, შნაიდერი მოედანს უბრუნდება!

ლევერკუზენის „ბაიერისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა **ბერნდ შნაიდერმა** ოპერაციის შემდეგ, 8 თვე ლაზარეთში გაატარა, ახლა კი მოედანზე ბრუნდება. 35 წლის შნაიდერს ბოლო ოფიციალური მატჩი 2008 წლის 24 აპრილს აქვს ჩატარებული – მას ტრავმის გამო ევროპის ჩემპიონატიც გაუცდა. „თეთრ ბრაზილიელად" წოდებულმა შნიქსმა სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა.

*„ერთი სული მქონდა, როდის დავიწყებდი ვარჯიშს. ბურთის გაგორებას ჩემთვის ასეთი სიამოვნება აქამდე არასდროს მოუნიჭებია. ახლა მთავარია, რომ რაც შეიძლება მალე ავიდგინო ფორმა,"* - აცხადებს ფეხბურთელი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 81 მატჩი აქვს ჩატარებული. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მძიმე ტრავმისა, „ლევერკუზენმა" მას კონტრაქტი მაინც გაუგრძელა – 2010 წლამდე.

ლაზარეთიდან დაბრუნდა მცველი **ლუკას სინკევიჩიც**, თუმცა ის სრული დატვირთვით ვარჯიშს ჯერ ვერ ახერხებს. სამაგიეროდ, „ლევერკუზენის" პირველ ვარჯიშს ბერძენი თავდამსხმელი **თეოფანის გეკასი** დააკლდა. *„ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ან უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. მეორე წრეში სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, ხუთეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ,"* - ამბობს „ბაიერის" მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია**. შეგახსენებთ, რომ „ლევერკუზენმა" ბუნდესლიგის პირველი წრე მეხუთე ადგილზე დაასრულა.

ეს საინტერესოა

# გერმანული რეკორდები

**მიუნხენის „ბაიერნს" რეკორდმაისტერს უწოდებენ იმის გამო, რომ ბავარიულ გრანდს გერმანიაში ყველაზე მეტი პოზიტიური რეკორდი აქვს დამყარებული. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეკორდებს მხოლოდ მიუნხენელები ამყარებენ. არსებობს არაერთი საინტერესო რეკორდი, რომელთა ავტორები სხვა გუნდები არიან და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესლიგის ყველა კლუბს აქვს ისეთი მიღწევა, რომლის გამეორებაც ძალიან ძნელია. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ რეკორდებსაც. „ლელომ" ყველაზე საინტერესო გერმანულ რეკორდებს თავი მოუყარა...**

„ბაიერნი" წინა სეზონში ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს 34 ტურის განმავლობაში ლიდერობდა – ანუ, მთელი სეზონის განმავლობაში. ასეთი მიღწევა სხვა არც ერთ გუნდს არასდროს ჰქონია. „ბაიერნისთვის" კი ეს სულაც არ იყო პირველი შემთხვევა: რეკორდმაისტერს 1972/73 და 1984/85 წლების სეზონშიც ასეთი შედეგი ჰქონდა...

გასულ სეზონში ბრემენის „ვერდერიდან" 20-მა სხვადასხვა ფეხბურთელმა შეძლო გოლის გატანა. ამდენი გოლეადორი სხვა არც ერთ გერმანულ კლუბს ერთ სეზონში არასდროს ჰყოლია.

„შალკეს" ფეხბურთელი **კლაუს ფიხტელი** 43 წლის იყო, როცა ბუნდესლიგაში უკანასკნელი მატჩი ჩაატარა – ეს 1988 წლის 21 მაისს მოხდა. ამით, ფიხტელი ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე გახდა და ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ მისი რეკორდი ვინმემ დაამხოს.

თავის დროზე ლეგენდარულ თავდამსხმელ **ულფ კირსტენს** მხოლოდ 11 წამი დასჭირდა იმისათვის, რომ გოლი გაეტანა. ეს გახლავთ ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი. კირსტენმა ეს გოლი 2002 წლის 30 მარტს „კაიზერსლაუტერნს" გაუტანა. თუმცა კირსტენთან ერთად, ყველაზე სწრაფი გოლის ავტორია „ბაიერნის" ლეგენდარული ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჯოვანი ელბერიც**, რომელმაც 1998 წლის 31 იანვარს „ჰამბურგის" კარი ასევე მე-11 წამზე დალაშქრა.



ბუნდესლიგის ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი ულფ კირსტენი (11 წამი). მასთან ერთად, ასეთივე შედეგი აქვს ჯოვანი ელბერსაც



კიოლნელი რეკორდსმენი დიტერ მიულერი, რომელმაც ერთ თამაშში 6 გოლი გაიტანა

ერთადერთი გუნდი, რომელიც ბუნდესლიგაში მისი დაარსებიდან თამაშობს და ელიტიდან არასდროს გავარდნილა, „ჰამბურგია". ზედიზედ 46 სეზონია, რაც ჩრდილოგერმანული კლუბი პირველ ბუნდესლიგაში ასპარეზობს – 1963 წლიდან, როცა ბუნდესლიგა დაარსდა. შესაბამისად, ეს რეკორდი „ჰამბურგის" საკუთრებაა...

ბუნდესლიგის ისტორიაში პირველი ჰეთ-თრიკი „კარლსრუეს" ფეხბურთელ **ოტო გაიზერტს** ეკუთვნის. ეს ჰეთ-თრიკი პირველსავე სეზონში (1963/64) შესრულდა და გაიზერტმა სამი გოლი „ნიურნბერგს" გაუტანა. ბადენელები თამაშს 1:2-ს აგებდნენ და ხსენებული ჰეთ-თრიკის შემდეგ 4:2 მოიგეს.

ბუნდესლიგის წინა სეზონში „ვოლფსბურგის" ფორვარდ **გრაფიტეს** საშუალოდ მატჩში 45.4 ორთაბრძოლაში უწევდა მონაწილეობა, რაც იმ სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია.

„შტუტგარტი" თავის არსებობის ისტორიაში, პირველი ტურის შემდეგ 2-ჯერ იყო ბოლო ადგილზე და საინტერესო ის გახლავთ, რომ შვაბები ორივე სეზონში გერმანიის ჩემპიონები გახდნენ. ლაპარაკია 1991/92 და 2006/07 წლების სეზონებზე.

მეორე ბუნდესლიგაში ერთი ფეხბურთელისთვის რეკორდი 153 გოლია. მეორე ლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი დღემდე „ჰანოვერის" ყოფილი მოთამაშე **დიტერ შატცშნაიდერი** გახლავთ.

პირველ ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი მატჩის (ერთ გუნდში) რეკორდი **კარლ-ჰაინც კიორბელს** ეკუთვნის, რომელმაც 1972-დან 1991 წლამდე ფრანკფურტის „აინტრახტის" ფორმით გერმანიის ელიტარულ ლიგაში სულ 602 მატჩი ჩაატარა. ერთგული კიორბელი დღეს „აინტრახტის" საფეხბურთო სკოლის თავმჯდომარეა.

ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი დორტმუნდის „ბორუსიის" ნახევარმცველი **ნური შაჰინია**, რომელმაც გერმანიის პირველობაზე პირველი მატჩი რომ ჩაატარა, 16 წლის, 11 თვისა და 1 დღის იყო (2005 წლის 6 აგვისტო, „ვოლფსბურგთან").

გერმანიის ჩემპიონატი ბოლო წლებში დასწრების მხრივ ევროპაში ერთპიროვნული ლიდერია. ბუნდესლიგის მატჩებზე დასწრების რეკორდი 88075 მაყურებელია. ეს მაჩვენებელი 1969 წლის 26 სექტემბერს დაფიქსირდა – ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე", „ჰერტასა" და „კიოლნის" მატჩზე.

2003/04 წლების სეზონში, „ბოხუმის" მეკარე **რაინ ვან დუინჰოვენმა** 910 წუთის განმავლობაში საშინაო მატჩებში გუნდის კარი მშრალად შეინახა. ეს დღემდე დაუმხობელი რეკორდია.

2001 წლის 6 აპრილს, კოტბუსის „ენერგის" ძირითად შემადგენლობაში 11 არაგერმანელი ფეხბურთელი იყო გამწესებული. ამ მხრივ „კოტბუსი" რეკორდსმენია.

ბილეფელდის „არმინია" მეორედან პირველ ბუნდესლიგაში 7-ჯერ გადავიდა, რაც რეკორდია.

12:0 ბუნდესლიგის ყველა მატჩის ყველაზე დიდი სხვაობაა. 1978 წლის 29 აპრილს ამ ანგარიშით მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" სძლია, დორტმუნდის „ბორუსია" დაამარცხა.

ერთ თამაშში ექვსი გოლის გატანა მხოლოდ „კიოლნის" თავდამსხმელმა **დიტერ მიულერმა** შეძლო. მან ეს 1977 წლის 17 აგვისტოს, ბრემენის „ვერდერთან" შეხვედრაში გააკეთა, რომელიც „თხებმა" 7:2 მოიგეს.

ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის ლიდერი „ჰოფენჰაიმი" იმ სოფლის გუნდია, სადაც მხოლოდ 3 000 მაცხოვრებელია რეგისტრირებული. ბუნდესლიგაში პირველად თამაშობს გუნდი, რომელსაც მხოლოდ 3 000 პოტენციური მხარდამჭერი ჰყავს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინტერვიუ

რობერტო დონადონი

# დონის ნაყოფიერი უსაქმურობა

## სკუადრა აძურა შეცდომა იყო



**რობერტო დონადონიმ** იტალიის ეროვნულ ნაკრებში წარუმატებლად იმუშავა და სახელიც ერთობ გაიფუჭა. არადა, „აძურას" ყოფილი ფეხბურთელი „ლივორნოს" შესანიშნავად წვრთნიდა, შედეგიც კარგი ჰქონდა და ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სპეციალისტად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ ანდეს ეროვნული ნაკრების მესაჭეობა და როგორც შემდეგ გამოჩნდა, შეცდნენ კიდეც. საქმე მხოლოდ შედეგში არ გახლავთ, მთავარი ის არის, რომ „სკუადრა აძურას" თამაშში უჩვეულოდ ბევრი ხარვეზი და წუნი იყო. წარუმატებელი ევრო 2008-ის შემდეგ, დონადონი ერთი ხანობა ჩრდილში მოექცა, თუმცა შემდეგ ახალი წინადადებები შესთავაზეს და მისმა პერსონამ აქტუალურობა დაიბრუნა. „გაძეტა დელო სპორტმა" სენიორ რობერტოს საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა...

**- არ მოგბეზრდათ სახლში ჯდომა?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, არა, რადგან ამ პერიოდს ძალიან ნაყოფიერად ვიყენებ. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ნაკრებიდან წამოსვლის შემდეგ გაცილებით მეტი ვისწავლე, ვიდრე მუშაობისას. რომ არ დაიბნეთ, აგიხსნით: მთელი დღეები ვზივარ ტელეეკრანთან და სხვადასხვა ჩემპიონატის მატჩებს ვუყურებ. ვარჩევ, ვაანალიზებ ტაქტიკებს და ძალიან დიდ ინფორმაციას ვიღებ. ახლა გაცილებით მეტი ვიცი ესპანურ და ინგლისურ ფეხბურთზე, ალარაფერს ვამბობ სერია A-ში მოასპარეზე გუნდებზე. ყველაფერთან ერთად, ოჯახშიც ძალიან კმაყოფილები არიან და სულ მიჩიჩინებენ, რომ ჯერჯერობით ახალ სამსახურზე არ ვიფიქრო.

**- და მაინც, რა ისწავლეთ? იქნებ დაგვიკონკრეტოთ. თუნდაც, შეადარეთ ინგლისური, ესპანური და იტალიური ფეხბურთი ერთმანეთს.**

- ტაქტიკურ ნიუანსებზე რომ ვისაუბროთ, გაზეთის ფორმატში ვერ ჩავეტევით. ამიტომ, ორი სიტყვით გეტყვით. ესპანეთში ყველაფერი ბურთის გარშემო ტრიალებს. პირენეებზე ბურთს თამაშობენ და დანარჩენი ყველაფერი ამ მრგვალი სფეროს გარშემო მოძრაობს. საპირისპირო ვითარებაა კალჩოში, ჩვენთან ბურთი ექვემდებარება ტაქტიკურ სქემებს და წინასწარ დაგეგმილ სტრატეგიებს. ეს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იტალიაში იმპროვიზაცია არ არის, ან ტექნიკური ფეხბურთელების ნაკლებობას განვიცდით, უბრალოდ, სქემებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ინგლისელები კი ძალიან ემოციურად თამაშობენ, ერთი ამოსუნთქვით - ბრიტანული სტილი კარგად მოგეხსენებათ, გრძელი გადაცემები, ორთაბრძოლებია.

**- ინგლისიდან არაერთი შეთავაზება გქონდათ, რატომ ითრევთ ფეხს?**

- ეს არაფერ შუაშია, უბრალოდ, პირველივე წინადადებას ვერ დავთანხმდებოდი. ყველაფერი კარგად უნდა ავწონო და გადაწყვეტილება ისე მივიღო. ინგლისური პრემიერლიგა მიზიდავს, მაგრამ ასე უკანმოუხედავად ვერ წავიდოდი იმ გუნდში, რომლის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცოდი. ცხოვრებამ ერთი რამე მასწავლა, დაუფიქრებლად არაფერი არ უნდა გააკეთო.

**- ფაბიო კაპელო და ჯან ფრანკო ძოლა ინგლისში დაუფიქრებლად წავიდნენ, ირლანდიის ნაკრებს კი ჯოვანი ტრაპატონი ჩაუდგა სათავეში. ნუთუ, თანამედროვე ფეხბურთში ბევრი ფიქრია საჭირო?**

- კაპელო და ტრაპატონი უდიდესი მწვრთნელები არიან, რომლებსაც ზურგს ძალიან დიდი გამოცდილება უმაგრებთ. მათ აქვთ უფლება მოიქცნენ ისე, როგორც გული უკარნახებთ. ჩემი თაობის მწვრთნელებს ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი. ბოლო დროს, ხშირად ვფიქრობ, რომ იტალიის ნაკრების ჩაბარება ჩემი მხრიდან შეცდომა იყო. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ნაკრებს ცუდად ვთავკაცობდი, უბრალოდ, უკეთესი იქნებოდა ასეთი შანსი უფრო დაბრძენებულს მომცემოდა.

**- ესე იგი, ნანობთ, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყავით?**

- რაც იყო, იყო, ამას დღეს არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. წინ უნდა ვიყუროთ და ახალი მიზნები დავისახოთ. იმ ადამიანთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომელიც გაჩერდება, მალე დავუბრუნდები ფეხბურთს და ახალ გამოწვევებს მივიღებ. იმედია, მომავალში ფორტუნა უფრო მეტად იქნება ჩემს მხარეს, რადგან „აძურაში" ზურგი მაქცია. ესპანელებთან თერთმეტმეტრიანებში რომ მოგვეგო, დონადონის ფორმაციის ნაკრებზე სხვანაირად ილაპარაკებდნენ.

**- საშობაოდ, ალბათ, იღბალი ისურვეთ...**

- ალბათ. სიმართლე გითხრათ, აღარც მახსოვს, რა ჩავიფიქრე. უფრო მსიამოვნებს, როცა სხვას ვუსურვებ რაიმე კარგს, ან საჩუქარს ვჩუქნი. ამ დღეებში ძალიან ბევრ ახლობელს შევეხმიანე და ბევრი საჩუქარიც დავარიგე, ეს ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**- მათ შორის, საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებიც იქნებოდნენ...**

- ბუნებრივია. ბოლოს კაპელოს ვესაუბრე, ერთმანეთს დღესასწაულები მივულოცეთ და წარმატებები ვუსურვეთ. ფაბიო ძალიან კარგი ადამიანია და არ მესმის, რატომ არის მასზე ჩამოყალიბებული აბსოლუტურად განსხვავებული სტერეოტიპი. ვესაუბრე ჯენარო გატუზოს, ანტონიო კასანოს, არიგო საკის, ძალიან ბევრს.

**- თემა შევცვალოთ. დევიდ ბექჰემი „მილანში" ითამაშებს, რას მოუტანს ის „როსონერის"?**

- დევიდი ძალიან ძლიერი ფეხბურთელი და უდიდესი პროფესიონალია. მის თამაშს ყოველთვის დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი და კარგად ვიცი, რა შეუძლია ამ ფეხბურთელს. თუ ბექჰემს სწორად გამოიყენებ, მისგან უდიდესი სარგებლის მიღება შეიძლება. ანჩელოტი ჭკვიანი მწვრთნელია და ინგლისელს თავის ადგილს მოუძებნის. „მილანი" კიდევ უფრო სახიფათო გახდება, განსაკუთრებით სტანდარტული სიტუაციებისას.

**- „მილანში" ძალიან დიდი კონკურენციაა, ხომ არ ავნებს ეს გუნდს?**

- არავითარ შემთხვევაში. კონკურენცია ყოველთვის კარგია, მით უმეტეს, როცა ასეთ ვარსკვლავებთან გვაქვს საქმე. კონკურენცია კარგია ნებისმიერი ფორმით, მაგალითისთვის ისევ და ისევ სტანდარტული სიტუაციის მოყვანა შეიძლება. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება მეკარე, როდესაც მისი კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნება და ბურთთან ანდრეა პირლო, დევიდ ბექჰემი და რონალდინიო მივლენ. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია.

**- „მილანი" სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტია?**

- მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ფავორიტი მაინც „ინტერია". მოურინიომ, ისედაც მძლავრი „ინტერი", კიდევ უფრო გააძლიერა. „ნერაძური" ძალიან სტაბილურია და უმეტეს შემთხვევაში, გამარჯვებული გამოდის. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სკუდეტოს აუცილებლად „ინტერი" მოიგებს.

**- რადგან ასე თამამად აკეთებთ პროგნოზებს, ისიც გვითხარით, რომელი გუნდები მოიპოვებენ ჩემპიონთა ლიგის საგზურს?**

- „მილანი", „იუვენტუსი" და „რომა". ჩემი აზრით, სწორედ ეს გუნდები დააკომპლექტებენ ოთხეულს. „რომა" დღეს არცთუ კარგ პოზიციაშია, კრიზისიდან ბოლომდე არ გამოსულა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ლიგის საგზურს ლუჩანო სპალეტის გუნდი მოიპოვებს. შანსი ასევე აქვთ „ნაპოლის" და „ფიორენტინას". ნეაპოლელების ასპარეზობით აღფრთოვანებული ვარ, ამ გუნდს ვგულშემატკივრობ კიდეც.

**- რომელმა ფეხბურთელებმა დაგამახსოვრეს თავი პირველ წრეში?**

- პირველ რიგში, „იუვენტუსის" ფორვარდებს გამოვყოფ. ალესანდრო დელ პიერომ და კარვალიო ამაურიმ ფანტასტიკური ფეხბურთი გვაჩვენეს, მათი ყურება ერთ რამედ ღირდა. უნდა გამოვარჩიოთ ზლატან იბრაჰიმოვიჩიც. შვედი მოედანზე წარმოუდგენელ რაღაცებს აკეთებს და თუ ასე გააგრძელა, ოქროს ბურთს აუცილებლად მიიღებს. საამისოდ საერთაშორისო ტიტულები აკლია და ამ მხრივ, გუნდმაც უნდა შეუწყოს ხელი. პირველი წრე ანდრეა პირლოს, ფრანჩესკო ტოტის და ჯიჯი ბუფონის ტრავმებითაც დამამახსოვრდა. სამწუხაროა, როცა ასეთი ოსტატები მოედანს დიდი ხნით ეთხოვებიან.

**- ჩემპიონთა ლიგაში იტალიურ-ინგლისური დუელები გველის, რა მოხდება თქვენი აზრით?**

- ძალიან მინდა, რომ ჩვენი გუნდები შემდეგ ეტაპზე გავიდნენ და ამის მჯერა კიდეც. ეს მიუხედავად იმისა, რომ „ინტერს", „რომას" და „იუვენტუსს" ძლიერი მეტოქეები შეხვდათ. მთავარია, საკუთარი თავის ირწმუნონ და ყველაფერი კარგად იქნება.

**- ევროპული გუნდებიდან რომლებს გამოარჩევდით?**

- „ბარსელონას", „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ლივერპულს". ჩემი აზრით, დღეს სწორედ ეს გუნდები თამაშობენ ყველაზე თანამედროვე, სწრაფ და გააზრებულ ფეხბურთს. მართალია, „მანჩესტერი" პრემიერლიგაში ვერ ბრწყინავს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ალექს ფერგიუსონს დიდებული გუნდი ჰყავს, რომელსაც ნებისმიერი ბარიერის გადალახვა შეუძლია. „ინტერი"-„მანჩესტერის" დაპირისპირებას დიდი ინტერესით ველოდები, ეს იქნება ბრწყინვალე გუნდების ორთაბრძოლა.

**- მაინც გკითხავთ, როდის დაუბრუნდებით ფეხბურთს?**

- მე ფეხბურთისგან არც წავსულვარ. რაც შეეხება სამწვრთნელო საქმიანობას, მალე.



# ნესტა ბრუნდება

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ **ალესანდრო ნესტას** კარიერას საფრთხე აღარ ემუქრება. იტალიის ნაკრების ექსფეხბურთელს ამერიკაში გამოკვლევები ჩაუტარდა, რამაც ცხადყო, რომ უკანახაზელი გამოჯანმრთელებას ექვემდებარება. ექიმებმა სარეაბილიტაციო კურსიც დანიშნეს და საქმესაც შეუდგნენ. გახარებულია თავად ფეხბურთელიც, ამაზე მისი სიტყვებიც მოწმობს:

*„გამოკვლევის შედეგებმა უზომოდ გამახარა, რადგან კარიერის დასრულების არავითარი სურვილი არ მქონდა. კარგად ვიცი რა ხდება გუნდში და „მილანელოზე" დაბრუნება ნამდვილად არ გამიჭირდება. 14 იანვარს უკვე მილანში ვიქნები და უმალ ბაზაზე გავემართები. ნელ-ნელა ბურთს შევეჩვევი და ფორმას აღვიდგენ. ძალიან სამწუხაროა ის, რომ ბევრმა უკვე ჩამომწერა. არაერთი სტატია წავიკითხე იმის შესახებ, რომ მაღალ დონეზე თამაშს ველარ შევძლებ. მინდა საპირისპიროში დაგარწმუნოთ, თავს კარგად ვგრძნობ და მომავალს იმედით ვუყურებ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა

# ვინ ფულს თვლის, ვინ უფულობას უჩივის

## საიანვრო სპეციფიკა ნისლიანი ალბიონის სატრანსფერო ბაზარზე

(გაგრძელება)

მანჩესტერ სიტი. პრობლემური პოზიციები გუნდს მრავლად აქვს და ეს თვალნათლივ დაადასტურა "ნოტინგემ ფორესტთან" სათასო შეხვედრამ, სადაც ამბიციური "ქალაქელები" 3:0 დამარცხდნენ ქვედალიგელ სტუმრებთან. **მარკ ჰიუზმა** უკვე მოასწრო ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელის გადაბირება. უელსელმა "ჩელსის" 10 მილიონი გირვანქა მიუთვალა 28 წლის მარცხენა მცველ **უეინ ბრიჯში**. ამას გარდა, გუნდს თვალში საცემი პრობლემები აქვს შეტევის ხაზში და თუ ამას დავუმატებთ **შონ რაიტ ფილიპსის** სერიოზულ ტრავმას, გამოდის, რომ თუ არა ახალწვეულები, გუნდს შეიძლება პრემიერლიგიდან გავარდნაც კი დაემუქროს. სწორედ ამ საფრთხიდან გამომდინარე, გამორიცხული გვგონია, ისეთი სუპერვარსკვლავები, როგორებიც არიან **ბუფონი, ტორესი** და **კაკა**, დათანხმდნენ მანჩესტერელთა წინადადებას. სავსებით შესაძლებელია, რომ მაინც მოხერხდეს **სანტა კრუსის, ბელამისა** და **უორნოკის** გადაბირება. მთავარია, გუნდმა ქვედა ლიგაში არ ამოყოს თავი და შეპირებული სუპერტრანსფერები ალბათ ზაფხულში განხორციელდება. ივლისში არაბმა მეპატრონეებმა შეიძლება გუნდის გაძლიერება სულ სხვაგვარად განიზრახონ. მხედველობაში გვაქვს მთავარი მწვრთნელის პოსტი. თუკი ჰიუზის გუნდი ასევე უსახურად განაგრძობს ასპარეზობას, გამორიცხული არაფერია.

ნიუკასლი. ჩრდილოინგლისურ გუნდს პრობლემა ძირითადად დაცვაში აქვს. სუსტია ასევე ნახევარდაცვის ცენტრი. თუკი ხმებს ვენდობით, მაშინ "კაჭკაჭებს" ყველაზე დიდი პრობლემა ჯერ კიდევ წინ ელით. რამდენიმე პრემიერლიგური გუნდი **შეი გივენის** გადაბირებას აპირებს. თუკი **ჯო კინეარმა** და **მაიკ ეშლიმ** ეს დაუშვეს... თუმცა არ გვგონია, საკუთარ თავს ამდენად უმტრონ. გივენის ღირსეული შემცვლელი კლუბმა არათუ კუნძულზე, შეიძლება მთელ კონტინენტზეც კი ვერ ნახოს. სხვა მხრივ ცვლილებები ალბათ ნაკლებად მოხდება. დიახ, ლაპარაკობენ, რომ სეზონის ბოლოს გუნდს **შარლ ნზოგბია** დატოვებს და მის კვალს **მაიკლ ოუენიც** მიჰყვება. მოდით, ზაფხულის პრობლემები სხვა დროს განვიხილოთ. კინეარმა დაადასტურა, რომ სასურველი ფეხბურთელების სია კლუბის პრეზიდენტს უკვე მიაწოდა, თუმცა ირლანდიელმა გვარების დაკონკრეტება არ ისურვა. "ინდეპენდენტსა" და "მირორს" თუ ვერწმუნებით, ხსენებულ სიაში არიან **ბულარდი, კაიტლი, ლედლი, რიისე, აპსონი** და **ელანო**. თუკი "კაჭკაჭებმა" მათგან ორი მაინც შეიძინეს, მართლა შესანიშნავი მიღწევა იქნება.

სანდერლენდი. "შავ კატებს" სუსტი წერტილების მეტი არც არაფერი აქვთ – დაცვის ცენტრი და ფლანგები, ცენტრალური ნახევარდაცვა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბმა გასული წლის ზაფხულზე ძალიან დიდი ფული დახარჯა, ყოფილმა მწვრთნელმა **როი კინმა** გუნდის დაბალანსება მაინც ვერ შეძლო. აბსოლუტური სიგიჟეა, რომ ამჟამად კლუბთან კონტრაქტი 50 ფეხბურთელს აკავშირებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათგან ნახევარი მაინც პრემიერლიგის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ახალ დამრიგებელ **რიკი სბრაგიას** ჯერ იმისი გარკვევა მოუწევს, ვისი გაშვებაა საჭირო და შემდეგ იმისი, დარჩენილთაგან შეიძლება თუ არა ნორმალური გუნდის შეკვრა. ბალასტის თავიდან მოშორებამდეც აშკარაა, რომ გუნდს ჰაერივით სჭირდება კვალიფიციური ცენტრალური მცველი. მენეჯერები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას **მეტიუ აპსონსა** და **ანტონ ფერდინანდთან**, ხოლო ნახევარდაცვის ცენტრში გუნდს "ფულჰემიდან" ჯიმი ბულარდის გადაბირება უნდა. ამ უკანასკნელის შეძენა ნახევარ პრემიერლიგას სურს, ასე რომ, საკითხი ასე მარტივად არ დგას. ენასმოსწრებული ინგლისელი ჟურნალისტების თქმით, "სანდერლენდში" ამჟამად იმდენად აბსურდული საკადრო სიტუაციაა, რომ რაც უნდა ეცადონ გუნდის დალაგებას, ვილაცა საჭიროს აუცილებლად გაუშვებენ და ვინც უნდა შეიძინონ, აუცილებელი ხალხი მაინც დააკლდებათო. ერთი სიტყვით, "შავ კატებში" სრული უკუნეთია.

ტოტენჰემი. სუსტი წერტილები გუნდს ნამდვილად აქვს. მაგალითად მეკარე. **ეურელიო გომესმა** ვერაფრით მოახერხა სტაბილური სათამაშო რიტმის პოვნა. ერთ ფანტასტიკურ რეაქციას, ხანდახან ისეთ ბავშვურ შეცდომას შეუნაცვლებს ხოლმე, რომ... ძნელად აღსაქმელია, რატომ შეიძინა გასულ ზაფხულს გუნდმა მარჯვენა ნახევარმცველი **დევიდ ბენტლი**, როცა ამავე პოზიციაზე თამაშობს **აარონ ლენონი**. მით უფრო, რომ გუნდს არ ჰყავდა საპირისპირო ფლანგზე მოასპარეზე ნახევარმცველი. უცნაურია, მაგრამ "მამლები" "ტრადიციას" დიდი ხანია ინარჩუნებენ, მარცხენა ნახევარმცველს გუნდში ბარე ათი წელია, აღარ უთამაშია. გუნდს უჭირდა ასევე თავდასხმის ხაზშიც, მაგრამ **ჯერმეინ დეფოს** შეძენით ეს პრობლემა მოიხსნა.

მიდლსბრო. რივერსაიდელების მთავარი პრობლემა დაცვის ფლანგები და ნახევარდაცვის ცენტრია. **გარეთ საუთგეითი** ერთ-ერთი ის მწვრთნელია, რომელმაც ახალი ფეხბურთელების შესაძენი ფული საკუთარი მოთამაშეების გაყიდვით უნდა გამოათავისუფლოს. უბედურება ის არის, რომ ვინმეს გაყიდვის იდეა მას დიდად არ ხიბლავს, თანაც გუნდში, პრაქტიკულად, ერთადერთი ძვირადღირებული ფეხბურთელი ჰყავს - **სტიუარტ დაუნინგი**. გარკვეული თანხის მოძიება **თუნჩაი სანლის** გაყიდვითაც შეიძლება. რაც შეეხება გუნდის შუა ხაზს, **გარი ონილი** და **ხულიო არკა** ნამდვილად არ არიან ის ფეხბურთელები, რომელთაც სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლიათ. თუკი კლუბმა ახალწვეულთა დაბევება ვერ მოახერხა, შიდა რესურსების ხარჯზე დასახული მიზნების მიღწევა ძალზე გართულდება.

სტოკ სიტი. სტოკელებს სერიოზულად უჭირთ თავდასხმასა და ნახევარდაცვაში, განსაკუთრებით ფლანგებზე. ამ გუნდის აუტსაიდერთა რიგებში ყოფნა სავსებით ლოგიკურია. გუნდს გაძლიერების გარდა გადასარჩენად სხვა გზა არ აქვს. შეტევის ხაზი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. **დეივ კიტონი** "სტოკს" აშკარად ვერ მოერგო; **მამადუ სიდიბე**, მაშინაც კი, როცა ჯანმრთელია, გოლების მანქანა არ არის; **რიკარდო ფულერი** კი ყველაზე ხშირად სწორედ იქით ურტყამს, სადაც საჭირო არ არის. გამოსავალი? - **ჰერვუდი, ტომი სმიტი**. ფლანგების გასაძლიერებლად პრემიერლიგის მაჩანჩალებს **ლედლისა** და **დიას** შეძენა სურთ. სიმართლე ითქვას, გაძლიერება გუნდს ნამდვილად არ აწყენდა ყველა რგოლში, გარდა მეკარისა.



მარკ ჰიუზმა იცის, რომ მას მხოლოდ იანვრის ტრანსფერები თუ გადაარჩენს

ბლექბერნი. სუსტი წერტილები "ვარდებს" სხვა გუნდებივით თავზე საყრელად აქვთ – ნახევარდაცვის ცენტრი, დაცვის ცენტრი და ფლანგები, შეტევა. წავა თუ არა **როკე სანტა კრუსი**? აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა, რაც კი "ვარდებს" აფიქრებთ. რომელი ჯობია, წავიდეს თუ არა, ჯერ გუნდშიც კი ვერ გადაუწყვეტიათ. წავა და ფეხბურთელების შესაძენად ფული გაჩნდება, დარჩება და თავდასხმის ძლიერებას მისხალიც არ მოაკლდება. ერთი სიტყვით... **სემ ელერდაისი** ორ ცეცხლს შუა გახლავთ მომწყვდეული. ეს წამსვლელებზე ვთქვით, რაც შეეხება მომსვლელებს, "დიდ სემს" ნაცნობ ფეხბურთელებთან მუშაობა ურჩევნია. ლაპარაკია **ელ ჰაჯი დიუფისა** და **ტალ ბენ ჰაიმის** ყიდვაზე. ამ უკანასკნელის გადმოსვლის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი **ზურაბ ხიზანიშვილის** მდგომარეობა კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება, მას ერთით მეტი ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდება.

ვესტ ბრომვიჩი. ვესტბრომვიჩელთა ყველაზე დიდი პრობლემა, რა თქმა უნდა, თავდასხმაა. ამასთან, **ტონი მოუბრეის** საერთოდ არ გააჩნია ფული ახალი მოთამაშეების გადასაბირებლად. პრემიერლიგის თითქმის უიმედო აუტსაიდერებმა "არსენალთან" უკვე მიაღწიეს შეთანხმებას და **ჯეი სიმპსონი** სეზონის ბოლომდე დაიბევეს. საკითხავი ისაა, რამდენად იქნება საკმარისი 20 წლის ღლაპი ამხელა ტვირთის ზურგზე მოსაკიდებლად.

(დასასრული)

**შალვა ბიბილაშვილი**



რეალი

# კასილიასს ქება ყელში ამოუვიდა

## რობენი სამეფო კლუბის თამაშით უკმაყოფილოა

**ხუანდე რამოსის** მისვლის შემდეგ მადრიდის "რეალი" საგრძნობლად გამოსწორდა და თამაშის ხარისხთან ერთად შედეგებიც გამოასწორა. სამეფო კლუბის ახალ დამრიგებელს მხოლოდ "ბარსელონასთან" წაგება შეიძლება უსაყვედურონ. სხვა მხრივ კი მადრიდული გრანდი აშკარად უკეთესად გამოიყურება. გასულ ტურში "რეალმა" "სანტიაგო ბერნაბეუზე" "ვილიარეალი" დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა. გამარჯვების გოლი **არიენ რობენის** ანგარიშზე ჩაიწერა. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელმა გარემარბმა ულამაზესი ბურთი შეაგდო. მიუხედავად ყველაფრისა, რობენი ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ არის. აი, რა განაცხადა მან: "*მიმომხილველები და გულშემატკივრები "რეალის" პროგრესზე საუბრობენ. ჩვენც ვხედავთ, რომ საქმე ახლა უკეთესად გამოგვდის, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ბევრი პრობლემა გვაქვს. ჩვენ სამეფო კლუბს წარმოვადგენთ, რომელიც ვალდებულია, შთამბეჭდავად ითამაშოს და სამიდან ერთი შეხვედრა მაინც დიდი ანგარიშით მოიგოს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვახერხებთ. "ვილიარეალთან" გამარჯვებით ძალიან გავიხარე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ემოციები დაცხრა, არსებული ვითარება ცივი გონებით გავაანალიზე და გავაცნობიერე, რომ ჩემს გუნდს სამი ქულის მოპოვება ძალიან უჭირს. ისევ "ვილიარეალთან" მატჩს მოვიშველიებ. ერთი შეხედვით, დიდ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ სტუმრებმა რამდენიმე 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნეს. იკერ კასილიასს რომ არ ეყოჩაღა, შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა. დროა, ხარვეზები ბოლომდე აღმოვფხვრათ და უფრო შთამბეჭდავად ვითამაშოთ*".

არიენ რობენი ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომლებიც **კასილიასს** ხოტბას ასხამენ. ადამიანებს ქება ძალიან უყვართ, მაგრამ იკერი კომპლიმენტებით ძალიან შეწუხებულია და საზოგადოებას ძალიან თავშეკავებული შეფასებებისკენ მოუწოდებს: "*ყველას ძალიან დიდი მადლობას მოვახსენებ. შესაძლოა, უმადური ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ ამდენი ქება არ მსიამოვნებს. უფრო მეტიც, კომპლიმენტები მაშინებს, რადგან შეიძლება, ქება-დიდებამ ცუდი სამსახური გამიწიოს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ხალხმა წმინდანად გამომაცხადა და შეცდომების დაშვების უფლება აღარ დამრჩა. როცა გამუდმებით გაქებენ და ცაში აყავხართ, ერთმა უბრალო შეცდომამ შეიძლება გულშემატკივრებში იმედგაცრუება გამოიწვიოს. ამიტომ მიმომხილველებსა და ჩემს თანაგუნდელებს ვთხოვ, იკერ კასილიასის თამაში მოკრძალებულად შეაფასონ. საჭირო არ არის იმის თქმა, რომ "რეალი" ვიხსენი და გამარჯვებაში დავეხმარე. ეს ხომ ნებისმიერი მეკარის მოვალეობაა.*"

კასიალიასის თავმდაბლობა დასაფასებელია, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით. "ვილიარეალთან" მატჩში იკერი რომ არ ყოფილიყო, სამეფო კლუბი ნამდვილად ვერ გაიმარჯვებდა. გამოცდილმა მეკარემ სტუმართა ფორვარდებს რამდენიმე მკვდარი ბურთი აუღო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

# მიშელ პლატინი
# ცხოვრება, როგორც მატჩი

(გაგრძელება)

I ნაწილი

## ფეხბურთი თავის ზეიმს აღნიშნავს
### შენ ყოველთვის ჩვენს გულებში დარჩები

ფიქრი მტანჯავს იმის გამო, რომ კიდევ შემეძლო ერთი წელი თამაში. თუ გავითვალისწინებთ იმ უამრავ წინადადებას, რომელიც თითქმის ყველა კუთხიდან მივიღე, მთავარი პრობლემა სწორი არჩევანის გაკეთებაში იყო. „იუვენტუსმაც“ კი ქარაგმებით კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება შემომთავაზა. მაგრამ არა, მორჩა! დროულად გაჩერებაა საჭირო. იქამდე, სანამ დაღლილობა და სტრესი მოკლავს თამაშისგან მიღებულ სიამოვნებას. 32 წლის ასაკში არ ღირს კიდევ ერთ სეზონზე ფიქრი. მსოფლიოს თასის გარდა, ყველა ტიტულს ვფლობ, ყველა პატივს მცემს. არაფერი მაქვს დასამტკიცებელი - არც პუბლიკისთვის, არც ჩემი მეგობრებისთვის და თქვენ წარმოიდგინეთ, არც საკუთარი თავისთვის.

ალბათ, მოგვიანებით ენციკლოპედიებში შეგეძლებათ წაიკითხოთ: *„მიშელ პლატინი, დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს ჟიოფში (მერტ-ე-მოზელი), ანასა და ალდო პლატინების შვილი. სიმაღლე: 179 სმ, წონა: 73 კგ. დაქორწინებულია კრისტელ ბოგანიზე, ჰყავს ორი შვილი: ლორანი და მარინა. პროფესიონალი ფეხბურთელი. კლუბები: „ჟიოფი“ (1966-72), „ნანსი-ლოტარენგია“ (1972-79), „სენტ ეტიენი“ (1979-82), „იუვენტუსი“ (1982-87). 72-ჯერ ითამაშა საფრანგეთის ნაკრებში. ევროპის 1984 წლის ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1985), ევროპის ჩემპიონთა თასის გამარჯვებული (1985), თასების თასის მფლობელი (1984), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1984), საფრანგეთის ჩემპიონი (1981), საფრანგეთის თასის მფლობელი (1978), იტალიის ორგზის ჩემპიონი (1984, 1986), იტალიის თასის მფლობელი (1983), ევროპის „ოქროს ბურთის“ ლაურეატი - 1983, 1984, 1985. პროფესიულ რანგში 649 მატჩი ჩაატარა და 353 გოლი გაიტანა. ბიზნესმენი, სენტ-სიპრიენში სპორტულ კომპლექს „დიდი სტადიონის“ მმართველი, საზოგადოება „პლატინი, №10“-ის ხელმძღვანელი. მონაწილეობას იღებს კომპანიების - „ტომსონისა“ და TF1-ის (საფრანგეთის ტელევიზია) მოღვაწეობაში“.*

„პატარა ლარუსში“, რომელიც 1985 წლის 10 სექტემბრის შემდეგ არის გამოსული, მე „პლატონის“ შემდეგ ვარ მოხსენიებული. ჩემი გვარი ფიგურირებს „ლიტრიოს“ 1988 წლის გამოცემის ენციკლოპედიაში. შექმნილია ფეხბურთის მუზეუმი, რომელიც პლატინის ეძღვნება. ზუსტად ისეთი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, „ფეხბურთის მეფე“ **პელესადმი** რომ არის მიძღვნილი.

მე რომ „ლიტრიოში“ საკუთარ თავზე სტატიის დაწერის სურვილი გამომეთქვა, ამას ასე გავაკეთებდი: *„1985 წლის 29 მაისი, ბრიუსელი, „ეიზელის“ სტადიონი. მას პენალტიდან გააქვს ერთადერთი გოლი ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში. ამ ტრაგიკული მატჩის შემდეგ, მის შიგნით ყველაფერი მოიშალა“.*




აი ასე, მარტოობით დამძიმებულ ამ საღამოს საკუთარ თავს ვეთხოვები და მანქანით შინისკენ მივეშურები. ყველაფერი დამთავრდა. ახალი ფურცელი უნდა გადავშალო. ჩემმა სხეულმა ბევრი ტანჯვა გამოიარა, გონებაც არ მუშაობს. ორი წელია მტანჯავს „ეიზელის“ სტადიონზე გათამაშებული დრამა, იქ დაღუპული 38 ადამიანის აჩრდილი და დაღლა უფრო მემატება. ორი წელია ვცდილობ მივხვდე იმას, რაც ერთი მატჩის განმავლობაში ვერ გავაცნობიერე. იქამდე, სანამ არნახულ სიმაღლეებს მივაღწევდი, როგორც იდიოტი წელში გაწყვეტამდე ვმუშაობდი. ბავშვობაში გამხდარ ბიჭს ტანი უნდა აეყარა, კუნთები დაებერა, სირბილი ესწავლა, დაცვასა და თავდასხმაში ეთამაშა, გოლები გაეტანა, რათა ერთ მშვენიერ დღეს, განთქმული „იუვენტუსის“ ლიდერი გამხდარიყო.

ჩემ თვალწინ ქალაქის პეიზაჟი უფრო მკაფიო ხდება. პინოტორინეზეს ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კვარტალს ვუახლოვდები. ყველაფერი ენით აუწერელი მწუხარებით არის გაჟღენთილი. „გლოვის“ ღამე ეფინება ქალაქს.



## წინ მიშელ, წინ!

ფეხბურთში ჩემი ცხოვრება 1973 წლის 2 მაისიდან იღებს სათავეს. 17 წლის... და 316 დღის ვარ. შაბათი. ნანსიში სტადიონ „მარსელ-პიკოს“ ზღვა ხალხი ახვევია გარს. ათიათასობით ლოტარინგიელი აღელვებულია დანაპირებით, რომ ამ საღამოს რაღაც განსაკუთრებული უნდა იხილონ. ბავშვურად მხიარული და უშუალოა ეს ბრბო. ყველა ჩქარობს, რათა ღმერთმა არ ქნას და, არ გამოტოვოს ის წუთები, რომელიც მატჩის დაწყების რიტუალს უძღვის წინ. ხალხს მწვანე მინდორი მაგნიტივით იზიდავს. მალე თამაში დაიწყება. ისმის ერთადერთი ლოზუნგი: *„წინ, ნანსი!“*

მე უკვე ჩავიცვი ჩემი პატარა ბუცები. გვერდით „ნანსი-ლოტარენგიიდან“ ჩემი მეგობრები მიდგანან: **შერე, ფელდენი, ბურლა** და **ერვე მარიო.** ჯერ სულ ბავშვები არიან. ჩვენ ერთი მთლიანი ორგანიზმი ვართ. ბევრმა ჩვენგანმა ერთმანეთი სარეზერვო გუნდში თამაშის დროს გაიცნო. კვირაობით, ჩვენი უფროსი მეგობრების თანხლებით, ლოტარინგიელი ჰერცოგებივით ქალაქებს დავუვლიდით ხოლმე: ტული, ლუნევილი, შამპინიოლი, აგონდანჟი, ლონგვი, ვიტრი-ლე-ფრანსე და ბოლოს, ყველასთვის ცნობილი ბარ-ლე -დიუკი.

ამ შემთხვევებისთვის პირველი გუნდის ფეხბურთელებისგან ნათხოვარი წითელზოლებიანი მაისურებით ვცდილობით ყველაზე შთაბეჭდილების მოხდენას.

თავს პროფესიონალებად წარმოვიდგენდით, სინამდვილეში კი მხოლოდ სტაჟიორები ვიყავით.

პერიფერიებში გამართული ასეთი საჩვენებელი მატჩები შეიძლება კატორღას შეადარო. მტრულად განწყობილი პუბლიკა, მეტოქე და მსაჯი... ამიტომაც, ათმაგი ენერგიითა და მონდომებით გიწევს თამაში და ამის გამო, ჩვენი გამარჯვებები შეიძლება ნამდვილ ტრიუმფად ჩაითვალოს.

ასეთია თამაშის წესები - შეუმჩნევლად დაშვებული და ყველას მიერ მიღებული. მერე რა, რომ ეს თამაში ანტიფეხბურთს მოგაგონებს. ჩვენი კლუბების სარეზერვო გუნდები კარგად იცნობენ ამ საკვირაო „კორიდებს“, რომლებსაც ფინანსების სიმწირის გამო აწყობენ, რათა ვარსკვლავებს ფული გადაუხადონ, მაგრამ ამით ცუდ სამსახურს უწევენ პოტენციურ ვარსკვლავებს, რომლებიც იმავე გუნდში თამაშობენ... „ლივერპულის“, მადრიდის „რეალის“, ტურინის „იუვენტუსის“, „სენტ ეტიენის“ ან მიუნხენის „ბაიერნის“ იუნიორს დაშვებულზე ადრე უწევს ასეთი მკაცრი გზის გავლა. მათი მზადება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

სწორედ სოფლებში ასეთ „მამლების“ ჩხუბებში იწრთობიან იუნიორები და უჩუმრად ტანჯვას სწავლობენ. მხოლოდ ბედის გაათმაგებულმა ცვალებადობამ შეიძლება გასწავლოს თვითდისციპლინა და მხოლოდ მისი მუხანათური დარტყმები გასწავლით მეგობრობისა და სოლიდარობის დაფასებას. სწორედ ამ დროს ხდება პლატინი „პლატოშა“ და ამ დროს იბადება ნამდვილი მეგობრების გუნდი.

დღეს „პლატოშა“ აღარ გადის გარეუბნებში ასფალტისსაფარიან მოედნებზე ან სოფლების მწვანე მინდვრებზე სათამაშოდ: ახლა მე სამუდამოდ მობილიზებული ვარ და ნანსის სტადიონის მძლავრი პროჟექტორების ქვეშ დიდ პრემიერას ველოდები.

მე პროფესიონალი ფეხბურთელის მაისურა მაცვია. იმ დიადი ფეხბურთელების მსგავსად, რომლებმაც უკვე შეაღეს გასახდელში თავიანთი კარადის კარები. აი **ფუშე** - ვეტერანი მეკარე „ნანტიდან“, **როჟე ლემერი** - საფრანგეთის ჩემპიონი იმავე ქალაქიდან, **ვიკი**, რომელსაც „მსაჯს“ ეძახიან, რადგან მოგვიანებით ადვოკატობას აპირებს, ახალგაზრდა **ერბეტი** - უკვე წარმატებული ვეტერანი, **ფლორესი** - კიდევ ერთი „ძველი მეომარი“, **კასტრონოვო** - ურუგვაელი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, დაუღლელი სამხრეთამერიკელი. და მათთან ერთად მე - **მიშელ პლატინი.**

დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მივედი სტადიონზე და გულგრილი გამომეტყველება მივიღე. გასახდელის სიღრმეში ჩემი კუთხე მოვნახე, რადიატორის გვერდით. ჩანთიდან ამუნიცია ამოვიღე, ქაცვები მოვსინჯე, ფორმას ხელით შევეხე - თეთრი წინდები ორი წითელი ზოლით და მოკლესახელოებიანი მაისურა...

ჩვენი მწვრთნელი **ანტუან რედინი** - პატარა, ჩასკვნილი და ჯმუხი კაცია, რომელიც გარეგნულად სერჟანტს მოგაგონებთ. მისგან დანდობა არ მაქვს მას შემდეგ, რაც მის მოსამზადებელ ცენტრში ჩავირიცხე. უხეში და სქელკანიანი მოღუშული მზერით აკვირდება იმათ, ვინც ჩემს მსგავსად ცდილობს მოაჩვენოს მწვრთნელს, რომ ლაღად და მსუბუქად გამოიყურება.

მას ვერ უწოდებ სასტიკ ადამიანს, მაგრამ თავისი ხასიათის გადამკიდე, უყვარს ისინი, ვინც კუნთებს ათამაშებს. ფეხბურთისადმი სიყვარული მას ვერ შევამჩნიე. ყოველ შემთხვევაში, ასე აღვიქვამ ინტენსიური სტაჟირების იმ პერიოდს, როცა მე ყველაფერს საკმაოდ სწრაფად ვითვისებდი და ყველაფერი გამომდიოდა. მიუხედავად ამისა, გაუთავებელი „საბრძოლო“ გარბენები მქონდა აის ტყეში. ამ მტარვალის მიერ მოგონილი ფიზიკური ვარჯიშების შემდეგ, ლიტრობით ოფლს ვღვრიდი.

ამ საღამოს, ჩვეულებისამებრ, ანტუან რედინი გაცილებით მეტ ყურადღებას მაქცევს, ვიდრე სხვებს... გულის სიღრმეში ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე პერსონალურ რჩევას მომცემს. ყოველ შემთხვევაში, მე მაქვს პატარა, მაგრამ გარკვეული წახალისების უფლება.

ჩვენი მამასავით მზრუნველი პრეზიდენტი **კლოდ კიუნი** - პატარა ცოცხალი თვალებით, ცხვირზე ჩამოვარდნილი სათვალითა და დიდი ულვაშებით, ცუდი წინათგრძნობის გამო წინ და უკან დარბის და საბედისწერო ჟამს ელოდება. პრეზიდენტი ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, მინდორზე გადის, რათა სტადიონის ატმოსფერო შეიგრძნოს, უკან გასახდელში ბრუნდება, ისევ გადის, ჟურნალისტებთან საუბრობს, არბიტრსა და კომისარს ელაპარაკება, ისევ ჩვენთან მოდის, უცებ „ცოცხლდება“ და მკაცრი ხმით ამბობს: *„აბა, ბიჭებო, უნდა მოვიგოთ! მოვიგოთ!“*

და უცებ ჩემკენ ბრუნდება: *„წინ მიშელ, წინ! შენ ხომ მაინც არ გეშინია?“*

(გაგრძელება იქნება)

**გია თვალაბეიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედია

# სამხრეთ აფრიკაში არეულობაა

## პოლიციის კომენტარი კომენტარი არ არის

სამხრეთაფრიკელი **ჯიმი მოჰლალა**, ადამიანი, ვინც 2010 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი გახლდათ, გუშინწინ, 5 იანვარს, პროვინცია მპუმალანგას ქალაქ ნელსპრუიტში საკუთარ სახლთან მოკლეს. ინციდენტის შედეგად მძიმედაა დაჭრილი მისტერ ჯიმის შვილი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ საქმე ჩვეულებრივ (თუ შეიძლება მკვლელობა "ჩვეულებრივ" მოვლენად ჩაითვალოს) კრიმინალთან გვაქვს, მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის... ის საკუთარი პროფესიული მოვალეობის პატიოსნად შესრულების გამო გამოასალმეს სიცოცხლეს. მოჰლალამ ხომ ახალ წლამდე პრესის საშუალებით რამდენჯერმე გააკეთა მწვავე განცხადება და რიგი თანამდებობის პირები კორუფციაში ამხილა.

ნელსპრუიტი სამხრეთაფრიკელებმა თავად აირჩიეს მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელ ქალაქად და იქ 44-ათასიანი "ბომბელა სთედიუმის" შენება დაიწყეს. სწორედ ამ არენას უკავშირდება კიდეც გახმაურებული სკანდალი. კრიმინალში გახვეული აღმოჩნდა აფრიკის ეროვნული კონგრესის წევრი **იაკობ დლადლი**. თუმცა სტადიონთან დაკავშირებული დაპირისპირება ხსენებულ ორ პიროვნებას შორის მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდი იყო. მათ ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა სხვა ფაქტორების გამოც ჰქონდათ.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 2007 წლის შემოდგომის მიწურულს მოჰლალამ განაცხადა, რომ აფრიკის ეროვნული კონგრესის რამდენიმე წევრი, მათ შორის დლადლი მასზე ზეწოლას ახორციელებდა, რათა მის მიერ რამდენიმე დღით ადრე გამოთქმული ბრალდებები, რომ სამშენებლო ობიექტების ტენდერები კორუფციის ბუდე გახლდათ და მასში ძირითადად მაღალი თანამდებობის პირების სასურველი ფირმები იმარჯვებდნენ, საფუძველს მოკლებული იყო. ბრალდება, პირველ რიგში, "მბოლენა სთედიუმის" მშენებლობას ეხებოდა. დლადლის მიმართ კიდევ უფრო მძიმე ბრალდებების გაისმა. მოჰლალას მტკიცებით, ეს ადამიანი სექსუალურ ძალადობას ეწეოდა ქალაქ ნელსპრუიტის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიმართ. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრის მიმართ წაყენებულმა ბრალდებამ სამხრეთ აფრიკაში სერიოზული სკანდალი გამოიწვია. პარლამენტში სპეციალური საგამოძიებო კომისია შეიქმნა, სადაც მოჰლალა დაიბარეს, თუმცა გაურკვეველი მიზეზის გამო, ის არ გამოცხადდა. ამის მუხედავად, ამტკიცებდა, რომ საკუთარი ბრალდებების დასამტკიცებლად მზად გახლდათ. თუმცა ბედკრულს 5-მა იანვარმა უწია... გთავაზობთ ამონაწერს საგამოძიებო ოქმიდან: *"ჯიმი მოჰლალა შინ დაბრუნდა საკუთარ 19 წლის ვაჟთან ერთად. ისინი ავტომანქანის გარაჟში დაყენებას აპირებდნენ, როცა გარდაცვლილის შვილს ორი შეიარაღებული უცნობი პირი მიუახლოვდა. დაზარალებულმა მანქანის გასაღები ძირს დააგდო და სთხოვა უცნობებს, რომ თუკი სურდათ, მანქანა წაეყვანათ, რის შემდეგაც ყაჩაღებმა მას პირდაპირ მუხლში ესროლეს. შემდეგ მათ იარაღი ჯიმი მოჰლალას მიუშვირეს. ეს უკანასკნელი გაიქცა, თუმცა ყაჩაღები გამოეკიდნენ და ზურგში ესროლეს. მეზობლებმა სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს, მაგრამ მიღებული ჭრილობის სიმძიმის გამო ჯიმი მოჰლალა გზაში გარდაიცვალა".*



ჯიმი მოჰლალა



რას იტყვის ბლატერი?

მკვლელობამ ქვეყანაში პოლიტიკურ სიტუაციაზეც იქონია გავლენა. ოპოზიციურმა პარტიებმა კატეგორიულად მოითხოვეს დანაშაულის გამოძიება. ადგილობრივი პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები კონკრეტულ კომენტარს ვერ აკეთებენ. გვაპატიეთ და მათი პასუხი მწვავე შეკითხვებზე უაზრო ბლაყუნს უფრო ჰგავს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ

ლუკას პოდოლსკი

# ფეხბურთი ჩემთვის სასიამოვნო მღელვარებაა

23 წლის გერმანელი თავდამსხმელი ლუკას პოდოლსკი, თუკი ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი ნორმალურად ექნება, სამხრეთ აფრიკაში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარი ქვეყნის უპირველეს გუნდში აუცილებლად მოხვდება. მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე, რომელიც 2006 წელს მის სამშობლოში გაიმართა, პოდოლსკი ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ დაასახელეს. მან ისეთ ფეხბურთელებს აჯობა, როგორებიც არიან არგენტინელი ლიონელ მესი და პორტუგალიელი კრისტიანო რონალდო. პოლდიმ ევრო 2008-ზეც გაიბრწყინა, როცა „ადიდასის" ვერცხლის ბუცი მიიღო, როგორც ტურნირის მეორე უძლიერესმა გოლეადორმა. ამის მერე ის „ოლსტარის" გუნდშიც მოხვდა.

2008 წლის 6 სექტემბერს პოდოლსკი ისტორიაში შევიდა, როცა 23 წლის, სამი თვისა და ორი დღისამ, ლიხტენშტაინის ნაკრების კარში თავისი 30-ე სანაკრებო გოლი გაიტანა (48-ე წუთზე, მატჩში თავისი მეორე გოლი). ისტორიაში მხოლოდ ექვს ფეხბურთელს აქვს ამ მხრივ უკეთესი მიღწევა. ესენი არიან: პელე, სვენ რაიდელი, რონალდო, შანდორ კოჩიში, შტერნ ჯონი და ფერენც პუშკაში. ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელს შეხვდა და ინტერვიუ სთხოვა.

**- გასულ წელს გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში 16 მატჩი ჩაატარეთ, 7 გოლი გაიტანეთ და 5 საგოლე პასი ჩაიწერეთ აქტივში. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ 2008 წელი თქვენს სანაკრებო კარიერაში საუკეთესო იყო?**

- როცა ვიხსენებ მსოფლიო თასის შესარჩევ თამაშებს, აგრეთვე ევროტურნირებისა და ამხანაგურ მატჩებს, ვასკვნი, რომ შარშანდელი წელი წარმატებული იყო. მართლაც, კარგი წელი იყო და სასიამოვნოც, განსაკუთრებით ეს ევროპის ჩემპიონატს ეხება.

**- 59 მატჩში 31 გოლი იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ მსოფლიო დონის ფეხბურთელი ხართ. როგორ ფიქრობთ, კვლავაც ამ დონეზე ითამაშებთ?**

- იმედია. ინგლისის წინააღმდეგ ეროვნულ გუნდში მე-60 მატჩი ჩავატარე. ვამაყობ, რომ ასე ხშირად ვთამაშობ ჩემი ქვეყნის სახელით. ეს საუცხოო შედეგია. მინდა, უფრო მეტი გოლი გავიტანო გერმანიისათვის და ნაკრების წარმატებებით ვისიამოვნო.



**- საკუთარ თამაშში თუ არის ისეთი ასპექტი, რომლითაც უკმაყოფილო ხართ? თუ საიდუმლო არ არის, როგორ აპირებთ მის გაუმჯობესებას?**

- დიდი ხანია, პროფესიულ ფეხბურთს ვთამაშობ და ვიცი, რომ ყოველ წუთს რაღაც ახალს სწავლობ, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთაც. მაგალითად, ავიღოთ, მედიასთან ურთიერთობა. ახლა უკვე ვიცი, რომ ჟურნალისტებთან საუბრისას რაც შეიძლება, ბუნებრივი უნდა იყო. კლუბსა და ნაკრებში კარგი მწვრთნელები გვყავს, ვვარჯიშობ საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი მატჩისას და ვარჯიშისას ბევრ რამეს ვსწავლობ.

**- რა მიზნები გაქვთ 2009 წელს?**

- მთელი ყურადღება 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩებზე იქნება გადატანილი. მსოფლიოსა და ევროპული თასები განსაკუთრებული ტურნირებია. არ მეგულება ფეხბურთელი, რომელსაც მათში მონაწილეობა არ სურდეს. თუ მუნდიალს მიღმა დავრჩით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ის წელი დაკარგულია.

**- რას იტყვით უთანხმოებაზე, რომელიც წამოიჭრა მწვრთნელ იოახიმ ლიოვს, კაპიტან მიხაელ ბალაკსა და ტორსტენ ფრინგსს შორის?**

- ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. ინგლისთან მატჩის წინ, მწვრთნელთან დიდხანს ვისაუბრეთ. ყველამ თავის სათქმელი თქვა. ამიტომ მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- გერმანიის ნაკრებთან ერთად უკვე ორ დიდ ტურნირზე ითამაშეთ. თქვენ ჯერ მესამე ადგილი გერგოთ, მერე მეორე ადგილი. 2010 წელს გერმანიის პირველობას ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- ყველა ამაზე წერს და საუბრობს, მაგრამ ჯერ მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირი გვაქვს გასავლელი. თუმცა თუ გადახედავთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას, მიხვდებით, რომ 2010 წლისათვის შესანიშნავი გუნდი გვეყოლება. გერმანიას ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს. მას ნამდვილად შეუძლია უმაღლესი მიზნებისათვის ბრძოლა.

**- რას იტყვით თქვენს ჯგუფში შექმნილ მდგომარეობაზე: რუსეთი მეორეა, უელსი - მესამე და ორივე მათგანი ოთხი ქულით ჩამორჩება გერმანიას?**

- რუსეთი უფრო გაძლიერდა. მოსკოვში მძიმე თამაში გველის.

**- მიმომხილველთა ვარაუდით, სამხრეთი აფრიკის მუნდიალზე თქვენ გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა იქნებით. უკვე ხომ არ ფიქრობთ მომავალ ტურნირზე?**

- ჯერ ადრეა... ნაკრებში 2004 წლიდან ვთამაშობ, მაგრამ ფსიქოლოგიური წნეხი არასოდეს მიგრძვნია. ამ ხნის განმავლობაში დიდი გამოცდილება დამიგროვდა, მაგრამ ყოველთვის ვღელავ ხოლმე, როცა სანაკრებო მატჩზე მიძახებენ. ფეხბურთი ჩემთვის სასიამოვნო მღელვარებაა.

**- 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პოლდიშვაინის კომბინაცია, რომელიც ბასტიანმა გოლით დააგვირგვინა, ზღაპრულ მოგონებად დარჩა. კვლავ დიდი მეგობრები ხართ?**

- რასაკვირველია. ჩვენ ჩინებული ურთიერთობა გვაქვს. მე და ბასტიანი „ბაიერნშიც" ერთად ვვარჯიშობთ და ნაკრებშიც, თუმცა მე თუ მკითხავთ, მედიამ მაინც გადაამეტა იმ გოლის შეფასებისას.

**- გერმანია არის თუ არა ბრაზილიისა და არგენტინის ტოლი?**

- გასულ ტურნირებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ მათზე არანაკლებ წარმატებებს მივაღწიეთ. ასე რომ, ძლიერი გუნდებისა არ გვეშინია. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ყველასთან გამკლავება შეგვიძლია.

**- რას ფიქრობთ არგენტინის ახალ მწვრთნელ დიეგო მარადონაზე?**

- ჩემთვის ის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. სხვა აზრი არ არსებობს. ზოგიერთი იტყვის, რომ მარადონა წარმატებას მიაღწევს. ისეთებიც გამოჩნდებიან, ვინც მას მარცხს უწინასწარმეტყველებს. ვნახოთ, რა მოხდება.

**- როგორი იქნება თქვენი ცხოვრება ფეხბურთის შემდეგ?**

- ჯერ არ მიფიქრია. მიხარია, რომ ჯანმრთელი ვარ. იმედია, მოედანზე კიდევ ერთ ერთ წელს გავატარებ. მთავარი ესაა. მთელი ცხოვრებაა, ამისთვის ვშრომობ.

**- რომელია თქვენი საოცნებო კლუბი?**

- „კიოლნი" და „ბარსელონა". „კიოლნი" იმიტომ, რომ იქ გავიზარდე და 13 წლის ასაკიდან ვთამაშობდი. „ბარსელონას" იმ პერიოდიდან ვაკვირდები, როცა ფეხბურთით დავინტერესდი. მაშინ იქ რომარიო და სტოიჩკოვი თამაშობდნენ. ახლა ნახეთ, რა ფანტასტიკური ფეხბურთელები ჰყავთ - მესი, ეტოო და ანრი. ისინი უმაღლესი დონის მოთამაშეები არიან. მათ მოედანზე ორჯერ შევხვდი და სასიამოვნო გამოცდილება მივიღე. "ბარსელონას" უდიდესი ისტორია აქვს. მისი წარსული ვარსკვლავებით დაწყებული და თამაშის სტილით დამთავრებული კატალონიელების ყველაფერი უზომოდ მიყვარს.

**- ვის გაუცვლიდით მაისურს?**

- რონალდინიოს, რონალდოსა და მესის. მათი მაისურები უკვე მაქვს. ისინი მსოფლიოს საუკეთე[illegible]ხბურთელებად მიმაჩნია.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა


მარცხნიდან: ზაზა თურმანიძე, ალექსი მოდებაძე და რევაზ მინდორაშვილი

ავტორის ფოტო

# კარებზე ახალგაზრდები აკაკუნებენ

ქართველი ფალავნებისთვის შარშანდელი სეზონი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა - სხვადასხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე მათ 33 მედალი მოიხვეჭეს, მათ შორის - 10 ოქროსი. განსაკუთრებით პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე იყოჩაღეს - ორი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს ჯილდო ჩამოიტანეს სამშობლოში. 1952 წლიდან ოლიმპიადებზე ჩვენს მოჭიდავეებს უკეთესი შედეგი მხოლოდ მელბურნის თამაშებზე ჰქონდათ - ორი „ოქრო" და სამი „ბრინჯაო" (ხუთი ათეული წლის წინათ მწვანე კონტინენტზე ჩემპიონები გახდნენ გივი კარტოზია და მირიან ცალქალამანიძე, ხოლო ვახტანგ ბალავაძე, გოგი სხირტლაძე და რომან ძნელაძე მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ). საგულისხმოა ისიც, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილები დაიკავეს, ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმა (თავისუფალში) კი ყველას აჯობეს.

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ახალი წლიდან ახალი ოლიმპიური ციკლი დაიწყო და ორიენტირად ლონდონის 2012 წლის თამაშები იქცა. ქართველი ფალავნები აქედანვე ცდილობენ მყარი ბალავრის ჩაყრას. სადღესასწაულო დღეების მიუხედავად, ოფლში გახვითქულნი საჭიდაო ხალიჩაზე ელვისებურ ფანდებს ამუშავებენ.

გუშინ მორიგი ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების თავკაც ზაზა თურმანიძეს, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა:

- მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შობა-ახალი წელიწადი მივულოცო სრულიად საქართველოს, ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს კი წარმატებები ვუსურვო.

ბარაქიანი გამოდგა შარშანდელი წელიწადი. შეგირდებზე გაწეულ გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია, იმის მიუხედავად, რომ ოლიმპიურ თამაშებზე იმ დროს მოუწიათ გამოსვლამ, როცა სამშობლოს მტერი გვიბომბავდა. რუსული ინტერვენციის გამო ხომ ბორჯომში ბოლო საწვრთნელი შეკრებაც ვერ ჩავამთავრეთ ხეირიანად. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, რომელმაც შარშან სათანადოდ დაგვაფინანსა, თან ოლიმპიურ თამაშებსა და ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ მიერ მოპოვებული მედლები რეალურად შეაფასა. გვინდა, რომ წარმატება წლეულსაც გავამრავლოთ. ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად უკვე სერიოზულად ვემზადებით. განსაკუთრებით ახალგაზრდების მონდომება მახარებს.

**- ნაკრებში ცვლილებები იგეგმება?**

- ეს მარტო მწვრთნელებზე არ არის დამოკიდებული: ეროვნული ნაკრების კარი ყველასთვის ღია გვაქვს. მთავარია, თავი გამოიჩინონ. 20-21 იანვარს თბილისში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. უმთავრესად მისი შედეგები გადაწყვეტს, თუ ვინ დაიცავს ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ხალიჩაზე ყველა უძლიერესი გამოვა. ერთადერთი გამონაკლისი, შესაძლოა, რევაზ მინდორაშვილისთვის დავუშვათ.

თებერვლის დასაწყისში ნახკაძორს მივაშურებთ საერთო ფიზიკური მომზადების გასავლელად. შემდეგ თურქეთისა და კიევის საერთაშორისო ტურნირებზე მოვსინჯავთ შეგირდების ოსტატობას. პარალელურად ორი საწვრთნელი შეკრებაცაა დაგეგმილი ბორჯომში. 31 მარტიდან 7 აპრილამდე კი ვილნიუსში ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზებთ. ბალტიისპირეთში უძლიერესი შემადგენლობით გავემგზავრებით.

**- შარშანდელ ევროპის ჩემპიონ დავით მოძმანაშვილს აკრძალული პრეპარატის მიღების გამო ტიტული ჩამოართვეს და დისკვალიფიკაცია მისცეს. მისი საქმე როგორ იქნება?**

- დათო ძლიერი, პერსპექტიული ფალავანია და რაც შეიძლება, მალე უნდა მივაღწიოთ მის რეაბილიტაციას. გაუგებრობის მსხვერპლი გახდა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში ახალი სინჯების პასუხები გავგზავნეთ და ვცდილობთ, ფილას თავკაცები დავარწმუნოთ მოძმანაშვილის უნებლიე შეცდომაში. თუ ყველაფერი კარგად იქნა, შესაძლოა, მას სექტემბერში დანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება დართონ, თუ ნაკრებში ადგილს დაიმკვიდრებს...

ბატონ ზაზასთან საუბრის შემდეგ იქვე ხალიჩაზე მყოფ რევაზ მინდორაშვილსა და ალექსი მოდებაძესაც გამოველაპარაკე.

**რევაზ მინდორაშვილი:** - შარშანდელი სეზონით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, როგორც დავგეგმე, ყველაფერი ისე წარიმართა. ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობისას უმთავრესი ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება იყო. ფინალში გასვლით ეს მიზანი ავისრულე. ეტყობა, ამან მომადუნა და რუსეთელ გიორგი კეტოევთან გადამწყვეტი ორთაბრძოლა დავთმე. სამაგიეროდ, პეკინში რევანში ავიღე და ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავედი.

დაძაბულმა სპორტულმა სეზონმა და რუსეთთან ომით გამოწვეულმა სტრესულმა მდგომარეობამ ძალიან დამღალა, ამიტომ პეკინიდან დაბრუნების შემდეგ თავს დასვენების უფლება მივეცი. თუმცა ვარჯიში არ შემიწყვეტია. ჯერ ჩვეულ სპორტულ ფორმაში არ ვარ, ამიტომ ეროვნულ ჩემპიონატს გამოვტოვებ, მერე კი კვლავ ვიბრძოლებ ნაკრებში ადგილის დასაბევებლად.

საერთოდ, ცნობილი ფაქტია, რომ ოლიმპიური ჩემპიონის წონაში ყოველთვის უძლიერესი კონკურენტები იყრიან თავს. ძიუდოისტ ზურაბ ზვიადაურის მაგალითზე შემიძლია ვთქვა - 90 კილოში დღეს საქართველოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე და ახალგაზრდა, იმედისმომცემი მოჭიდავე ვარლამ ლიპარტელიანი ჰყავს. დარწმუნებული ვარ, ჩემს წონაშიც ასეთი მდგომარეობა იქნება და ეს ძალიან გამახარებს.

**ალექსი მოდებაძე**, ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი: - კარგა ხანია, მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ, რომ საქართველოს პირველობაზე წარმატებას მივაღწიო. თუმცა, მძიმე წონაში პერსპექტიული ბიჭები მოდიან და მათთან გამკლავება იოლი არ იქნება.

ვაჟა დანელია

წიგნის თარო




„საქართველო უნიკალურია თავისი ანბანით, ხუროთმოძღვრებით, ცეკვით, სიმღერით, პოეზიით, კულტურით, ვაზის ნაყოფით, ქართული ჭიდაობით...

დიახ, ქართული ჭიდაობა ხალხური სპორტის ნამდვილი მარგალიტია, ეროვნული ფესვებით არის ნასაზრდოები. ის ჩვენი ისტორიისა და კულტურის ნაწილია, თანაც საერთაშორისო ჭიდაობის ერთგვარი გასაღებიცაა", - ასე იწყება სპორტულ თემაზე არაერთი ნაშრომის ავტორის, ჟურნალისტ **გაბრიელ ბარჯაძის** ახალი წიგნი „ქართული ჭიდაობა", რომელიც ახლახან დაისტამბა.

ქართული ჭიდაობა რომ სხვა ჭიდაობების გასაღებია, ერთხელ კიდევ დადასტურდა პეკინში, როცა 204 ქვეყანას შორის საქართველომ ერთადერთმა მოიპოვა ოქროს მედლები ჭიდაობის სამივე ოლიმპიურ სახეობაში.

ქართულ ჭიდაობაზე არაერთი ავტორის ნაშრომია გამოქვეყნებული. ამ ავტორთა შორისაა თვით გაბრიელ ბარჯაძეც, მაგრამ ამ ბოლო გამოცემას სულ სხვა ხიბლი აქვს. მის ფურცლებზე გაეცნობით ჩვენი ეროვნული საუნჯის არა მარტო ხატოვნად გადმოცემულ ისტორიას, არამედ ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში გავრცელებულ მის ნაირსახეობებს, ისტორიულ წყაროებს, საქართველოს გამოჩენილი ადამიანების, მათ შორის მეფეების დამოკიდებულებას ქართული ჭიდაობის, როგორც საბრძოლო ხელოვნებისადმი. მოტანილია ამონარიდი ძველი ქართული პრესის ფურცლებიდან.

წიგნს დართული აქვს ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალავანთა ნუსხა, რომელიც 1928-2008 წლებს მოიცავს. აქვე გაეცნობით ახალ, XXI საუკუნეში საქართველოს ჩემპიონატებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

ჩოგბურთი



ლადო ჩიხლაძე

## ჩიხლაძე სეზონს ხორვატით იწყებს

გერმანიის ქალაქ შვაიბერდინგენში სტარტი აიღო მცირე საერთაშორისო ტურნირმა (10 ათასი $), რომელშიც საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი, 23 წლის **ლადო ჩიხლაძე** (1115) ასპარეზობს. ჩვენებური ორგანიზატორებმა ტრავმამდელი რეიტინგით მოხვდა ძირითად ბადეში, სხვა მხრივ მას საკვალიფიკაციო ბატალიების გავლა მოუწევდა. ლადოს პირველი მეტოქე 21 წლის ხორვატი **ანტე ნაკიჩ-ალფირევიჩია** (666), რომელსაც აქამდე არასოდეს შეხვედრია. ლადო წყვილებში ცდის ბედს, მისი პარტნიორი ლატვიელი **კარლის ლეინიეკსია** (485). კენჭისყრამ ქართველი აქაც ნაკიჩ-ალფირევიჩს გადაჰყარა თანამემამულე **ანტონიო სანჩიჩთან** (478) დუეტში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ციტატა

„ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად 2008 წელს ვისოლმა სპორტის მიმართულებით უამრავი საინტერესო პროექტი განახორციელა. 2008 წლის ივნისში ვისოლმა შეისყიდა უძველესი ქართული რაგბის კლუბი „ყოჩები", რომელიც უკვე „ვისოლი-ყოჩების" სახელით მონაწილეობს ასპარეზობებში. ამას გარდა, თბილისში ვისოლის მიერ შენდება ორი ღია რაგბის მოედანი დიდ დიღომში, ოთხი ხელოვნურსაფარიანი ღია ფეხბურთის მოედანი და ველოტრეკი. 2008 წლიდან ვისოლი საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი გახდა."

„კვირის პალიტრა" 29.XII.2008-4.I.2009

გამოიწერეთ ელვა
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

კალათბურთი

საქართველოს თასი

# მონაწილეები დაწყვილდნენ

2009 წლის პირველი საკალათბურთო ღონისძიება საქართველოს თასის გათამაშება იქნება. დღეს კალათბურთის ფედერაციაში ამ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დააწყვილეს და თან კალენდარიც შედგა.

წლევანდელი თასის გათამაშება, რომელიც რიგით მეშვიდეა, ოლიმპიური სისტემით გაიმართება. გუნდები ერთმატჩიან მეოთხედფინალს ითამაშებენ, რასაც ნახევარფინალი და, ცხადია, ფინალი მოჰყვება.

მეოთხედფინალები და ნახევარფინალები რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზში გაიმართება, ხოლო ფინალს თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

გუნდები სუპერლიგის მიმდინარე ცხრილის მიხედვით დაწყვილდნენ: ანუ პირველზე მყოფი მერვეადგილოსანს შეხვდება, მეორე მეშვიდეს, მესამე მეექვსეს და მეოთხე მეხუთეს. რაც შეეხება სუპერლიგის კიდევ ერთ, მე-9 გუნდს, თბილისის „მაკაბი" საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობას იმ მიზეზით არ მიიღებს, რომ ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება.

**24. 01.09 შაბათი. რუსთავი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| 12:00 | ნტდ-დინამო |
| 14:00 | სსსსუ-თსუ |
| 16:00 | ავიამშენი-ბათუმი |
| 18:00 | ენერჯი ინვესტი-შსს |

**ნახევარფინალი**

**25.01.09 კვირა. რუსთავი**

თამაშები დაიწყება
13:00 და 15:00 საათზე

**ფინალი**

**27.01.09 სამშაბათი. თბილისი**

სპორტის სასახლე
თამაში დაიწყება 16:15 საათზე

### საქართველოს თასის ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| **2003 წელი** | |
| ბასკო-აზოტი | 85:77 |
| **2004 წელი** | |
| დინამო-სტუ | 75:72 |
| **2005 წელი** | |
| სტუ-თბილავიამშენი | 90:84 |
| **2006 წელი** | |
| თსუ/ნიკორა-ავიამშენი | 81:79 (დ.დ) |
| **2007 წელი** | |
| ავიამშენი-აზოტი | 83:79 |
| **2008 წელი** | |
| ავიამშენი-თსუ | 110:90 |

ლეგიონერი. ამერიკის კოლეჯების ლიგა

# ფარლალავა თამაშს მარტო იგებს



ჰავაელებს პეპერდაინელები დაამარცხებინა – 78:70. მატჩის დასაწყისში ფარლალავას კარგად ეხმარებოდა როდერიკ ფლემინგი, თუმცა მალე მისმა ფოლებმა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა და ქართველ უკანახაზელს თითქმის მარტოს მოუხდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. მატჩი თანაბრად მიმდინარეობდა და წინასწარ ცხადი იყო, რომ გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებს უნდა გაერკვია. საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე "ტალლის" ლიდერმა მაიკლ ტომსონმა სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანა – 51:55. ამ ეპიზოდის შემდეგ შეტევაში ორივე გუნდს გაუჭირდა, თუმცა მატჩის დასრულებამდე 3:42 წუთით ადრე შეხვედრის ბედი შორეულმა ტყორცნამ გადაწყვიტა – ლაშა ფარლალავამ სამქულიანით სხვაობა 12 ქულამდე გაზარდა (66:54). ამის შემდეგ "ტალლა" დაცხრა და წაგებას შეეგუა.

"შესანიშნავი გრძნობა გეუფლება, როცა თანაგუნდელებს გამარჯვებაში ეხმარები. ახლა დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რამდენი ქულა ჩააგდო, მთავარი მოგებაა. ეს წარმატება ჩვენს კონფერენციაში (დასავლეთ ათლეტიკის) წინსვლისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ვიცი, რომ სროლა გამომდის, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ გაცილებით უკეთესად თამაშიც შემიძლია. კოლეჯების უმაღლეს ლიგაში ხომ პირველ სეზონს ვატარებ", - სიხარულს ვერ ფარავდა ლაშა ფარლალავა.

აი, რა თქვა "ცისარტყელას" მწვრთნელმა **ბობ ნეშმა**: "დღეს გუნდური კალათბურთის კარგი მაგალითი ვუჩვენეთ. ფლემინგის ნაადრევად გამოკლებაც არ დაგვეტყობია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი თამაში ერთ კალათბურთელზე არ არის დამოკიდებული. ხან ერთი გამოანათებს, ხან – მეორე, ხან – მესამე. დღეს ყველაზე უკეთ ფარლალავა გამოიყურებოდა."

ახლა ფლემინგს მოვუსმინოთ, რომელიც მსაჯების გვერდით ქართულ გვარს ახსენებს: "მსაჯებმა მოედნიდან ნაადრევად გამაძევეს... მაგრამ ლაშას გამო მოხარული ვარ. მან შესანიშნავად ითამაშა და იმედია, ასევე განაგრძობს."

ბოლოს კი "ტალლის" მწვრთნელის **ტომ ასბარის** მატჩისშემდგომ კომენტარს შემოგთავაზებთ: "ჰავაელებმა მეორე ტაიმი მაღალ დონეზე ჩაატარეს. სამწუხაროდ, არ აღმოგვაჩნდა პასუხი მე-5 ნომრის (ფარლალავას) წინააღმდეგ. იგი სამქულიანს სამქულიანზე აგდებდა, ჩვენ კი სხვა გზა არ გვქონდა – ჯარიმებით უნდა შეგვეჩერებინა..."

ჰავაის "ცისარტყელა" ამჟამად კონფერენციაში მე-3 ადგილზეა. მას 8 მოგება და 4 წაგება აქვს. კონფერენციის გამარჯვებული სხვა ჩემპიონებთან ერთად კოლეჯების ლიგის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

გასული წლის ბოლოს შემოგთავაზეთ ინტერვიუ **ლაშა ფარლალავასთან.** იგი ოთხი წელიწადია ამერიკაშია, სკოლის საკალათბურთო გუნდიდან კოლეჯების უმაღლეს ლიგამდე მიაღწია და ამჟამად ჰავაის "ცისარტყელას" ღირსებას იცავს. ვინც ამას წინათ ლაშას ინტერვიუ წაიკითხა, გაახსენდება დიალოგის ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც ფარლალავას ლიდერობას ეხება. "გუნდში სულ ახალწვეულები ვართ, თუმცა თამაშის საკუთარ თავზე აღებას მხოლოდ ორნი ვბედავთ. ვიმედოვნებ, რომ სულ მალე ჩემი ტყორცნის წყალობით თანაგუნდელებს გამარჯვებას მოვუტან", - გვითხრა ქართველმა ჰავაელმა.

მას დიდი ხნით მოცდამ არ მოუწია – კოლეჯების ლიგის მე-12 ტურში ლაშას ეფექტური თამაშის წყალობით "ცისარტყელამ" პეპერდაინის "ტალლა" დაამარცხა – 78:70.

ქართველი უკანახაზელი ერთადერთი კალათბურთელი იყო, რომელმაც 20-ქულიანი ბარიერი გადალახა, 25 ქულა ჩააგდო და, ცხადია, მატჩის სნაიპერი გახდა. ლაშამ 7-დან 5 სამქულიანი, 3-დან 2 ორქულიანი, 7-დან 6 საჯარიმო გამოიყენა და 25 ქულას 3 მოხსნა მიამატა. ასეთი მსუყე მონაგარის დაფიქსირებისთვის მას 28 წუთიც ეყო.

არ გეგონოთ, რადგან ლაშაზე ქართულ გაზეთში ვწერთ, იმიტომ ვაბრალებთ მატჩის მარტო მოგებას. სხვების გამონათქვამებს თავი რომ დავანებოთ, მეტოქე გუნდის მწვრთნელის სიტყვებიც საკმარისია – "ცისარტყელას" მე-5 ნომერი ვერ შევაჩერეთო. ხუთნომრიანი მაისურით სწორედ ფარლალავა თამაშობს.

მოკლედ, გავეცნოთ ჰონოლულუს გაზეთში გამოქვეყნებულ "ცისარტყელა"-"ტალლის" მატჩის მიმოხილვას, რომლის სათაურია "ცისარტყელა" საჩემპიონოდ მოიმართა".

"ლაშა ფარლალავამ კარიერის რეკორდი დაამყარა – 25 ქულა ჩააგდო და

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი



ლევან ბრეგაძე

# ქართული მტრედები ევროპულ ცაში

ბარსელონაში მოღვაწე ქართველი დიდოსტატი **ანა მათნაძე**, გარდა იმისა, რომ ნაყოფიერ საჭადრაკო ცხოვრებას ეწევა, გარკვეული ჩინოვნიკური საქმიანობითაცაა დაკავებული – კატალონიის ჭადრაკის ფედერაციაში საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებას და მონაწილეთა მოზიდვასაც კურირებს; სხვა უამრავ საქმეშიც არის ჩართული და გვარიანი სახელიც დაიგდო უცხო ქვეყანაში. თუმცა რაღა უცხო – ანასთვის ესპანეთი და ბარსელონა მეორე სამშობლოდ იქცა და, ალბათ, ამიტომაც საქართველოში დაბრუნებას არ ჩქარობს. არ იფიქროთ, რომ ანამ ქართულ ჭადრაკს ზურგი აქცია და მთლიანად უცხო ქვეყნის სამსახურში ჩადგა. ასე ნამდვილად არ არის, - პირიქით, დიდწილად ეხმარება მშობლიურ ფედერაციას და ნიჭიერ მოჭადრაკეებს... ანას თაოსნობით 2005 წლის მიწურულს შეიქმნა საერთაშორისო საქველმოქმედო საჭადრაკო ორგანიზაცია „ჭადრაკი – მშვიდობის ელჩი". ამ ორგანიზაციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა საერთაშორისო მასშტაბით და ძალიან ბევრი მხარდამჭერი და მომხრე გამოუჩნდა. საქართველოში ტურნირების ჩატარებაც რამდენჯერმე მოხერხდა, გამარჯვებულებს კი ასაჩუქრებდა და კატალონიაში მიავლენდა სასპარეზოდ. რახან ინიციატივამ გაამართლა, მომდევნო ნაბიჯად კლუბის შექმნაც დაიგეგმა და დაფუძნდა კიდეც საჭადრაკო კლუბი „მტრედები – Cpa"(„ჭადრაკი – მშვიდობის ელჩის" ინგლისურენოვანი აბრევიატურა). კლუბის საქმიანობის რეკლამირებისთვის კი საუკეთესო საშუალებად მისი სახელით საჭადრაკო ტურნირის ჩატარებაა მიჩნეული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეჯიბრება ფიდეს საშეჯიბრო კალენდარშია შეტანილი, რაც მის აღიარებას და მაღალი სტატუსის მინიჭებას ნიშნავს. ანუ, მკითხველისთვის უკეთ გასაგებად ვიტყვით, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია ამ ტურნირს ოფიციალურად აღიარებს, დაითვლება რეიტინგები და მონაწილეებს საშუალება მიეცემათ სათამაშო პრაქტიკასთან ერთად პირადი მაჩვენებლებიც გაიუმჯობესონ.

წამოწყებას მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, დაითქვა ტურნირის ვადები, მოიწვიეს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა. პირველი ტური 4 იანვარს ჩატარდა. აქვე საინტერესო სიახლეზე მოგითხრობთ. უპირველესად აღსანიშნავია ის, რომ მოჭადრაკეებს 20 სვლამდე ეკრძალებათ ყაიმის დაფიქსირება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაფაზე თეორიულად გარდაუვალი საყაიმო პოზიცია შეიქმნება. მოსაფიქრებლად ორივე მხარეს ერთი საათი ეძლევა, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. მონაწილეთა რაოდენობა ოცია, ამიტომ გათამაშების ფორმატი შვეიცარიული სისტემაა შვიდ ტურად. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნება ტაი-ბრეიკები. გამარჯვებული გარდამავალი თასით და ესპანეთის საკლუბო ჩემპიონატის საგზურით დაჯილდოვდება. ამასთან, უფლება მიეცემა კანარის კუნძულებზე პრესტიჟულ წრიულ ტურნირში იასპარეზოს, სადაც მონაწილეებს თავად ორგანიზატორები აირჩევენ. ქართველთათვის კვოტის გამოყოფა სწორედ ანა მათნაძის დამსახურება და მისი პერსონისადმი ესპანელ საჭადრაკო მოღვაწეთა პატივისცემის გამოხატულებაა. გარდა მთავარი პრიზისა, დაწესებულია კიდევ ორი ჯილდო: 2200-ზე დაბალი რეიტინგის მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო შედეგი ვისაც აღმოაჩნდება, ესპანეთის საკლუბო ჩემპიონატის საგზურით დაჯილდოვდება. ჯილდო ერგება ერთ გოგონას და ერთ ვაჟს.

სატურნირო მდგომარეობას რაც შეეხება, დღეისათვის, მეოთხე ტურისთვის მაქსიმალურ ქულათა რაოდენობით ორი მოჭადრაკე ლიდერობს – **გიორგი ნიკოლაშვილი** და **ლევან ბრეგაძე**. ლევანი ტურნირის უპირობო ფავორიტია, ნიკოლაშვილი კი მესამეა განთესვით. 2,5 ქულით მესამე ადგილზეა **სოფიკო გურამიშვილი**; 2-2 ქულა კი ერთბაშად ექვს მონაწილეს მოუგროვებია. მეოთხე ტურში გაგაცნობთ ყველაზე საინტერესო წყვილებს: **გიორგი ნიკოლაშვილი (3) – ლევან ბრეგაძე (3); სოფიკო გურამიშვილი (2,5) – ნინო ანაკიძე (2); მარიამ დანელია (2) – ზურაბ ჯავახაძე (2); ნათია ჯალაბაძე (2) – ირაკლი ბერაძე (2); ნანი უნაფქოშვილი (2) – ნატო იმნაძე (1,5); ირაკლი ჯანიაშვილი (1,5) - ალექსანდრე მერაბიშვილი (1).**

ზვიად შათირიშვილი



საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი წყალბურთელი, ქუთაისელ წყალბურთელთა თაობების, მათ შორის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საუკეთესო ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება

**ზურაბ კაკოვიჩი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ფოტოჟურნალისტის

**ელდარ მალხაზიშვილის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „ლელოს" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის მუდამ ერთგული მეგობარი და თანამდგომი, ცნობილი ფოტოჟურნალისტი

**ელდარ მალხაზიშვილი**

და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-პიტსბურგი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 დეივსი-7 (მარა-11, როჟეისალი-13), 2:0 მარა-3 (გომესი-19), 3:0 დრური-11 (პრუხა-1, დეივსი-7), 4:0 გომესი-8 (დრური-16, როჟეისალი-14).

**ედმონტონი-აილენდერსი 3:2**

0:2, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 ოკსოპო-5, 0:2 კომო-3 (ბელეი-10, კამპოლი-8), 1:2 ბროძიაკი-7, 2:2 სტრადვიკი-1 (სტორტინი-2, გილბერტი-16), 3:2 კოლიანო-12 (მორო-8, პუიო-5).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" ფორვარდი **რიკ ნეში** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა 4 მატჩში 2 გოლი გაიტანა და ჯამში 9 ქულა მიითვალა. "კოლამბუსმა" ოთხივე შეხვედრა სტუმრად ჩაატარა და სამი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "დეტროიტ რედ უინგზის" მცველ **ბრაიან რაფალსკის** ერგო, რომელმაც 3 შეხვედრაში ("წითელმა ფრთებმა" სამივე მატჩი მოიგეს) 6 ქულა დააგროვა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "კაროლინა ჰარიკეინზის" გოლკიპერი **კემ უორდი**. ისევე როგორც რაფალსკიმ, მან თავის გუნდს სამივე მატჩში გაამარჯვებინა. უორდმა სულ 4 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 94.4 პროცენტი მოიგერია.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 39 | 29 | 6 | 4 | 62 |
| 2. ვაშინგტონი | 40 | 26 | 11 | 3 | 55 |
| 3. რეინჯერსი | 41 | 24 | 14 | 3 | 51 |
| 4. მონრეალი | 38 | 22 | 10 | 6 | 50 |
| 5. ფილადელფია | 39 | 21 | 10 | 8 | 50 |
| 6. ნიუ ჯერსი | 38 | 23 | 12 | 3 | 49 |
| 7. კაროლინა | 40 | 20 | 15 | 5 | 45 |
| 8. ბაფალო | 39 | 19 | 15 | 5 | 43 |
| 9. პიტსბურგი | 40 | 19 | 17 | 4 | 42 |
| 10. ფლორიდა | 39 | 17 | 16 | 6 | 40 |
| 11. ტორონტო | 39 | 16 | 17 | 6 | 38 |
| 12. ოტავა | 37 | 13 | 18 | 6 | 32 |
| 13. ტამპა ბეი | 39 | 11 | 18 | 10 | 32 |
| 14. ატლანტა | 40 | 13 | 22 | 5 | 31 |
| 15. აილენდერსი | 41 | 12 | 25 | 4 | 28 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 38 | 29 | 4 | 5 | 63 |
| 2. დეტროიტი | 38 | 26 | 7 | 5 | 57 |
| 3. კალგარი | 39 | 23 | 12 | 4 | 50 |
| 4. ჩიკაგო | 36 | 21 | 8 | 7 | 49 |
| 5. ვანკუვერი | 41 | 21 | 15 | 5 | 47 |
| 6. ანაჰაიმი | 40 | 20 | 15 | 5 | 45 |
| 7. ფინიქსი | 40 | 19 | 16 | 5 | 43 |
| 8. მინესოტა | 38 | 19 | 16 | 3 | 41 |
| 9. ედმონტონი | 38 | 19 | 16 | 3 | 41 |
| 10. კოლამბუსი | 39 | 18 | 17 | 4 | 40 |
| 11. დალასი | 38 | 17 | 16 | 5 | 39 |
| 12. კოლორადო | 39 | 19 | 19 | 1 | 39 |
| 13. ლოს ანჯელესი | 38 | 16 | 16 | 6 | 38 |
| 14. ნეშვილი | 38 | 17 | 18 | 3 | 37 |
| 15. სტ. ლუისი | 39 | 15 | 21 | 3 | 33 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 60 (15+45) |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ) | 53 (27+26) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 50 (15+35) |
| მარკ სავარი (ბოს) | 49 (13+36) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 46 (22+24) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 46 (18+28) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 46 (9+37) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 45 (15+30) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 44 (11+33) |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 43 (27+16) |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 43 (17+26) |

| გოლები | |
|---|---|
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 27 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ) | 27 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 26 |
| ფილ კესელი (ბოს) | 24 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 22 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 20 |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 20 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 19 |
| ბრაიან ლიტლი (ატლ) | 19 |
| დანიელ სედინი (ვან) | 19 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 45 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 37 |
| მარკ სავარი (ბოს) | 36 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 35 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 33 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 30 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 30 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 28 |
| დავიდ კრეისი (ბოს) | 27 |
| მაიკ რიჩარდსი (ფილ) | 27 |

## კრივი

# პაკიაო-ჰატონი: 12 მაისს ვეგასში





ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და ბრიტანელი **რიკი ჰატონის** პრომოუტერებმა მომავალი ბრძოლის ჩატარების ადგილსა და თარიღზე საბოლოო შეთანხმებას მიაღწიეს. ამ მოკრივეებს შორის ბრძოლა 2 მაისს, ლას-ვეგასში შედგება.

**რიჩარდ შაფერი** (ჰატონის პრომოუტერი) და **ბობ არუმი** (პაკიაოს პრომოუტერი) ამ კვირას გამართავენ მოლაპარაკებებს ორი არენის - Thomas and Mack Center-სა და MGM Grand-ის მფლობელებთან და საბოლოოდ გაარკვევენ, ამ ორიდან რომელი უფრო შეეფერება ამ გრანდიოზულ მოვლენას.

*"თავიდან რიკის დიდ ბრიტანეთში ჩხუბი უნდოდა, მაგრამ ეს არ არის საუკეთესო ადგილი ასეთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ჩასატარებლად. აგრეთვე გადავწყვიტეთ, რომ მომავალი დაპირისპირება პირველ ნახევრად საშუალო წონაში გაიმართება, სადაც რიკი აქამდე დაუმარცხებელია. ჩემს კლიენტს უფრო მძიმე კატეგორია არ აკმაყოფილებს"*, - განაცხადა "ლოს ანჯელეს თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში შაფერმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი. ჰოფმანის თასი

**A ჯგუფი**

| ავსტრალია-სლოვაკეთი | 1:2 |
|---|---|
| 0:1 კეისი დელაკუა-დომინიკა ციბულკოვა | 5:7, 2:6 |
| 1:1 ლეიტონ ჰიუიტი-დომინიკ ჰარბატი | 7:6, 6:7, 6:4 |
| 1:2 ჰიუიტი/დელაკუა-ჰრბატი/ციბულკოვა | 7:6, 3:6, 4:10 |

**B ჯგუფი**

| იტალია-საფრანგეთი | 2:1 |
|---|---|
| 1:0 სიმონე ბოლელი-ჟილ სიმონი | 6:3, 6:3 |
| 1:1 ფლავია პენეტა-ალიზე კორნე | 7:6, 6:2 |
| 2:1 ბოლელი/პენეტა-სიმონი/კორნე | 6:4, 7:6 |

## TV სპორტი

**7 იანვარი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:25 საუკეთესო მატჩები. ინგლისის ჩემპიონატი. 2007-08. ტოტენჰემი-ჩელსი.
09:15 ჩემპიონთა ლიგა. 2001-02. ფინალი. ლევერკუზენი-რეალი.
11:10 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ატლეტიკო-ბარსელონა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 საუკეთესო მატჩები. ინგლისის ჩემპიონატი. 2007-08. ტოტენჰემი-ჩელსი.
15:10 ჩემპიონთა ლიგა. 2001-02. ფინალი. ლევერკუზენი-რეალი.
17:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ატლეტიკო-ბარსელონა.
19:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 ჩემპიონთა ლიგა. 2000-01. ფინალი. ბაიერნი-ვალენსია.
23:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სევილია-დეპორტივო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილარეალი.
04:00 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სევილია-დეპორტივო.
05:40 ჩემპიონთა ლიგა. 2000-01. ფინალი. ბაიერნი-ვალენსია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:50 სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. მადრიდი. ესპანეთი.
10:50 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
11:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ბაფალო.
13:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.
14:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ნიკოლაი დავიდენკო-ხუან მარტინ დელ პოტრო. შანხაი. ჩინეთი.
17:05 სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. მადრიდი. ესპანეთი.
18:15 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2003-04. მონაკო-პორტუ.
20:15 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი. მალაიზია.
21:10 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
21:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ფილადელფია.
23:50 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2003-04. მონაკო-პორტუ.
01:50 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ნიკოლაი დავიდენკო-ხუან მარტინ დელ პოტრო. შანხაი. ჩინეთი.
03:25 სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. მადრიდი. ესპანეთი.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-მონრეალი (LIVE).
07:15 სპორტის სამყარო.
07:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.

**EUROSPORT**

11:30 რალი-რეიდი. დაკარი. IV ეტაპი.
12:15 მინი-ფეხბურთი. რაინალდის თასი. გერმანია.
13:45 რალი-რეიდი. დაკარი. IV ეტაპი.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. 4 მთის ტურნე. HS140. ბიშოფსხოფენი. ავსტრია.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. დოჰა. კატარი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. დოჰა. კატარი (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. 4 მთის ტურნე. HS140. ბიშოფსხოფენი. ავსტრია.
20:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 რალი-რეიდი. დაკარი. V ეტაპი (LIVE).
22:30 მულტისპორტი.
22:40 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი (კონკური). ლონდონი. ბრიტანეთი.
23:40 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი (კონკური). ბელგია.
00:40 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:45 მულტისპორტი.
01:15 გოლფ-კლუბი.
01:20 აფროსნობა. Volvo Ocean Race.
01:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:55 მულტისპორტი.
02:00 რალი-რეიდი. დაკარი. V ეტაპი (LIVE).
02:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
03:15 ექსტრემალური სპორტი.
03:45 რალი-რეიდი. დაკარი. V ეტაპი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. კრაიშბერგი. ავსტრია.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური სლალომი. კრაიშბერგი. ავსტრია (LIVE).
18:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XIII ტური. ნოვარა-კონელიანო.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ტუროვი (პოლონეთი)-ბროზე (გერმანია).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევრად მსუბუქი წონა. ო. ეფიმოვიჩი (უკრაინა)-ლ. მაჯო (იტალია). უკრაინა.
01:00 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. კანადა-შვედეთი.
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ლივორნო-ჯენოა | 3:3 |
| შივასი-გრაასჰოპერი | 0:1 |
| მილანი-ჰამბურგი | 1:1, პენ. 4:3 |
| იუვენტუსი-მონაკო | 1:1, პენ.4:5 |
| მაინცი-ოფენბახი | 2:1 |

**ინგლისი**

| I ლიგა | |
|---|---|
| პიტერბრო-მილტონი | გადაიდო |
| სტოკპორტი-ჩელტენემი | გადაიდო |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-ტორკი | გადაიდო |
| უეიმაუთი-იორკი | გადაიდო |

**ინგლისის ლიგის თასი**

| 1/2 ფინალი. I მატჩი | |
|---|---|
| ტოტენჰემი-ბარნლი | 4:1 |

**ესპანეთის თასი**

| 1/8 ფინალი. I მატჩი | |
|---|---|
| ატლეტიკო-ბარსელონა | 1:3 |

**შოტლანდია**

| III დივიზიონი | |
|---|---|
| კოუდენბითი-ბირუიკი | გადაიდო |

| თურქეთის თასი | |
|---|---|
| ანთალია-ტრაბზონი | 3:3 |
| ბეშიქთაში-ბბ გაზიანთეფი | 3:1 |
| ქაისერი-მალათია | 3:1 |

**კალათბურთი**

| ევროთასი | |
|---|---|
| დინამო (მ)-ბარონსი | 84:74 |
| უნიქსი-ლუკოილი | 79:72 |
| ჟელეზნიკი-ვალენსია | 65:84 |
| მარუსი-ზადარი | 91:75 |
| ფორტიტუდო-ერტლანდი | 89:93 |
| ჰემოფარმი-ბილბაო | 62:82 |
| ტურკ ტელეკ.-ბნეი ჰაშარ. | გადაიდო |
| ტუროვი-ბროზე | 67:56 |
| ბუდუჩნოსტი-ნიმბურკი | 63:66 |
| ასკ რიგა-რუანი | 86:70 |
| ცრ. ზვეზდა-შარლერუა | 93:91 |
| არისი-პანელინიოსი | 72:77 |
| ჰავრი-ხიმკი | 63:79 |
| გრან კანარია-აზოვმაში | 74:82 |
| ვილერბანი-ლეტუვოს რიტასი | 93:90 |
| ბენეტონი-ბეშიქთაში | 80:89 |

| ევროჩელენჯერი | |
|---|---|
| ლოკომოტივი-შოლე | 65:56 |
| ცსკ ვვს-ოსტენდე | 86:72 |
| ტრიუმფი-სკაილაინერსი | 76:58 |
| გმუნდენი-შიაულაი | 68:78 |
| ვენტსპილსი-ენერგა | 94:88 |
| კალევი-კიევი | 82:76 |
| ვირტუსი-ტარტუ | 95:85 |
| აელ-ეიფელ ტაუერსი | 95:77 |
| გალათასარაი-მონსი | 80:68 |
| ფრიბურგი-სუმიხიმპრომი | 70:67 |
| ოლდენბურგი-ამსტერდამი | 78:62 |
| ლიეჟი-კახასოლი | 69:62 |
| ტულონი-კერავნოსი | 87:76 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ბეზანსონი-ორლეანი | 64:88 |

**ჰოკეი**

| კელ | |
|---|---|
| ლადა-მვდ | 2:0 |
| აკ ბარსი-ტორპედო | 0:2 |
| სკა-დინამო (მნ) | 0:1 |
| ხიმიკი-ვიტიაზი | 1:3 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვენა-ალბა | 5:2 |
| ვილახი-ლინცი | 8:2 |
| ზალცბურგი-გრაცი | 2:3 |
| კლაგენფიურტი-აკრონი | 6:3 |
| ოლიმპია-ინსბრუკი | 2:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| შტრაუბინგი-იზერლონი | 2:3 |
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 1:0 |
| ვოლფსბურგი-დუისბურგი | 9:1 |
| ჰანოვერი-მანჰაიმი | 2:2 |
| ინგოლშტადტი-კასელი | 5:5 |
| კიოლნი-ფრანქფურტი | 1:2 |
| კრეფელდი-აისბარენი | 1:3 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| კომეტი-ვოლერენგა | 0:8 |
| ლილეჰამერი-სტიორნენი | 2:4 |
| სპარტა-სტორჰამარი | 4:0 |
| სტავანგერი-ფრისკ ასკერი | 4:1 |
| ფურუსეტი-ლორენსკოგი | 3:8 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ბისტრიცა-ნიტრა | 3:0 |
| ჟილინა-სკალიცა | 3:7 |
| კოშიცე-ტრენჩინი | 5:2 |
| მარტინი-კეჟმაროკი | 6:1 |
| პოპრადი-მიკულაში | 3:4 |
| სლოვანი-ზვოლენი | 5:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| იოკერიტი-იუვიასკიულა | 3:3 |
| პელიკანსი-ჰიფკ | 4:1 |
| ჰპკ-ილვესი | 3:2 |
| ესეტი-კერპეტი | 2:6 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბილი-ცუგი | 0:8 |
| დავოსი-ამბრი | 1:1 |
| კლოტენი-ლაგნაუ | 3:0 |
| ლუგანო-რაპერსვილი | 7:0 |
| ფრიბურგი-ჟენევა | 4:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბრისბენი | |
|---|---|
| ბელუჩი-კლეინი | 6:0, 6:4 |
| ფერერო-სერა | 3:6, 6:7 |
| ჟოკოვიჩი-გულბისი | 4:6, 4:6 |
| ანჩიჩი-დელიჩი | 7:6, 6:7, 7:6 |
| მატიო-გაბაშვილი | 6:3, 6:3 |
| ლოდრა-სირიანი | 5:7, 7:6, 6:2 |
| ნიშიკორი-რეინოლდსი | 6:3, 6:2 |
| სიოდერლინგი-ბენეტო | 6:3, 6:3 |
| ცონგა-კალერი | 6:2, 7:5 |
| გასკე-დენტი | 7:5, 6:4 |

| ATP. ჩენაი | |
|---|---|
| დავიდენკო-კოლერერი | 6:2, 6:3 |
| ისტომინი-ბოპანა | 6:4, 7:6 |
| კარანუშიჩი-ბეკი | 1:6, 0:6 |
| კარლოვიჩი-რამი | 6:4, 6:3 |
| კიმი-დევარმანი | 3:6, 3:6 |
| მინარი-ოდესნიკი | 6:3, 6:0 |
| მოია-უდომჩოკე | 6:3, 7:6 |
| ვავრინკა-ჩიპოლა | 4:6, 1:6 |
| ტიპსარევიჩი-ანდუხარი | 6:3, 6:2 |

| ATP. დოჰა | |
|---|---|
| კლემანი-ხუნკეირა | 6:1, 6:2 |
| ტურსუნოვი-პეია | 6:2, 3:6, 4:6 |
| მიურეი-მონტანიესი | 6:2, 6:4 |
| ანდრეევი-იუჟნი | 6:4, 3:6, 4:6 |
| ვლიეგენი-ერნანდესი | 6:1, 6:7, 7:6 |
| კოლშრაიბერი-ჩუიდინელი | 6:4, 6:3 |
| ნადალი-სანტორო | 6:0, 6:1 |
| ბეკი-პრეისიეჟნი | 4:6, 6:4, 7:5 |
| ფედერერი-სტარაჩე | 6:2, 6:2 |

| WTA. ოკლენდი | |
|---|---|
| დემენტიევა-ჩანი | 7:5, 6:3 |
| მორიტა-დომახოვსკა | 6:4, 4:6, 6:4 |
| ლაგოსტერა ვივესი-ერაკოვიჩი | 5:7, 4:6 |
| კოეტავონგი-ლუჩიჩი | 6:4, 6:2 |
| პავლიუჩენკოვა-ბაროისი | 6:3, 6:1 |

| WTA. ბრისბენი | |
|---|---|
| გარბინი-კლეიბანოვა | 4:6, 6:4, 6:2 |
| ბარტოლი-ჩინკი | 5:7, 6:3, 6:1 |
| აზარენკა-გაიდოშოვა | 7:6, 7:5 |
| სტოსური-საფაროვა | 4:6, 4:6 |

## ავტოსპორტი. დაკარი 2009

**III ეტაპი**

**პ. მადრინი-ხაკობაჩი. 551 km**

**ავტომობილები**

1. **ალ ატიაპი** (კატარი, BMW X3 CC) - 4:29.27; 2. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - +0.35; 3. **დეპინგი** (გერმანია, VOLKSWAGEN TOUAREG) - +1.40; 4. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +4.01; 5. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +5.31; 6. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +8.00.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 5:18.17; 2. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +17.49; 3. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +17.49; 4. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +18.16; 5. **ფარეს გელი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +18.42; 6. **მარშინი** (საფრანგეთი, YAMAHA 450) - +21.38.

**საერთო ჩათვლა**

**ავტომობილები**

1. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 9:04.48; 2. **ალ ატიაპი** (კატარი, BMW X3 CC) - +3.40; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +5.45; 4. **პეტერანსელი** (საფრანგეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +8.47; 5. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +14.22; 6. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +15.45

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 10:31.49; 2. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +39.11; 3. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +42.25; 4. **ჩახორი** (პოლონეთი, KTM 690) - +43.21; 5. **სტრიტი** (აშშ, KTM 690) - +44.36; 6. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +47.17.

ჩოგბურთი

# რაფამ და როჯერმა გემზე ითამაშეს

## ნოვაკ ჯოკოვიჩმა სეზონი წაგებით დაიწყო

მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები - ესპანელი **რაფაელ ნადალი** და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** გუშინ ჩაებნენ დოჰას ტურნირში. მანამდე კი, მსოფლიოს ჩოგბურთის ლიდერებმა სპარსეთის ყურეში არაბულ გემზე საჩვენებელი საჩოგბურთო მატჩი გამართეს.

სააგენტოები არ იტყობინებიან, რა ანგარიშით დასრულდა შეხვედრა. კორტი ტრადიციული არაბული ხომალდის (რომელიც ხის მასალისგან მზადდება) გემბანზე იყო მოწყობილი. დოჰაში 2009 წლის სეზონის პირველი ოფიციალური ტურნირი იმართება და ეს მატჩიც ამ მოვლენას ეძღვნებოდა.

ნადალი და ფედერერი პირველ და მეორე ნომრებად არიან განთესილები. აქვეა ბრიტანელი **ენდი მიურეი**, რომელიც შარშანდელი ტურნირის გამარჯვებულია და კატარის დედაქალაქში ტიტულის დასაცავად ჩავიდა. სხვათა შორის, წინა კვირას ახალგაზრდა ბრიტანელმა აბუ-დაბის საჩვენებელ ტურნირში ერთმანეთის მიყოლებით მოუგო როჯერსა და რაფას. ასე რომ, დოჰაში დიდ ბრძოლებს ელიან.

■ ■ ■

დოჰას ტურნირის პარალელურად მამაკაცი ჩოგბურთელები ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში ცდიან ძალებს. იქ ფავორიტად სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იყო მიჩნეული, რომელსაც ორ კვირაში ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელი ტიტული აქვს დასაცავი.

სერბმა სეზონის პირველ მატჩში გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა. მან თითქმის უშანსოდ დათმო პირველი წრის შეხვედრა 20 წლის ლატვიელ **ერნესტ გულბისთან**, რომელიც ATP-ის კლასიფიკაციაში 53-ე ადგილს იკავებს. არადა, ბრისბენში წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში, ჯოკოვიჩს კვირის ბოლოს შეეძლო ფედერერისთვის კლასიფიკაციის მეორე პოზიციის ჩამორთმევა. აღსანიშნავია, რომ ნოვაკი აქამდე სამჯერ შეხვდა ლატვიელს და სამივეჯერ დაამარცხა ბალტიისპირელი.

*"ეს მხოლოდ პირველი მატჩი იყო და მისი წაგებით ცხოვრება არ მთავრდება. ჩემი მთავარი მიზანი ავსტრალიის ღია პირველობაზე წარმატებული თამაშია და ახლა სწორედ ამ ტურნირისთვის მზადების ციკლს გავდივარ"*, - დაამშვიდა თაყვანისმცემლები სერბმა ჩოგბურთელმა.

ამ სეზონში ჯოკოვიჩი ახალი ფირმის ჩოგნით ითამაშებს - მან Wilson-ის ჩოგანი Head-ით შეცვალა. სერბი ძალიან ცუდად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე და ლატვიელს ჯამში ოთხი ბრეიკის გაკეთების საშუალება მისცა. ნოვაკმა პირველ მოწოდებაზე მოგებული ქულების ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (48) დააფიქსირა და მისი წაგებაც ამით იყო განპირობებული.

გუშინ გამართული სხვა მატჩების შედეგების გაცნობა მე-15 გვერდზე შეგიძლიათ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ფორმულა 1

# ახალ ფერარის 12 იანვარს ვნახავთ



**საბოლოოდ** დადასტურდა, რომ "ფერარი" ფორმულა 1-ის პირველი გუნდი იქნება, ვინც 2009 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდის პრეზენტაციას მოაწყობს. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ სკუდერიას 15 იანვარს უნდა წარმოედგინა ფართო საზოგადოებრიობის წინაშე თავისი ახალი ქმნილება, მაგრამ პრეზენტაციის ვადა სამი დღით უკან გადმოსწია და ის 12 იანვარს დანიშნა.

ახალ ბოლიდს ფიორანოში, "ფერარის" კუთვნილ ტრასაზე წარადგენენ. პირველად ახალი მანქანის საჭესთან ბრაზილიელი **ფელიპე მასა** დაჯდება.

შეგახსენებთ, რომ იანვარში სხვა გუნდების ბოლიდების პრეზენტაციებიცაა დაგეგმილი. კერძოდ, 15 იანვარს ვიხილავთ ახალ "ტოიოტას", მომდევნო დღეს - "მაკლარენს", 23 იანვარს არის დაგეგმილი "რენოს", "უილიამსისა" და "BMW-ზაუბერის" ბოლიდების პრეზენტაციები.

■ ■ ■

ყველაზე ბოლოს თავის ახალ მანქანას "რედ ბული" წარადგენს. ეს ესპანეთის ხერესში 9 თებერვალს მოხდება. როგორც იტყობინებიან, მანქანა "რენოს" ძრავით იქნება აღჭურვილი.

გუნდის ტექნიკური დირექტორი **კრისტიან ჰორნერი** მიიჩნევს, რომ სხვა გუნდებთან შედარებით პრეზენტაციის ასე გვიან გამართვა, "რედ ბულს" მანქანის სრულყოფისთვის უფრო მეტი დროის დათმობის საშუალებას მისცემს.

*"ჩვენი სტრატეგიული გეგმა თავიდანვე იქითკენ იყო მიმართული, რომ მანქანის გვიანი პრეზენტაციისგან მაქსიმალური სარგებელი უნდა მიგვეღო,* - აღნიშნა ჰორნერმა. - *გვინდა დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ კარგად გამოვიყენეთ დრო და მაქსიმალურად დავხვეწეთ ბოლიდი"*.

# რალფი მიდის

გაზეთ "ბილდის" ინფორმაციით, გერმანელი **რალფ შუმახერის** კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** უმცროს ძმას 31 დეკემბერს დაუმთავრდა DTM-ის სერიაში გამოსვლის კონტრაქტი, ხოლო მისი გაგრძელების შესახებ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

როგორც იცით, რალფმა ფორმულა 1 2007 წლის ბოლოს დატოვა. ამის შემდეგ, მან ტესტები გაიარა "ფორს ინდიაში", მაგრამ საბოლოოდ "მერსედესთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი და DTM-ის სარბოლო სერიაში გადავიდა. გერმანელისთვის სამწუხაროდ, მან აქ წარმატებას ვერ მიაღწია და ჩემპიონატი მე-14 ადგილზე დაასრულა.

*"მღელვარების მიზეზს ვერ ვხედავ, რადგან რბოლების გარდა, ბევრი სხვა საინტერესო პროექტი მაქვს"*, - განაცხადა რალფ შუმახერმა.

როგორც "ბილდი" წერს, ერთ-ერთი ასეთი პროექტი გახლავთ იახტებით რბოლები. აქ რალფის სავარაუდო პარტნიორი უნდა იყოს მისი ძველი მეგობარი, იახტების კონსტრუქტორი **ალბერტ დრეტმანი**.




გამოვიდა ახალი ნომერი

კალათბურთი

| მაიამი–სან ანტონიო | 84:91 |
|---|---|

15:21, 24:18, 21:26, 24:26

**მ:** უეიდი (24+12 პასი+4 ჩაჭრა), ბიზლი (15+12 მოხსნა), მერიონი (15+7 მოხსნა), ჰასლემი (10+7 მოხსნა).

**ს-ა:** დანკანი (19+9 მოხსნა), პილი (15+7 მოხსნა), რ. მეისონი (11), ბონერი (11), ჯინობილი (10+3 ჩაჭრა).

| ნიუ ჯერსი–საკრამენტო | 98:90 |
|---|---|

23:18, 20:37, 29:19, 26:16

**ნ-ჯ:** კარტერი (29+9 მოხსნა+7 პასი), იი იანლიანი (22+13 მოხსნა), ჯ. ჰეიესი (12).

**ს:** მარტინი (36), ტომპსონი (12), გარსია (10), ბ. მილერი (8+7 მოხსნა+8 პასი).

| მილუოკი–ტორონტო | 107:97 |
|---|---|

19:27, 26:21, 29:23, 33:26

**მ:** რედი (35), ვილანუევა (25), ჩ. ბელი (11), სეშენსი (11+8 პასი), მბა ა მუტი (4+11 მოხსნა).

**ტ:** ბოში (31+11 მოხსნა), ბარნიანი (21+8 მოხსნა), ე. პარკერი (12), უკიჩი (11), სოლომონი (4+11 პასი).

| დენვერი–ინდიანა | 135:115 |
|---|---|

40:28, 34:42, 23:22, 38:23

**დ:** მარტინი (25+7 მოხსნა), ბილაპსი (24+11 პასი), კ. ენტონი (21+9 პასი), ნენე (18+3 დაფარება), კლეიზა (11), სმითი (10).

**ი:** გრეინჯერი (36), ჯეკი (17+7 პასი), გრემი (16), მერფი (15+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (10).

| იუტა–გ. სტეიტი | 119:114 |
|---|---|

28:29, 37:30, 29:32, 25:23

**ი:** დ. უილიამსი (25+15 პასი), ოქური (20+11 მოხსნა), მილსეპი (19+14 მოხსნა), კირილენკო (15), ბრიუერი (13), კუფოსი (11).

**გ-ს:** კროუფორდი (28+6 პასი), მაგეტი (23), ს. ჯექსონი (15), ბიედრინსი (14+17 მოხსნა).

## კვირის მოთამაშეები

"დეტროიტ პისტონზის" მცველი **როდნი სტაკი** და "მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდი **ელ ჯეფერსონი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა სტაკიმ საშუალოდ მატჩში 23.0 ქულა, 5.3 პასი და 4.5 მოხსნა დააგროვა. "დეტროიტმა" ოთხიდან ოთხ მატჩში გაიმარჯვა და ახლა შვიდმატჩიანი მოგებათა სერია დაუგროვდა. ჯეფერსონმა გასულ კვირას ორმაგი დუბლით გამოიჩინა თავი - 27.3 ქულასა და 12.3 მოხსნას მოუყარა თავი.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯოშ სმიტი** ("ატლანტა"), **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **პოლ პირსი** ("ბოსტონი"), **ბორის დიავი** ("შარლოტი"), **ჯოშ ჰოვარდი** ("დალასი"), **ნენე** ("დენვერი"), **ჯარეტ ჯეკი** ("ინდიანა"), **კობი ბრაიანტი** ("ლეიკერსი"), **დუეინ უეიდი** ("მაიამი"), **უილსონ ჩენდლერი** ("ნიუ იორკი"), **შაკილ ო'ნილი** ("ფინიქსი"), **ტონი პარკერი** ("სან ანტონიო") და **ანტუან ჯეიმისონი** ("ვაშინგტონი").

NBA რეგულარული ჩემპიონატი

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 35 | 29 | 6 | 82.9 |
| 2. კლივლენდი | 33 | 27 | 6 | 81.8 |
| 3. ორლანდო | 34 | 26 | 8 | 76.5 |
| 4. ატლანტა | 33 | 22 | 11 | 66.7 |
| 5. დეტროიტი | 32 | 21 | 11 | 65.6 |
| 6. მაიამი | 33 | 18 | 15 | 54.5 |
| 7. ნიუ ჯერსი | 35 | 17 | 18 | 48.6 |
| 8. მილუოკი | 36 | 17 | 19 | 47.2 |
| 9. ჩიკაგო | 34 | 14 | 20 | 41.2 |
| 10. ნიუ იორკი | 32 | 13 | 19 | 40.6 |
| 11. ტორონტო | 35 | 14 | 21 | 40.0 |
| 12. ფილადელფია | 33 | 13 | 20 | 39.4 |
| 13. შარლოტი | 34 | 12 | 22 | 35.3 |
| 14. ინდიანა | 34 | 12 | 22 | 35.3 |
| 15. ვაშინგტონი | 32 | 7 | 25 | 21.9 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 32 | 27 | 5 | 84.4 |
| 2. სან ანტონიო | 34 | 23 | 11 | 67.6 |
| 3. ნიუ ორლეანი | 30 | 20 | 10 | 66.7 |
| 4. დენვერი | 36 | 24 | 12 | 66.7 |
| 5. ფინიქსი | 31 | 19 | 12 | 61.3 |
| 6. დალასი | 33 | 20 | 13 | 60.6 |
| 7. ჰიუსტონი | 35 | 21 | 14 | 60.0 |
| 8. პორტლენდი | 34 | 20 | 14 | 58.8 |
| 9. იუტა | 35 | 20 | 15 | 57.1 |
| 10. მემფისი | 34 | 11 | 23 | 32.4 |
| 11. გ. სტეიტი | 36 | 10 | 26 | 27.8 |
| 12. კლიპერსი | 33 | 8 | 25 | 24.2 |
| 13. მინესოტა | 33 | 8 | 25 | 24.2 |
| 14. საკრამენტო | 35 | 8 | 27 | 22.9 |
| 15. ოკლაჰომა | 34 | 4 | 30 | 11.8 |

| ქულები | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 28.8 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 27.6 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 26.8 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 26.0 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 25.1 |
| **მოხსნები** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.6 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 13.5 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.9 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.8 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 11.0 |
| **პასები** | |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.5 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.5 |
| სტივ ნეში (ფინ) | 8.4 |
| **ჩაჭრები** | |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 3.0 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.4 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.2 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 1.9 |
| **დაფარებები** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.5 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.8 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.0 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 1.9 |